პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 064 (12 439) 18 მარტი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი






## თემურ ქეცბაიას ოთხი ათეული

»» 2

## იბრაჰიმოვიჩმა მანჩინის შეუტია?

მსოფლიო ფეხბურთი »» 6-10

## გუშინ ოთხი მოვიგეთ, დღეს ორი გვინდა!



ლეგიონერები » 13

# გამოძიება

## ქართულ ფეხბურთში

ალმასკომი იწყებს ომს...

გარიგებული მატჩები, მოქრთამული მსაჯები და ფეხბურთელები, გასმრილი საკლუბო მესვეურები...



»» 2



## სისუფთავეს ყველა არ იცავს

ინტერვიუ ზურაბ ფოცხვერიასთან »» 2

## დიეგო რეალთან მორიგდა?

» 7







## რონალდო პელეს წინააღმდეგ

»» 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი ალმასკომის მოგონილი გახდება?

## ჩააწყვეთ რიგში თხუთმეტი ტყვია...

დღეს, ნაშუადღევს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი შეიკრიბება. ეს არ უნდა იყოს რიგითი, სხდომა...

ალმასკომი ალბათ თავს დაუკრავს ფედერაციის უფროსობის არჩევანს - გაგრძელდეს კონტრაქტი **კლაუს ტოპმიოლერთან**, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ხელმძღვანელებად კი შესაბამისად **გელა შეყილაძე და ზაურ სვანაძე** დაინიშნონ.

თავის დაკვრა ყოველთვის არ ნიშნავს რევერანსს და შესაძლოა, დღეს ტოპმიოლერის ხელმეორედ დანიშვნაზე იკამათონ კიდეც, მაგრამ ფედერაციის თხუთმეტკაციან ალმასკომს ფაქტობრივად არ გააჩნია ოპოზიცია. ტოპმიოლერი და შეყილაძე-სვანაძის ალტერნატივა არც კი განიხილებოდა ალმასკომამდე და ალბათ, არც დღეს გამოიდებს ვინმე თავს ამისთვის.

ვითარებამ მოიტანა, რომ დღევანდელ ალმასკომზე ტოპმიოლერის საკითხი არ იქნება ყველაზე აქტუალური - ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

დღეს მთავარი სულ სხვა იქნება - ფედერაციის ხელმძღვანელობა აპირებს ქმედითი, კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღოს ჩაწყობილ თამაშებზე.

გარიგებული მატჩები, მოქრთამული მსაჯები და ფეხბურთელები, კლუბების გასვრილი მესვეურები - პრობლემა გლობალურია.

"იუვენტუსი" სერია B-ში ჩააყუდეს, "მილანს" ქულები ჩამოაჭრეს, **ბერნარ ტაპი** ციხეში ჩასვეს, ქართულ ფეხბურთში კი ძაღლი ძაღლის ტყავს არ ხევდა და ახლა გაჩნდა შანსი, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს.

მოკლედ და კონკრეტულად, ფედერაციის უფროსობა დღევანდელ ალმასკომზე ალბათ ინიციატივით გამოვა, შეიქმნას საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ჩაწყობილი თამაშების დოკუმენტურ მტკიცებულებებს მოიპოვებს და შესაძლოა, ამ საგამოძიებო ჯგუფმა დახმარებისთვის სამართალდამცავ ორგანოებს მიმართოს.

ალმასკომი ფედერაციის უმაღლესი ორგანოა და თუ ისევ შემგუებლური პოზიცია დაიკავა იმ ტაკიმასხარობის მიმართ, რაც ბოლო დროს მოქმედების ფორმად იქცა რამდენიმე ქართული კლუბისთვის, ჩვენს ფეხბურთს განვითარების შანსი მოესპობა.

დღეს ერთხელაც გვინდა, რომ ალმასკომმა ალმა ხნას და დაბლა არ ფარცხოს - ასეთია ალბათ საზოგადოებისა და დროის მოთხოვნა.

**დავით თავართქილაძე**

# ინტერვიუ ზურაბ ფოცხვერიასთან

# კლუბებს ნუ განვაზოგადებთ

## ყველა არ იცავს სისუფთავეს

**ბოლო ორ წელიწადში საქართველოს თასის ამწევი თბილისის "ამერი" იყო, რომლის პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრიცაა. მას არაერთხელ უსაუბრია საფეხბურთო კორუფციაზე და ამ თემაზე მასლაათს არასდროს არიდებს თავს. დღეს კი ფედერაციის ალმასკომი ალბათ კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ როგორ დაუპირისპირდეს სიბინძურეებს.**



ზურაბ ფოცხვერია

**- რაც ბოლო კვირებში საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მოხდა, ეს ალბათ უკვე მარაზმი იყო. ლოგიკურია, რომ ფედერაციაში საგამოძიებო ჯგუფის შექმნით დაინტერესდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ მივიდა საქმე აქამდე?**

- ნება უნდა ყოფილიყო იმისა, რომ საქმე აქამდე არ მისულიყო. თუ საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯი იქნება ფედერაციის მხრიდან.

**- ალმასკომამდე ერთი საათით ადრე საქართველოს თასის ნახევარფინალების წილისყრა გაიმართება. არის ასეთი ნოვაციური იდეა - ის გუნდები, რომელთაგან ერთი მეორეს წლების განმავლობაში ფეხბურთელებით ამარაგებს, განითესონ. ემხრობით ასეთ იდეას?**

- მომხრე ვარ ყველა იმ წინადადების, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებას წაადგება. კონკრეტულ კითხვაზე კი ვერ გიპასუხებთ. ფეხბურთელების განათხოვრება ვერ გახდება განთესვის მიზეზი, ქვეტექსტებს კი აფიშირება უნდა. კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები ყურმოკრული კი არა, საკუთარი, პროფესიულად მოპოვებული არგუმენტებით წამოწევთ კორუფციის თემას.

**- თუ კლუბის მესვეურებმა, მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა ან მსაჯმა ჟურნალისტს "შინაურულად" კი არა, არამედ ოფიციალური განცხადების დონეზე არ დაუსახელა კორუფციის კონკრეტული ფაქტი, ასეთი რამ ალბათ შეუძლებელია. რჩება ერთი გზა - შეიქმნას საგამოძიებო ჯგუფი, თუმცა ისიც საკითხავია, სურთ თუ არა ეს ქართულ კლუბებს...**

- კლუბებში ყველა კლუბი არ უნდა ვიგულისხმოთ. ყველა კლუბი არ არის მონდომებული, კორუფციის ფაქტები გამოაშკარავდეს. ალმასკომზე მე მხარს დავუჭერ ჯგუფის შექმნას და მასში სამართალდამცავი ორგანოების ჩართვას, სხვანაირად ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. არ უნდა გამოგვრჩეს მსაჯების თემაც. იმის თქმა არ მსურს, რომ ჩვენი მსაჯები ყოველთვის მოქრთამულნი არიან, მაგრამ კორუფციის პრობლემა მსაჯობის თემასთან არის გადაბმული.

**- "ამერზეც" გკითხავთ. დამდეგი სეზონიდან საკლუბო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

- ეს დამოკიდებულია იმაზე, რა შედეგით ჩავამთავრებთ სეზონს - მოვიპოვებთ თუ არა რომელიმე ევროტურნირის საგზურს.

**- რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი "ამერიდან" წასვლას აპირებს...**

- წასვლა სურთ დიმიტრი ტატანაშვილსა და გრიგოლ დოლიძეს. შევთანხმდით, რომ მათ ამაში ხელს არ შევუშლით და ამ შეთანხმებას სეზონის დასრულების შემდეგაც არ დავარღვევთ.

**- "ამერიდან" წასვლა რატი წინამძღვრიშვილსაც სურს.**

- არც მას შევუშლით ხელს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელებს უსასყიდლოდ გავუშვებთ. ხელის არშეშლაში იმას ვგულისხმობ, რომ მათ ტრანსფერში არარეალურ თანხას არ მოვითხოვთ.

**დავით თავართქილაძე**

# ახალქაცმა ლიცენზიები დაარიგა

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ქუთაისში, საზოგადოება „ქუთაისელის" ოფისში იმერეთის რეგიონში მომუშავე მწვრთნელებს შეხვდა და მათ "ც" კატეგორიის ლიცენზირების დამადასტურებელი სერთიფიკატები გადასცა. ნოდარ ახალკაცი არაერთ საკითხს შეეხო და ლიცენზირების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„შარშან მაისში ქუთაისში "ც" ლიცენზიის კურსებს 77 ადამიანი დაესწრო. სამწუხაროდ, სამი მწვრთნელი გარდაიცვალა. ლიცენზირება 74-მა ადამიანმა მიიღო. ეს პროცესი იმერეთიდან დავიწყეთ და სხვა რეგიონებში გასვლაც გვაქვს დაგეგმილი. ვფიქრობ, რომ ზაფხულისთვის "ც" კატეგორიის 500-მდე მწვრთნელი გვეყოლება. ლიცენზირების პროცესი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც ის მწვრთნელები, რომლებსაც ის არ ექნებათ, მალე ბავშთა ფეხბურთში ვერ იმუშავებენ", - განაცხადა ნოდარ ახალკაცმა.

ლიცენზირების რეგიონში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა **ვალერი მანაგაძემ:** *„ბევრ მწვრთნელს არ აქვს საშუალება, რომ თბილისში რამდენიმე დღე დარჩეს და ლიცენზირების კურსები გაიაროს. ფედერაციამ მწვრთნელებს საშუალება მისცა, რომ ეს ეტაპი თავის რეგიონშივე გაევლოთ. პროცესი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც ვინც ბავშთა ფეხბურთში აპირებს მუშაობას, "ც" კატეგორიის ლიცენზია აუცილებლად დასჭირდება. სამომავლოდ ულიცენზიო მწვრთნელებს ბავშვებთან მუშაობის უფლება არ ექნებათ. ეს მკაცრად იქნება გაკონტროლებული. ზოგიერთმა მწვრთნელმა შარშან, მაისში მიზეზთა გამო ლიცენზირების პროცესი ვერ გაიარა, ამიტომ ქუთაისში კიდევ ერთი ჯგუფი გაივლის კურსებს და "ც" კატეგორიის ლიცენზირება იმერეთში ამით ამოიწურება."*

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

მეტოქე

# უორთინგტონის 22 საქართველოსთვის

26 მარტს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ბელფასტში გამართავს. ჩრდილოირლანდიელთა ეროვნული გუნდის თავკაცმა **ნაიჯელ უორთინგტონმა** **კლაუს ტოპმიოლერის** კრებულის დასახვედრად 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები: **მაიკ ტეილორი (ბირმინგემი, ინგლისი), როი კეროლი (დერბი, ინგლისი), ალან მანუსი (ლინფილდი).**

მცველები: **კრის ბერდი, აარონ ჰიუზი (ორვე ფულჰემი, ინგლისი), სტეფან კრეიგენი (მოზერველი, შოტლანდია), გარეთ მაკოლი (ლესტერი, ინგლისი), ჯორჯ მაკარტნი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯონათან ევანსი (სანდერლენდი, ინგლისი).**

ნახევარმცველები: **სტივენ დევისი (რეინჯერსი, შოტლანდია), დამიენ ჯონსონი (ბირმინგემი, ინგლისი), სემი კლინგენი (ნოტინგემი, ინგლისი), კრის ბრანტი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კიტ გილესპი (შეფილდი, ინგლისი), მაიკლ ოკონორი (ალექსანდრა), სტიუარტ ელიოტი (დანკასტერი, ინგლისი), მაიკლ გოტი (ლინფილდი).**

თავდამსხმელები: **დევიდ ჰილი (ფულჰემი, ინგლისი), კილ ლაფერტი (ბარნსლი, ინგლისი), მარტინ პატერსონი (სკანტორფი), პიტერ ტომპსონი (ლინფილდი), უორენ ფინი (კარდიფი, უელსი).**

# ოთხი ათიანი და ახალი გამოწვევა



**თემურ ქეცბაია** დღეს 40 წლისა გახდა. თემურ ქეცბაია - ამ ორი სიტყვის უკან მრავალი განცდაა, დიდი ემოციაა.

ქეცბაია იყო, ვინც საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის პირველი გოლი გაიტანა ოფიციალურ შეხვედრაში - მან უელსის ნაკრებთან დუბლი შეასრულა. ის თამაში 5:0 მოვიგეთ.

45 თამაშში 15 გოლი - ასეთია მისი მონაგარი ეროვნულ გუნდში. ზოგს მასზე მეტი მატჩი უთამაშია ნაკრებში და მეტი გოლიც გაუტანია, მაგრამ 90-იან წლებში ის რომ პირველი კაცი გახლდათ საქართველოს უპირველეს გუნდში, სადავო არ უნდა იყოს.

ქეცბაია თითქოს ტვირთს ეზიდებოდა. საქართველოს ნაკრები წარმატებული გუნდი არასდროს ყოფილა, მაგრამ ქეცბაიას შეუპოვარი და ეფექტური თამაშით მოედანს ოხშივარი ასდიოდა.

ქეცბაიას გოლით საქართველოს ნაკრები ნიურნბერგში გერმანიასთან დაწინაურდა და რამდენიმე წუთი ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

ის მოედანზე ცეცხლს ანთებდა, ნაღდი ლიდერი იყო, მის თამაშში დოგმა არ არსებობდა - შავ სამუშაოსაც ასრულებდა და შემქმნელიც იყო.

გალი, სოხუმის "დინამო", თბილისის "დინამო" - ამის შემდეგ ქეცბაია უცხოეთში წავიდა. კვიპროსულ "ანორთოსისში" და ბერძნულ აეკში ის ვარსკვლავი იყო. შემდეგ კენი დალგლიშის "ნიუკასლში" გადავიდა. სამწლიან პრემიერლიგურ კარიერაში ქეცბაიას ბევრი გოლი არ გაუტანია, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა ნიუკასლელებს. ათი წლის წინათ, სწორედ მისი გოლით გავიდა "ნიუკასლი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

ექვსი წელიწადია, ქეცბაია "ანორთოსისის" მწვრთნელია. თემური კვიპროსული ფეხბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს - მისმა დამოძღვრილმა "ანორთოსისმა" 2005 წელს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქული "ტრაბზონსფორი" გააკრა ბეჭზე.

სადაც ქეცბაია მივიდა, ყველგან სახელი დაიგდო. ახლა მას ისევ იწვევენ საქართველოს ნაკრებში, ჯერ მხოლოდ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, მერე კი ალბათ უფრო დიდ გამოწვევას შეეჭიდება და...

ქეცბაიას დაბადების დღეს ვულოცავთ. ძალიან მოგვენატრა მისი ნახვა საქართველოს ნაკრებში და ხელახალ, ოღონდ უფრო წარმატებულ დაბრუნებას ვუსურვებთ ეროვნულ გუნდში.

**ლელოელები**

# ძირს სტანდარტები!

## რთული ბიჭების რთული ბედი საქართველოში

საქართველოში ჯერ კიდევ აზრობრივი "საიუზია". ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთში კვლავაც მყარადაა გამჯდარი ძველებური აზროვნება, კომკავშირული წარმოდგენები, სავარჯიშო მეთოდები და ადამიანური ურთიერთობები.

აქ კიდევ ცოცხალია მოსეს თაობა, რომელიც თვლის, რომ უფროსის დანახვაზე რიგითი უნდა გაისუსოს, ფეხბურთელს მწვრთნელთან კამათს და ლუდის სმას უდისციპლინობად უთვლის. თაობა, რომელიც ამტკიცებს, რომ დიდ წარმატებებს მხოლოდ სტანდარტულად წესიერი სპორტსმენი აღწევს და ა.შ. ეს ყველაფერი ისევ ჩვენი ფეხბურთის განვითარებას აბრკოლებს.

როგორც ცხოვრება, ჩარჩოებს სპორტიც არ ექვემდებარება. მსოფლიოს წითელ მეექვსედში ერიდებოდნენ იმის აფიშირებას, რომ ფეხბურთის მეგავარსკვლავი **იოჰან კრუიფი** თამაშის შემდეგ ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა.

ცნობილი უკრაინელი მორბენალი **ბორზოვი** მნიშვნელოვანი გარბენების წინა ღამეს სტრესის მოსახსნელად, საშინლად თვრებოდა.

1995 წელია, "სამტრედიის" "გრიმიტობის" პერიოდი. დიდი ჯიხაიშის ბაზაზე **ზაზა ჯანაშია** სიგარეტს ეწეოდა. დამწყებ ჟურნალისტს მისი სითამამე ძალიან გამიკვირდა. ზაზამ სახეზე გაოცება შემნიშნა და საინტერესო ამბავი მოყვა.

1993 წელს ზაზა ესპანეთში საქართველოს ახალგაზრდიულ ნაკრებთან ერთად გაემგზავრა. იმავე რეისით პირენეებზე მოსკოვის "სპარტაკი" მიემგზავრებოდა. მაშინ რუსების სახალხო გუნდს **ოლეგ რომანცევი** ავარჯიშებდა და ევროპაში წარმატებული გუნდის სახელიც ჰქონდა.

მთავარი მწვრთნელის გვერდით რუსეთის ნაკრების და "სპარტაკის" ლიდერი **იური ციმბალარი** მშვიდად ეწეოდა და რაც მთავარია, ამაზე რომანცევს რეაქცია არ ჰქონია.

"ლელოს" მრავლისმნახველი ფოტოკორესპონდენტი **სანდრო კოტორაშვილი** უშუალოდ შეესწრო, თბილისში, საფეხბურთო მატჩის შესვენების დროს, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა **ლევ იაშინი** რომ ეწეოდა. იაშინი კარგად ცნობდა "კოტორას" და სთხოვა, სურათი არ გადამიღოო.

**მიხეილ ყაველაშვილი** "მანჩესტერ სიტიში" ახალი ჩარიცხული იყო, როდესაც გუნდის კაპიტანმა სახლში გვიან ღამით გაუარა და პაბში დასალევად წაიყვანა.

*"ღამის სამ საათზე თავზე დამადგა, უნდა დავლიოთო. შენ ხომ არ გაგიჟდიმეთქი. წამოდი, კაცო, აუცილებელია, საბჭოთა კავშირში კი არ ხარო. ვინც იმ ღამეს ბლომად ლუდი დალია, მეორე დღეს იმდენი ირბინა, ვერც ერთი ჩვენი უსმელი ფეხბურთელი ვერ ირბენდა. მერე გავიგე, კაპიტანი ასე რატომ მოიქცა. "მანჩესტერ იუნაიტედს" ვხვდებოდით, ბიჭები დაძაბულები იყვნენ და მათი ხასიათზე მოყვანა და გამხნევება სურდა, სმა თვითმიზანი არ იყო. კაპიტანს ევროპაში გუნდი ხელში უჭირავს, მან იცის, როდის რა გააკეთოს, თუნდაც, გასართობად გუნდი როდის უნდა წაიყვანოს."*

ამას წინათ ფეხბურთის მცოდნე კაცისგან საინტერესო ისტორია მოვისმინე. იაპონელებმა ფეხბურთის სწავლა გადაწყვიტეს და საამისოდ, ბრაზილიაში **გერსონი** შეარჩიეს. თუმცა მალე დაკვირვება შეწყვიტეს, რადგან ფეხბურთელი ტაიმებს შორის სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, დროსტარებასა და ქალებს არ იკლებდა და ვარჯიშებით თავს არ იკლავდა (!), მაგრამ ჰქონდა ის, რაც არ ჰქონდათ კარგად ნავარჯიშებ და დისციპლინირებულ ფეხბურთელებს - ფეხბურთის ნიჭი, რომელსაც ვერანაირი ვარჯიშით ვერ შეიძენ.

ასეა, ფეხბურთი არ ისწავლება. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთის მეფე თუ იმპერატორი (რაც გნებავთ ის უწოდეთ) **მარადონა** ნარკომანი იყო.

სხვა საქმეა, რომ უცხოელებს მხოლოდ სიგარეტის მოწევასა და სმაში არ უნდა მივბაძოთ. ეს მართლა არაა სპორტსმენისთვის სასურველი, რადგან შრომისუნარიანობას ამცირებს და ჯანმრთელობას ვნებს. დამწყებმა სპორსტმენებმა მარადონასა და კრუიფის მიბაძვით სიგარეტი კი არ უნდა მოწიონ, არამედ, უპირველესად, "ძე შეცდომილთ" გულმოდგინება და ფეხბურთის სიყვარული აიღონ მაგალითად.

ჩვენთან ასეთი მოდგომით ბევრი არ გამოირჩეოდა. **გიორგი დევდარიანს** "თბილისი" მაღალ საფეხურზე მხოლოდ ფეხბურთის ცოდნით არ აუყვანია. უპირველესად, ადამიანური მოდგომით გამოირჩეოდა, "თბილისის" ფეხბურთელების მეგობარი, მრჩეველი და ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. ეს ის თვისებებია, კლასიკური საბჭოთა გაგების მწვრთნელისგან რომ გამოარჩევდა და ქვემდებარე ადამიანს ღირსებას უფასებდა. თავადაც ამიტომ დააფასეს.

ამდენი საუბარი ბოლო ტურის ამბებს მოვაყოლე. საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი "ზესტაფონი" თბილისის "ლოკომოტივმა" დააბრკოლა და ქულა აართვა.

თუმცა ვიყოთ სამართლიანები - ეს ყველაფერი **ვიტალი დარასელიასა** და **რატი ალექსიძის** დამსახურებაა. პირველმა მშვენიერი გადაცემით მეორე დასარტყმელ პოზიცაზე გაიყვანა და გოლიც გამოცხვა. ლიდერმა ქულა მოულოდნელად აუტსაიდერთან დაკარგა. იმ გუნდთან, რომელმაც სახლში უშუალო კონკურენტებთან საკმაოდ ბევრი დათმო.

დარასელიამ და ალექსიძემ ქართულ ფეხბურთში დაბრუნება რიხიანად აღნიშნეს.

"ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ე.წ. რთული ბიჭების გასაღები მონახა და მათაც გაამართლეს. მათ ეს ნდობა სჭირდებოდათ, მიიღეს და გასცეს.

ფეხბურთი არაა პიონერების თამაში. ფეხბურთში თამაშს ხშირად ე.წ. რთული ბიჭები წარმართავენ.

ბევრი მატჩის გახსენება შეიძლება, რომელიც დარასელიასა და ალექსიძეს არ გამოსვლიათ, მაგრამ პრინციპული შეხვედრების უმრავლესობას მაღალ დონეზე სწორედ ისინი ატარებდნენ, იყვნენ გუნდის ლიდერები, ერთი სიტყვით რომ მოვხაზოთ - გუნდის სული და გული.

ფეხბურთს რაფინირებული, პალსტუხიანი ბიჭები ვერ ითამაშებენ. ე.წ. რთული ბიჭების გასაღები ადვილია - გულის გასაღები ყოველთვის სიყვარული და ნდობაა და არა ეჭვიანი მზერა და უნდობლობა.

"ლოკომოტივმა" ამ "სირთულეების" დამატებით უკვე ბევრი მოიგო. სხვათაშორის, მათ საყურებლად "ლოკომოტივის" შეხვედრას ჩვეულებრივზე ოდნავ მეტი მაყურებელი უკვე დაესწრო. მაყურებელს ფეხბურთში სახელები იზიდავს და როდესაც "რთული ბიჭები" ათამაშდებიან, ხალხი ისევ გაიხსენებს, რომ ლამაზად თამაში საქართველოშიც შეუძლიათ. მათ ბევრი რამ უპირველესად, საკუთარ თავს დააკლეს, ბევრი ცხოვრებისეული შეცდომაც დაუშვეს, მაგრამ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ და ამას ვერ დავუკარგავთ.

საერთოდ, ვისაც მეტი ვალი აქვს, ღმერთისგან მეტიც მიეტევება. ჩვენც ნუ ვიქნებით რომის პაპზე უფრო კათოლიკეები.

**მერაბ მამულაშვილი**



რატი ალექსიძე

ლეგიონერი. რუსეთი

# სიმბოლურში მხოლოდ გოგუაა



გასულ უქმეებზე რუსულ პრემიერლიგაში მორიგი სეზონი დაიწყო და სასტარტო ტურის სიმბოლური ნაკრებიც შედგა, რომელშიც მხოლოდ ერთი ქართველია - ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა**.

ნალჩიკელებმა რამენსკოეს "სატურნი" შინ 2:1 დაამარცხეს. შეხვედრაში სამივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა. სამივე მათგანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და თამაშიც ჩაამთავრა.

"ჩემპიონატ.რუ"-მ გოგუა ტურის სიმბოლურ ნაკრებში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე დაასახელა და მისი გარჯა ასე შეაფასა:

"ნალჩიკელთა ნახევარმცველმა ჩინებული მატჩი ჩაატარა. მან "სატურნის" ძლევაში ჩაკიდებული ბურთებითა და სახიფათოდ შესრულებული სტანდარტულებით დიდი წვლილი შეიტანა. ერთი ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა და მეორე გატანილი გოლი სწორედ მის მიერ მოწოდებულ კუთხურს მოჰყვა".

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

მეტოქე. ჩერნოგორია

# ფილიპოვიჩი ნაკრებს შემოდგომისთვის ამზადებს



ზორან ფილიპოვიჩი

26 მარტს, როცა ჩვენი ნაკრები ჩრდილო ირლანდიას ესტუმრება, მსოფლიოს შესარჩევში ჩვენი მეტოქე ჩერნოგორიის ნაკრები ამხანაგურ მატჩში ნორვეგიას უმასპინძლებს. ამ თამაშისთვის ჩერნოგორიელთა მწვრთნელმა **ზორან ფილიპოვიჩმა** ნაკრების შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები: ვოკასინ პელეკშიჩი (დებრეცენი, უნგრეთი), დარკო ბოჟოვიჩი (პარტიზანი, სერბეთი).

მცველები: რისტო ლაკიჩი (პარტიზანი, სერბეთი), სავო პოვიჩევიჩი (ვოივოდინა, სერბეთი), მილან იოვანოვიჩი (კლუჟი, რუმინეთი), იოვან ტანასიევიჩი (დინამო, რუსეთი), ლუკა პეიოვიჩი (მოგრენი), დეიან ოგნიენოვიჩი (ეშტორალი, პორტუგალია), ნიკოლა ვუჩკევიჩი (ბუდუჩნოსტი).

ნახევარმცველები: ბრანკო ბოშკოვიჩი (რაპიდი, ავსტრია), ნიკოლა დრინჩიჩი (ამკარი, რუსეთი), მილორად პეკოვიჩი (მაინცი, გერმანია), მიტარ ნოვაკოვიჩი (ბელგრადი, სერბეთი), ვლადიმირ ბოჟოვიჩი (რაპიდი, რუმინეთი), სიმონ ვუჩკევიჩი (სპორტინგი, პორტუგალია).

თავდამსხმელები: იგორ ბურჟანოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), მირკო ვუჩინიჩი (რომა, იტალია), დრაგან ბოგოვაცი (პადერბორნი, გერმანია), რადომირ დალოვიჩი (რიეკა, ხორვატია), სტივენ იოვეტიჩი (პარტიზანი, სერბეთი).

ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ზორან ფილიპოვიჩმა ნორვეგიასთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ გუნდში ორი ფეხბურთელი პირველად გამოიძახა. ფილიპოვიჩის დებიუტანტები "ეშტორილის" მცველი დეიან ოგნიენოვიჩი და ჩერნოგორიული "ბუდუჩნოსტის" მცველი ნიკოლა ვუჩკევიჩი არიან.

ლეგიონერები. რუსეთი

# იუბილარი ხოჯავა დაშავდა

16 მარტს ქართველ ნახევარმცველ **გოჩა ხოჯავას** დაბადების დღე ჰქონდა. ის 23 წლისა გახდა. მომდევნო დღე კი იუბილარისთვის უიღბლო გამოდგა.

გუშინ, "ანჟიმ" საკონტროლო მატჩი გამართა ნორვეგიულ "ნამერკამერატანესთან" და 0:2 დამარცხდა. ხოჯავა სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ ნაადრევად მოუწია მოედნის დატოვება - მე-40 წუთზე დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ის **რევაზ ბარაბაძემ** ეცვალა. "ანჟის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ხოჯავას ტრავმა უმნიშვნელო არაა და მას რამდენიმე დღით მოუწევს იძულებით დასვენება.

რაც შეეხება მახაჭყალელთა სხვა ქართველ ფეხბურთელებს, **მიხეილ აშვეთია** და **ვალერი არამიძე** ძირითადში იყვნენ. ამ უკანასკნელმა თამაში ჩაამთავრა, აშვეთია კი 75-ე წუთზე შეცვალეს. **რევაზ ჯიქიამ** და **ზურაბ არზიანმა** კი მხოლოდ ბოლო 10-10 წუთი ითამაშეს.

სავარაუდო ტრანსფერი

# ქელიძე ისევ არმიაში

მოსკოვის "ლოკომოტივის" ფორვარდის **გიორგი ჭელიძის** როსტოვის სკა-ში განათხოვრების საკითხი თებერვალშიც განიხილებოდა. უფრო მეტიც, ჭელიძემ არმიელთა რიგებში ამხანაგურ მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა და გოლებითაც გამოირჩა. თუმცა როსტოვული გუნდის დატოვება მას მალე მოუწია. გუნდის მწვრთნელმა კი განაცხადა ჭელიძის საკითხზე არ ავჩქარდებითო.

მას მერე ჭელიძე სკა-ში აღარ გამოჩენილა და არც ბოლოს, 14 მარტს გამართულ ამხანაგურ მატჩში (ბელარუსის "ნაფტანთან" 2:1 მოიგეს) მიუღია მონაწილეობა. გუშინ კი "სპორტ ექსპრესმა" ცნობა გაავრცელა, რომლის თანახმადაც როსტოვულ სკა-ში გიორგი ჭელიძის განათხოვრების საკითხი კვლავ დღის წესრიგშია.

ანთალიურ შეკრებაზე მყოფი სკა დასკვნით ამხანაგურ მატჩს, 20 მარტს, მოსკოვის "ტორპედოსთან" ჩაატარებს.


გიორგი ჭელიძე

საქართველოს ჩემპიონატი

# საჩემპიონო სამეულიდან

## დილა ვარდება, ჯორჯია შეუჩერებელია, ზესტაფონი ისევ



ოლიმპი-ვიტ ჯორჯია 0:1

**მოსალოდნელი იყო, რომ ეს ტური სატურნირო ცხრილში საკმაო რაოდენობის ცვლილებებს შეიტანდა და ასეც მოხდა. უპირველესად, "ვიტ ჯორჯიის" რუსთავში გამარჯვება და ჩემპიონობისთვის მებრძოლი "ზესტაფონის" მორიგი დანაკარგი უნდა გამოვარჩიოთ. თუ ასე გააგრძელეს, ფეროელები ოქროს მედლებზე ფიქრს მალე შეწყვეტენ... განვლილი მატჩები გაცილებით საინტერესო იქნებოდა, ფეხბურთელთათვის ქარს რომ არ შეეშალა ხელი.**

### ზესტაფონი რკინიგზელებთანაც დამუხრუჭდა

მეორე წრეში იმერული კლუბი მეტად არასტაბილურია. ოთხ ჩატარებულ მატჩში "ზესტაფონმა" მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა, უშუალო კონკურენტ "ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდა, ბოლო ორ ტურში კი ზუგდიდსა და ვაკეში დაკარგა უძვირფასესი ქულები. არადა, პირველი წრე **თემურ მახარაძის** გუნდმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ყველაფერი ჩემპიონატის ბოლოს, "დინამოსთან" ურთიერთშეხვედრაში გადაწყდებოდა. სადღეისოდ კი პრინციპულ მეტოქეებს შორის უკვე ექვსქულიანი სხვაობაა, შესაბამისად, "ზესტაფონი" "დინამოს" წაფორხილების იმედად თუ იქნება.

"ზესტაფონის" წარუმატებლობათა მიზეზი, უპირველესად, თავად ამ კლუბის წევრებმა უნდა ეძიონ, ერთი შეხედვით კი ის ჩანს, რომ ფეროელებს სეზონის პირველ ნახევარში დღევანდელზე ბევრად ბრძოლისუნარიანი შემადგენლობა ჰყავდათ. თავად განსაჯეთ, ზამთარში "ზესტაფონი" კაპიტანმა **კახა ჩხეტიანმა** და საუკეთესო ბომბარდირმა **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ** დატოვეს, მათ რამდენიმე დღის წინათ **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე** მიჰყვა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გოგი ფიფია** არსად წასულა, მაგრამ იმის გამო, რომ "ზესტაფონთან" კონტრაქტის გახანგრძლივება არ სურს, კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელს მისი გამოყენების უფლებას არ აძლევს.

"ზესტაფონის" ახალწვეულმა **ნიკა გელაშვილმა** თურქულ შეკრებაზე მძიმე ტრავმა მიიღო, ბოლო მომენტში კი გუნდს "ოლიმპიდან" **ერნესტ აკუასაგა** შეუერთდა, ოღონდ ჯერჯერობით, მისი ფუნქცია სათადარიგოთა სკამზე ჯდომით შემოიფარგლება. ასე რომ, გუნდი რამდენიმე მიზეზის გამო ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა. მოთამაშეთა უმრავლესობა არასახარბიელო ფორმაშია, განსაკუთრებით **ჟონატასის** რეგრესზე უნდა ითქვას. ბრაზილიელი ნახევარმცველი პირველ წრეში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, წლეულს კი სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა. მიზეზი თურქულ შეკრებაზე წაუსვლელობა უნდა იყოს, ამას კი, თავის მხრივ, უკვე სულ სხვა მიზეზი აქვს...

### ლოკომოტივი დაბრუნებულთა იმედად

რაკი ."ზესტაფონის" წარუმატებლობაზე ვისაუბრეთ, მოკლედ მის შემჩერებელზეც ვთქვათ. "ლოკომოტივი" ჯერაც გასავარდნ ზონაში რჩება და თამაშის ხარისხის თვალსაზრისით, პრინციპში, კვლავაც უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უსახური ბინადარია. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა კრიზისის დასაძლევად ქმედით ნაბიჯებს დგამს. ერთი კვირის წინათ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, დიდ ფეხბურთს **რატი ალექსიძე** დაუბრუნდა. ერთ დროს ვარსკვლავური პოტენციალის მქონე შემტევმა ახალციხეშიც მაღალ დონეზე ითამაშა, "ზესტაფონის" კარში კი სულაც, გოლი გაიტანა. ფეხბურთში დაბრუნება ყოველთვის დიდ ნებისყოფასა და შრომასთანაა დაკავშირებული და ამიტომაც, ამის გამკეთებელი ნებისმიერი მოთამაშე მხოლოდ ქების ღირსია. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, რატის სამომავლო წარმატებები და ძველ ფორმასთან მიახლოება ვუსურვოთ.

"ლოკომოტივი"-"ზესტაფონის" მატჩი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბით გამოირჩა - რკინიგზელთა შორის დებიუტი **ვიტალი დარასელიას** ჰქონდა, რომელიც ბოლოს მოლდოვაში ასპარეზობდა. დიდია იმის ალბათობაც, რომ "ლოკომოტივს" საქართველოს ნაკრების გამოცდილმა ნახევარმცველმა **ლე-**



ოდიკაძემ და დინამომ მერანი დაამარცხეს

XVII ტურის მიმოხილვა

# დუელისაკენ

## შეფერხდა, დინამომ დაგეგმილი მოიგო, ბათუმმა კი საეჭვო



ლოკომოტივი-ზესტაფონი 1:1

**ვან ცქიტიშვილმა** მიაშუროს. ასეთი სახელების მქონე ახალწვეულებით კი სასწაული იქნება, "ლოკომოტივმა" პირველ ლიგაში რომ დაყვინთოს.

### დილა გასასვლელს უახლოვდება

შინ ახალციხის "მესხეთისთვის" რომ მოეგოთ, გორელები კიდევ შეინარჩუნებდნენ უმაღლესში დარჩენის შანსს, ახლა კი დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ "დილა" უძლიერესთა რიგებს დატოვებს. ერთადერთ, რამაც შიდაქართლელები შეიძლება იხსნას, უმაღლესი ლიგის რომელიმე ბინადარის გაჭირვება იქნება. ამ გზით "დილა" შარშანაც დარჩა უმაღლესში - ცხრილის მიხედვით, გორელები პირველ ლიგაში დაქვეითდნენ, მაგრამ სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე უმაღლესს ქუთაისის "ტორპედოს" სიდუხჭირის გამო დაუბრუნდნენ.

### ბრძოლა თუ მეგობრობა?

"ბორჯომს" გავარდნა არ ემუქრება, "ბათუმი" კი ამ ტურამდე ბოლო ადგილზე იყო. ამ მატჩის ოქმის მნახველი, ალბათ, იფიქრებს, რომ აჭარულმა კლუბმა მედგარ ბრძოლაში გაიმარჯვა - ჯერ "ბორჯომი" დანინაურდა, მეორე ტაიმში კი სტუმრებმა მასპინძელთა კარი ორჯერ დალაშქრეს. თუმცა "ლელოს" რეგიონული კორესპონდენტის მიმოხილვასა და შეხვედრის უშუალო თვითმხილველების მონათხრობს თუ ვერწმუნებით, **გაგა ჩხეტიანისთვის** დუბლის შესრულებაში ხელი მაინცდამაინც არავის შეუშლია, 1:2-ის შემდეგ კი "ბორჯომის" ნევრები "დამშვიდნენ" და მსაჯის საფინალო სასტვენამდე დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა.

"ბათუმის" გამარჯვება ტურის ნინათქმაშიც ვივარაუდეთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილ ევროპულ საბუქმეიქერო კანტორა "ბეთ-ენდ-ვინს", რომელიც საქართველოს ჩემპიონატის მატჩების კოეფიციენტებს სისტემატურად აქვეყნებს, თავის პროგრამაში მხოლოდ "ბორჯომი"-"ბათუმი" არ ჰქონდა შეტანილი. არადა, მსგავსი ნაბიჯებისგან აღნიშნული ტოტალიზატორი ყოველთვის თავს იკავებს. მსურველებს წინა ტურში თვით "დინამო"-"ბორჯომზეც" კი შეეძლოთ ფსონის დადება...

### ჯორჯიული ტური

ბოლოს კი ტურის უმნიშვნელოვანესი გამარჯვების შემოქმედებს შევეხოთ. "ვიტ ჯორჯიამ" რუსთავში ურთულესი ბრძოლა მოიგო და "ზესტაფონის" ნაფორხილების შემდეგ, "დინამოს" უმთავრეს მდევრად რჩება. მეტოქესთან შედარებით, "ვეტერინარებს" ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ - "ვიტ ჯორჯიისთვის" ვერცხლის მედლებიც წარმატება იქნება, ეს შედეგი კი დინამოელებს ვერ დააკმაყოფილებს.

მეორე წრეში "ჯორჯიამ" ოთხიდან ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვა და რომ არა პირველ წრეში დაკარგული დაუგეგმავი ქულები, ახლა პირველ საფეხურზეც იქნებოდა. ლიდერებთან ურთიერთშეხვედრებში "ვეტერინარებს" ჩინებული შედეგი აქვთ - "ზესტაფონს" უკვე ორჯერ შეხვდნენ და ოთხი ქულა აართვეს, "დინამოს" კი სტუმრად სძლიეს და მცხეთაში ვინძლო, "ოქროს მატჩი" ელოდეთ.

მოკლედ, გუნდმა სასურველი სტაბილურობა შეიძინა, თამაშის ორგანიზებითა დონითა და გამართული ტაქტიკით კი, შესაძლოა, "ვიტ ჯორჯია" დღესდღეობით, საქართველოში ყველას სჯობდეს.

ვისარგებლებთ შემთხვევით და კიდევ ერთხელ შევუქებთ ნაშრომს **ნესტორ მუმლაძეს**, რომლის ხელშიც გუნდი თვალსა და ხელს შუა პროგრესირებს. "ვიტ ჯორჯიამ" ამჯერადაც ძლიერი კოლექტიური თამაშით მოიგო, თუმცა გამარჯვების გოლის ავტორი **პავლე დათუნაიშვილი** მაინც უნდა გამოვარჩიოთ. როგორც იცით, ვეტერინართა ერთ-ერთმა ლიდერმა კლუბი ზამთარში დატოვა, მაგრამ სასურველ ადგილას ვერ მოეწყო და მშობლიურ "ჯორჯიას" დაუბრუნდა. მისი დაბრუნება ძალიან დროული იყო, ერთით მეტი გამოცდილი ფეხბურთელი გუნდს საჩემპიონო რბოლაში ძალიან წაადგება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### XVII ტურის სიმბოლური ნაკრები




ალექსანდრე იაშვილი:

# კარლსრუეში ყველაფერი მაკმაყოფილებს

**ინტერნეტგაზეთ "ცისოკერის" რედაქტორი მირონ გოიხმანი მიუნხენში შეხვდა და საგანგებოდ "ლელოსთვის" ესაუბრა საქართველოს ნაკრებისა და "კარლსრუეს" თავდამსხმელ ალექსანდრე იაშვილს.**

30 წლის ქართველი თავდამსხმელის ბიოგრაფია თავისებურად უნიკალურია. თითქმის მთელი კარიერა, ათი სეზონი მან "ფრაიბურგში" გაატარა. ამ კლუბთან ერთად არაერთი აღზევება და დაცემა გადაიტანა და კლუბის კაპიტანიც გახდა. თუმცა გასულ წელს "კარლსრუეში" გადასვლა გადაწყვიტა.

**- რა შეგიძლია გვითხრათ "კარლსრუეზე"?**

- ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და ბუნდესლიგის ლიდერთა ჯგუფში შემთხვევით არ ვიყავით. ახლა უკან დავიწიეთ, მაგრამ ეს დროებითი მგონია. ამ კლუბში გადმოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- მიმდინარე სეზონში პირადად თქვენი თამაში გაკმაყოფილებთ?**

- თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ პირველი წრის ბოლოს ჩემი თამაში "დავიჭირე". ახლა ხუთი საგოლე გადაცემით საუკეთესო მეპასეებში ვარ. რა თქმა უნდა, ბურთის გატანაც საჭიროა, თუმცა საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ.

**- თქვენს უფრო შედეგიან თამაშს შევეჩვიეთ, "ფრაიბურგში" ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყავით.**

- "კარლსრუეში" უფრო მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობ და უპირველესად, საგოლე მომენტები სხვებს უნდა შევუქმნა. ჯერჯერობით, ეს ურიგოდ არ გამომდის. მესმის, რომ თავადაც უნდა გავიტანო, მაგრამ არ გამოდის. იმედი მაქვს, რომ დარჩენილ შეხვედრებში უფრო შედეგიანი ვიქნები.

**- ზოგიერთ სტადიონზე ლეგიონერების გატანილი ბურთის შემდეგ, მათი ქვეყნის ნაციონალური მუსიკა ისმის. თქვენ რომელი მელოდიის მოსმენას ისურვებდით?**

- კარლსრუეში ასეთი რამ არ ხდება. ისე, ქართული მელოდიის მოსმენაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. გერმანულიც რომ იყოს, კმაყოფილი ვიქნები. მთავარია, ჩემი გოლებით, ამის მიზეზი მივცე.

**- ფრაიბურგი არ გენატრებათ? რაც უნდა იყოს, იქ საკმაოდ ბევრი ითამაშეთ.**

- დიახ, ამ ქალაქთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, მაგრამ გარემოს შეცვლის დრო იყო. ძალიან მსურდა, რაღაც ახალი მომესინჯა და მიხარია, ეს რომ შევძელი.

**- "ფრაიბურგი" ქართველებისთვის წარმატებული გუნდია. თქვენი აზრით, რატომ, იქნებ, რაღაცით საქართველოს ჰგავს?**

- იქ კარგად არა მარტო მე, არამედ, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილიც თამაშობდნენ. ეტყობა, ჩვენი ფეხბურთი სტილით მიესადაგა. ქალაქიც ძალიან მოგვეწონა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ჰგავს. საერთო მხოლოდ ისაა, რომ ორივე სამხრეთშია.

**- ფრაიბურგში გულშემატკივართა რჩეული იყავით, კარლსრუეშიც ასეა?**

- აქაც ძალიან კარგად მეპყრობიან. გულშემატკივართა ნდობასა და სიყვარულს დამსახურება სჭირდება. რაც უფრო უკეთ ვთამაშობ, ამას უფრო ვგრძნობ.

**- შეძლებს "კარლსრუე" უეფას თასზე გასვლას?**

- ჩვენ ახლა სწორედ ამისთვის ვიბრძვით. ბევრი იყო დამოკიდებული "აინტრახტთან" საშინაო მატჩის შედეგზე. სამწუხაროდ, წაგებით, "კარლსრუემ" მდგომარეობა გაირთულა.

**- საქართველოს ნაკრებზეც ვისაუბროთ.**

- დიდი ხანია ნაკრებში აღარ მითამაშია, ბოლო სამი შეხვედრა არ გამომიძახეს.

**- რა იყო მიზეზი?**

- არ ვიცი, 26 მარტს ჩრდილო ირლანდიასთან მატჩისთვის კი გამომიძახეს.

**- შეძლებს საქართველოს ნაკრები ახალ ციკლში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას?**

- იტალიის ნაკრები ჯგუფის უპირობო ფავორიტია. ჩვენი ნაკრები კი, ვფიქრობ, მეორე ადგილისთვის იბრძოლებს და ეს მისაღწევი ამოცანა მგონია.

**- იმედია, ამ ამოცანის შესრულებაში მონაწილეობას თქვენც მიიღებთ.**

- ვნახოთ...

*მირონ გოიხმანი, მიუნხენიდან, საგანგებოდ "ლელოსთვის"*



სერია A. ტურის გამოხმაურება

# იმედი მაქვს, მანჩინი ნამდვილად წავა



## იბრაჰიმოვიჩმა მწვრთნელს შეუტია?

"ინტერი" იტალიური მედიის ყურადღების ცენტრში რჩება. არადა, მოსალოდნელი იყო, რომ "პალერმოსთან" გამარჯვების შემდეგ, რომელსაც წინ უძღვოდა **რობერტო მანჩინის** აღიარებითი ჩვენება-სინანული, წასვლაზე არ უნდა მელაპარაკაო, პლუს ამას, ურთიერთობის მოგვარება **ლუიშ ფიგუსა** ("ლივერპულთან" მატჩის დროს მოედანზე შესვლა იუარა) და **პატრიკ ვიეირასთან**, წესითა და რიგით, სიტუაცია უნდა განმუხტულიყო, მაგრამ...

მაგრამ "პალერმოსთან" ხსენებულ მატჩში მოხდა ის, რაც პრესამ ხელზე დაიხვია. შესაბამისად, დღეს ისევ საუბრობენ იმაზე, რომ "ინტერში" ვითარება კვლავ დაძაბული და ფეთქებადსაშიშია. მოკლედ, საქმე ასე იყო: 79-ე წუთზე მანჩინიმ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი ერნან კრესპოთი** შეცვალა. მწვრთნელმა, მადლობისა თუ შექების ნიშნად, რასაც მისი კოლეგებიც ხშირად მიმართავენ ხოლმე, შვედს თმებზე ხელი მოუთათუნა, ტელეკამერა კი დიდხანს აჩვენებდა, როგორი ბუზღუნით მიუახლოვდა ზლატანი სათადარიგოთა სკამს, მერე კი სიტუაციის გარჩევა თანაგუნდელებთან ერთად გააგრძელა. როგორც იურისტები იტყვიან ხოლმე, საქმეს მსვლელობა მიეცა...

ისიც უნდა ითქვას, რომ შეცვლის დროს ფეხბურთელები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ანუ, ეს ტრადიციაა და მსგავსი რამ ბევრისგან გვინახავს. იმავე "ინტერის" მაგალითზე, ეს მოხდა სამიოდ თვის წინათ, **ადრიანოს** შემთხვევაში, როცა ბრაზილიელმა მწვრთნელის მიერ გაწვდილ ხელს იგნორირება გაუკეთა. სულ ახლახან იყო, როცა გაბრაზებულმა ვიეირამ მაისურა გაიძრო და გაზონზე დააგდო (ცხადია, სიამოვნებით ესროდა მანჩინის). ეს აშკარა დემარში იყო. ახლა კიდევ ზლატანი...

საქმეს სიმძაფრეს მატებს ვითომ გაშიფრული ტექსტი, რაც იბრას მანჩოს მისამართით უთქვამს - **იმედი მაქვს, ის ნამდვილად წავაო.** თუ გახსოვთ, ასეთივე წარმატებით გაშიფრეს ის სიტყვებიც, რომელიც **მარკო მატერაციმ ზინედინ ზიდანს** იმ გახმაურებული ეპიზოდის დროს უთხრა. თუ ეს ყველაფერი ახლაც დადასტურდა, მაშინ მანჩინისა და იბრაჰიმოვიჩის შერიგება წარმოუდგენელი იქნება. მეც ვიყავი ფეხბურთელი და შემიძლია, ზლატანსაც გავუგო და სხვებსაცო, უთქვამს მანჩინის.

მოგვიანებით, "ინტერის" ვებგვერდმა იბრაჰიმოვიჩის ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნა. შვედმა ცეცხლის ჩაქრობა სცადა, თუმცა კითხვის ნიშნებიც დატოვა: *"როცა მოედანს ვტოვებდი, ნამდვილად გამოვხატე უკმაყოფილება ცვლილებისა და იმ გამოუყენებელი მომენტების გამო, რაც თამაშის განმავლობაში მქონდა. მაგრამ გარწმუნებთ, მანჩინის მიმართ სალანძღავი არაფერი მითქვამს".*

ვატყობთ, ეს საქმე ასე არ დასრულდება და პრესა ძაფს ბოლომდე გაჰყვება. მათი არგუმენტი ამგვარია: იბრაჰიმოვიჩი ადასტურებს, რომ შეცვლით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ, რაც შეეხება გამოუყენებელ მომენტებს, ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ განსაკუთრებული შანსი მას არ ჰქონიაო. ლოგიკურია, მაგრამ იქნებ, ამიტომაც გაცხარდა კაცი?

### ფიგუ ქუინზ პარკში?

ამ უქმეებზე ინგლისურმა The Mail on Sunday-მ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: პირველი ინგლისური დივიზიონის (რასაც ისინი Championship-ს უწოდებენ) ბინადარმა, ერთ დროს პოპულარულმა "ქუინზ პარკ რეინჯერსმა" **ლუიშ ფიგუს** შეძენა მოინდომაო. თუ გავიხსენებთ, რომ ამ ლონდონური კლუბის მეპატრონეები, არც მეტი, არც ნაკლები, "ფორმულა 1"-ის ბოსები - **ფლავიო ბრიატორე** და **ბერნი ეკლსტოუნი** არიან, მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება.

ფიგუ შარშანაც აპირებდა "ინტერიდან" წასვლას. მას არაბული "ალ იტიჰადი" ეპატიჟებოდა და დიდ ფულსაც სთავაზობდა. მაგრამ ლუიშმა ჩათვალა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში ჯერ კიდევ შეეძლო და "ნერაძურის" ბედი ერთი წლითაც დაუკავშირა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ **მასიმო მორატიმ** თქვა, რომ მზად არის, პორტუგალიელ ვეტერანს კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით გაუხანგრძლივოს. შარშან, ფიგუმ მორატის აზრს ანგარიში გაუწია და დარჩა.

როგორ იქნება ამჯერად? მანჩინი ფიგუსთან ხელშეკრულების გაგრძელების პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს. მართალია, მათ შორის გაუგებრობას თითქოს წერტილი დაესვა, მაგრამ მანჩოს" 35 წლის ფიგუ აღარ სჭირდება. შესაბამისად, ლუიში, შეიძლება წავიდეს. მაგრამ იქნება ეს "ქუინზ პარკი" თუ ისევ არაბებისკენ იბრუნებს პირს, ჯერ თავადაც არ იცის.



# გოლამდე ჯარიმა იყო?

## იაკვინტას გოლი არ უნდა ჩაეთვალათო. ისევ სამსაჯო შეცდომებზე

კვირა ღამეს, ტურის ბოლო მატჩში, "იუვენტუსმა" "ნაპოლი" დაამარცხა (1:0). შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გამარჯვების გოლი **ვინჩენცო იაკვინტამ** გაიტანა. მოედანზე ახალშესულმა ფორვარდმა **დელ პიეროს** გადაცემა მიიღო და დიაგონალური დარტყმით ბურთი მიზანში მოარტყა. შეხვედრის შემდეგ, "ნაპოლის" მწვრთნელი **ედოარდო რეია** ირწმუნებოდა - ვიდრე იაკვინტა შეაგდებდა, **ლავეციზე** ჯარიმა იყო და არბიტრს თამაში უნდა გაეჩერებინაო.

*"ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სამწუხაროდ, 0:0 ვერ შევინარჩუნეთ. რაც შეეხება იაკვინტას გოლს, არბიტრს მანამდე თამაში უნდა შეეჩერებინა, რადგან ლავეცის წინააღმდეგ წესები დაირღვა და ის მოედანზე იწვა".*

იტალიის სამსაჯო კომიტეტმა "ნაპოლის" მწვრთნელის პრეტენზიები უსაფუძვლოდ მიიჩნია. გაირკვა ისიც, რომ "ატალანტა"-"ემპოლის" მატჩში, ბერგამოელმა **პადოინმა** ორივე გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა. საპირისპიროს ამტკიცებდა ტოსკანური მხარე. მათმა მწვრთნელმა **ალბერტო მალეზანიმ** ორივე შემთხვევაში თამაშგარე "დაინახა".

"კალიარი"-"ტორინოს" (3:0) შეხვედრაში არ უნდა დანიშნულიყო 11-მეტრიანი, რომელიც სტუმრებმა შეასრულეს. გამოჩნდა, რომ **პაროლას** ბურთი ხელზე არ მოხვედრია. თუმცა ტურინელთა ფორვარდმა **დი მიკელემ** არბიტრ **ჯირარდის** საჩუქარი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, "ტოროს" მხარე ჩივის იმაზე, რომ რეფერის არ უნდა დაენიშნა პენალტი "კალიარისთვის". წინა ეპიზოდისგან განსხვავებით, **აკვაფრესკამ** ეს 11-მეტრიანი გამოიყენა და ანგარიში 2:0 გახდა. შესაძლოა, არბიტრმა ერთი შეცდომის მეორით განეიტრალება სცადა.

"ფიორენტინა"-"ჯენოას" (3:1) თამაშში მთავარ განმსჯელს, თურმე, სამი პენალტი არ დაუნიშნავს. ერთზე გუშინდელ მიმოხილვაშიც ვწერდით. საქმე ეხება **ბორიელოსა** და **დონადელის** შეტაკებას. მსაჯმა, ვითომდაც სიმულაციისთვის, გენუელ ფორვარდს ყვითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ ფეხბურთელი ცამდე მართალი იყო და პენალტიც უნდა დაედო. თუმცა უფრო მკაცრად დაისაჯა "ფიორენტინა", რომელსაც ჯერ **კრიშიტოს** მიერ ხელით თამაშისთვის არ დაუნიშნეს 11-მეტრიანი, მერე კი **სანტანას** წინააღმდეგ წესი **დანილომ** დაარღვია.

"ლივორნო"-"პარმის" (1:1) შეხვედრაში, სტუმართა ფორვარდ **რეჟინალდოს** გოლის დროს, **ლუკარელი** თამაშგარეში იყო. ლივორნოელები ამტკიცებენ, რომ გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, რადგან პარმელი სიტუაციაზე გავლენას ახდენდა, თავად ლუკარელის კი მიაჩნია, რომ ის პასიურ "ოფსაიდში" იყო. სამსაჯო კომიტეტი კი ფიქრობს, რომ გამოცდილმა არბიტრმა **როზეტიმ** სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გოლიც ჩაითვალა.

"რეჯინა"-"სიენის" (4:0) მატჩში გასაუქმებელი იყო მეოთხე გოლი, რადგან **ამორუზო** თამაშგარეში ბრძანდებოდა. არბიტრ **გავას** ასისტენტმა **ვიაციმ** შეცდომა აღიარა.

"სამპდორია"-"კატანიის" (3:1) დაპირისპირებაში არბიტრ **რომეოს** არ უნდა ჩაეთვალა მასპინძელთა მეორე გოლი. მაგრამ ჯერ ის ვთქვათ, რომ არ უნდა დანიშნულიყო კუთხური, რომელსაც ეს გოლი მოჰყვა, ხოლო რაც შეეხება ეპიზოდს, **მაჯომ** აშკარად უბიძგა ხელი მცველ **ვარგასს**, რომელმაც ბურთზე კონტროლი დაკარგა, მომენტის განმუხტვა ველარ შეძლო და **აკარდიმ** ანგარიში 2:1 გახადა.

სპეკულაციები

# მოჯი: რანიერის ლიპი შეცვლის

**ლუჩანო მოჯი** კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მიუხედავად მისი საფეხბურთო იზოლაციისა, კალჩოს კულისებში დღემდე ღრმადაა ჩახედული და ყველა გადაადგილების თაობაზე წინასწარ უწყის. ამასწინათ, როცა საუბარი იყო **რობერტო მანჩინის** "ინტერიდან" წასვლაზე, რასაც თავად მწვრთნელმა გაუკეთა აფიშირება, მოჯიმ დაიჩემა - ეს ხომ მეც ვიცოდიო, თან გაცილებით ადრე, ვიდრე "ინტერი" "ლივერპულთან" წააგებდაო. ლუჩანონეს არგუმენტად მოჰყავდა მანჩინისა და **მასიმო მორატის** შორის დაძაბული ურთიერთობა. სხვათა შორის, "იუვეს" ექსბოსის სიტყვები ნაწილობრივ გამართლდა კიდეც. როგორც იცით, დარჩენის სანაცვლოდ, მწვრთნელმა პატრონს ულტიმატუმიც კი წაუყენა, მაგალითად, **ადრიანოსთან** კონტრაქტის გაწყვეტა და მისი გაყიდვა. მორატის პასუხი ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. თუმცა, რაკი მანჩინი დარჩა, ალბათ, ბოსი ამ მოთხოვნაზე თანახმაა.

რაც შეეხება მოჯის ახალ წინასწარმეტყველებას. ის თითქმის დარწმუნებულია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ **კლაუდიო რანიერის მარჩელო ლიპი** შეცვლის: *"სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ რანიერი "იუვენტუსში" არ დარჩება, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ადგილზე გავა ტურინული კლუბი. მისი შემცვლელი მარჩელო ლიპი იქნება. მას აბსოლუტურად სხვა ამოცანები ექნება გადასაჭრელი. ახლა, ამ ამოცანებს რანიერის წინაშე ველარ დააყენებენ, რადგან ეს ყველაფერს დაანგრევს. სეზონის დაწყების წინ, კლუბის დირექტორატმა მწვრთნელს უეფას თასზე მოხვედრა დაუსახა მიზნად, მაგრამ შესანიშნავმა სტარტმა და დღევანდელმა სატურნირო მდგომარეობამ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, პრობლემები შექმნა".*

მოჯისთვის ნათელია, რომ ამ გუნდით "იუვენტუსი" დიდ მიზნებს ვერ მიაღწევს და რომ მესამე ადგილი არის საამსეზონო ამოცანის მაქსიმუმი. მაგრამ დაძაბულობა შექმნა იმან, რომ რანიერისგან მეტი მოითხოვეს. და თქვენ გახსოვთ, რომ ამან ერთგვარი დაძაბულობაც შექმნა, როცა "იუვენტუსმა", ბოლო ორ მოგებამდე, სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

*"რანიერიზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და მოთხოვნების გაზრდა, აუცილებლად გამოიწვევს უთანხმოებას მწვრთნელსა და დირექტორებს შორის, რასაც აუცილებლად მოჰყვება რანიერის წასვლა. ლიპი კი მზადაა, "იუვენტუსში" მესამე ეპოქა დაიწყოს,"* - მიაჩნია მოჯის.

სხვათა შორის, ერთი თვის წინათ საუბარი იყო იმაზეც, რომ ლიპი "იუვეში" სპორტული დირექტორის პოსტზე დაინიშნებოდა. ამ თანამდებობაზე მომუშავე ჩინოსანს პირდაპირ ევალება სატრანსფერო საქმიანობისა და მწვრთნელის კონტროლი. ბუნებრივია, რანიერი ლიპის ჩრდილში მუშაობას არ მოისურვებს და არც იქნება გასაკვირი. შესაბამისად, "იუვენტუსის" დირექტორატისთვის მწვრთნელის წინააღმდეგ ეს ერთგვარ იარაღადაც შეიძლება იქცეს.




მოჯიმ ყველაფერი იცის

ვალენსია

# ჩემს მომავალზე უნდა ვიფიქრო

## დავიდ ვილიას მანჩესტერ იუნაიტედი ეპატიჟება...

"ვალენსიის" კატასტროფულმა თამაშმა და პერმანენტულმა წარუმატებლობამ **დავიდ ვილიას** მოთმინების ფიალა აუვსო. ესპანელი ფორვარდი დამცირებულად გრძნობს თავს. არც არის გასაკვირი, ვილიას უმაღლესი დონის ფეხბურთის თამაშის ამბიცია აქვს, მაგრამ კლუბი ამის საშუალებას არ აძლევს. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, რომ ვილია ყოველთვის "ვალენსიის" ერთგული იყო. მას არაერთი გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ ყველა უარით გაისტუმრა. ახლა კი სიტუაცი რადიკალურად შეიცვალა.

როგორც თავში მოგახსენეთ, ვილიას მოთმინების ფიალა აევსო: *"დავიღალე. ამდენი წაგება წონასწორობას მაკარგვინებს. თავს უფლებას მივცემ, განვაცხადო, რომ ვირივით ვშრომობ.*



დავიდ ვილია

*ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ სიტუაციის გაუმჯობესებას შევუწყო ხელი. საუბედუროდ, საშველი არ ჩანს. ამის გათვალისწინებით, გადავწყვიტე მენეჯერისთვის ჩემთან თანამშრომლობით დაინტერესებული კლუბების წინადადებები მოვისმინო. "ვალენსია" ძალიან მიყვარს. ამ გუნდმა ყველაფერი მომცა, მაგრამ ფეხბურთელის ცხოვრება ხანმოკლეა და ჩემს მომავალზე უნდა ვიზრუნო. ნებისმიერ წინადადებას შევისწავლი. დარწმუნებული გახლავართ, საკმაოდ საინტერესო ვარიანტები გამომიჩნდება. მოკლედ, სეზონის დასრულების შემდეგ ჩემ მენეჯერებს შრომატევადი სამუშაოს შესრულება მოუწევთ."*

ესპანური პრესის ინფორმაციით, დავიდ ვილიას ძალიან საინტერესო პერსპექტივა გამოუჩნდა. "დიარიო მარკას" მტკიცებით, ასტურიელ ფორვარდს "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. "ეშმაკებს" ფეხბურთელის შეძენის საშუალება მიეცათ. როგორც ნახეთ, თავდამსხმელი მზადაა, დაინტერესებული კლუბების შეთავაზებები მოისმინოს. ვალენსიელს მსურველები არ აკლია. "იუნაიტედის" გარდა, მას "ჩელსი", "ტოტენჰემი" და "ლივერპულიც" აკვირდებიან. "ჩელსის" დავიდის შეძენა გასული წლის იანვარში სურდა. მისი ტრანსფერის ჩაშლის გამო **ჟოზე მოურინიოსა** და **რომან აბრამოვიჩს** შორის, ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. რაც შეეხება "ლივერპულს", გასულ ზაფხულს **რაფა ბენიტესმა** ვილიას თანამემამულე **ფერნანდო ტორესი** შეიძინა. ტორესი პრემიერლიგას საუცხოოდ მოერგო. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ვილიაც ანალოგიურ წარმატებას მიაღწევს.

ტრანსფერი

# დიეგო რეალს მოურიგდა?

## სამეფო კლუბმა სავიოლა ტრანსფერზე დააყენა



დიეგო მადრიდში მიდისო

გერმანული სააგენტოების ცნობით, "ვერდერის" ვარსკვლავმა **დიეგომ** "რეალთან" კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეათანხმა. ინფორმაცია დასრულებული მოლაპარაკებების თაობაზე "ველთ ამ ზონთაგმა" მოგვაწოდა. მისი მტკიცებით, გაისად ბრაზილიელი ფლეიმეიქერი სამეფო კლუბში ითამაშებს. დიეგოსთან ხელშეკრულების გაფორმება გერმანელი მთავარი მწვრთნელის, **ბერნდ შუსტერის** დაჟინებული სურვილი იყო. იმავე სტატიაში ვკითხულობთ, რომ "ვერდერი" და "რეალი" ფეხბურთელის ფასზე ჯერაც არ შეთანხმებულან. ამიტომ გარიგების თაობაზე ოფიციალური კომენტარები გაკეთებას არავინ ჩქარობს.

გერმანელი მიმომხილველების ვარაუდით, დიეგოს გადაწყვეტილება რამდენიმე ფაქტორმა დააჩქარა: ბრემენელთა უეფას თასიდან გავარდნამ (ორი მატჩის ჯამში "რეინჯერსმა" 2:1 დაამარცხა), აგრეთვე დიეგოს მისამართით გახშირებულმა კრიტიკამ. ორიოდე დღის წინათ ფეხბურთელი მისმა ყველაზე თავგამოდებულმა დამცველმა და მოკავშირემ, "ვერდერის" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმაც** გააკრიტიკა. დიეგოს რამდენიმე თანაგუნდელთან კონფლიქტი აქვს. "ველთ ამ ზონთაგის" ცნობით, "ვერდერის" დირექტორებმა იმსჯელეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში, ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენება და სარფიანად გაყიდვა საუკეთესო გამოსავალია.

"რეალზე" საუბარს **ხავიერ სავიოლას** შესაძლო ტრანსფერით გავაგრძელებთ. არგენტინელი თავდამსხმელი თავის დროზე ესპანეთში არ უნდა წასულიყო, თუმცა მან არ იცოდა, რომ პრიმერა დივიზიონში სერიოზულად დაიტანჯებოდა. მოგეხსენებათ, "ბაჭია" პირენეებზე "ბარსელონამ" ჩაიყვანა. კატალონიელებმა მას უდიდესი იმედები დაუკავშირეს, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ სავიოლა მთი გეგმების რეალიზებაში დიდად ვერ დაეხმარებოდა. "ბარსამ" ფორვარდი გაანათხოვრა. ხავიერი "კამპ ნოუზე" გასული სეზონის დასაწყისში დაბრუნდა. კატალონიელებმა მას თავშესაფარი ვერ მოუნახეს და იძულებულები გახდნენ, ერთი წლით შეენახათ. **ჟოან ლაპორტა** წამითაც არ დაფიქრებულა, როცა მადრიდის "რეალის" წინადადება მიიღო. "ბარსას" პრეზიდენტმა სამხრეთამერიკელი მოსისხლე მტერს დიდი სიამოვნებით მიჰყიდა. მადრიდელები "ბაჭიას" ტრანსფერს დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ, მაგრამ ახალწვეულს მაშინვე მიანიშნეს, რომ ძირითად შემადგენლობაში ხშირად მოხვედრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. სავიოლა წინადადებას დაყაბულდა. სხვა გზა არც ჰქონდა, ფორვარდი სასოწარკვეთილებამდე იყო მისული და არჩევანი არც გააჩნდა.

მაგრამ საბრალო სავიოლამ კარიერა "სანტიაგო ბერნაბეუზეც" ვერ აიწყო. დრო გადის, თუმცა ოკეანისგაღმელი არათუ ძირითად შემადგენლობაში, შეცვლაზე თამაშსაც ვერ ახერხებს. ბუნებრივია, სრულიად გამოუსადეგარი ფეხბურთელისთვის ხელფასის გადახდა არავის ახარებს, მათ შორის **რამონ კალდერონსაც**. მოკლედ, მადრიდელებმა სავიოლა ტრანსფერზე დააყენეს. ესპანურმა გრანდმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ხავიერის გაყიდვა სურს და ნებისმიერ წინადადებას დიდი ინტერესით მოისმენს. სხვათა შორის, მადრიდელებმა ისიც გაახმაურეს, რომ არგენტინელს იაფად არ დათმობენ. თავად "ბაჭიას" კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

"რეალის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ყველაზე ადრე "სარაგოსა" გამოეხმაურა. არაგონელები მზად არიან დღესვე დაიწყონ მოლაპარაკება. სავარაუდოა, რომ **მიატოვიჩი** უახლოეს დღეებში უმასპინძლებს "სარაგოსის" ემისრებს.

შალკე

# ვესტერმანს ევროპა უნდა

## გერმანიის ნაკრებს ეს მცველი სჭირდება!

„შალკეს" მცველი **ჰაიკო ვესტერმანი**, რომელიც გელზენკირხენულმა კლუბმა გასულ ზაფხულს ბილეფელდის „არმინიიდან" შეიძინა, შესანიშნავ სეზონს ატარებს. გასულ პარასკევს „შალკემ" „დუისბურგი" რის ვაი-ვაგლახით დაამარცხა და ეს გამარჯვება კონკრეტულად 24 წლის მცველის დამსახურება გახლდათ, რომელიც აგერ უკვე მერამდენედ, **ლევან კობიაშვილის** გუნდს მხსნელად მოევლინა. მან „დუისბურგის" კარში გამარჯვების გოლი გაიტანა და ეს ვესტერმანის რიგით მე-4 გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში, რაც მცველისთვის იდეალური შედეგია. მანამდე მან „აინტრახტთან" დუბლი (!) შეასრულა (2:2), რის შემდეგაც „შტუტგარტსაც" გაუტანა (4:1). ახლა კი, ვესტერმანმა „ხუმარები" „დუისბურგთანაც" გადაარჩინა. ერთი სიტყვით, რაც დრო გადის, ჰაიკო თანდათან ამტკიცებს, რომ სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც გერმანიის ნაკრების



ჰაიკო ვესტერმანი შესანიშნავ სეზონს ატარებს

მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად გამოადგება. ყოველ შემთხვევაში, თუ ასე გააგრძელა, ვესტერმანი ავსტრია-შვეიცარიაში აუცილებლად გაემგზავრება. მართალია, ბუნდესგუნდში დებიუტი ჩააფლავა (ავსტრიასთან ცუდად ითამაშა), მაგრამ ეს არაფერს ცვლის – პირველ თამაშში მისგან ციდან ვარსკვლავების წყვეტას არც არავინ ელოდა. ლიოვი მომდევნო ტესტმატჩისთვის (26 მარტს შვეიცარიასთან) შემადგენლობას ხუთშაბათს დაასახელებს და ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ამ სიაში ვესტერმანიც მოხვდება. მით უმეტეს, რომ **კრისტოფ მეტცელდერი** ტრავმირებულია და მას შემცვლელი სჭირდება. თანაც, ვესტერმანის პლუსი ის გახლავთ, რომ დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში – როგორც ფლანგზე, ასევე ცენტრშიც.

*"ცხადია, დებიუტით მეც უკმაყოფილო გახლდით. ერთი სული მაქვს, როდის მომეცემა მომდევნო შანსი, რომ ჩემი შესაძლებლობები დავამტკიცო,"* – აცხადებს ვესტერმანი. ფაქტი ის გახლავთ, რომ შალკელმა მეორე შანსი ნამდვილად დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენელებმა ზედიზედ ორი თამაში მოიგეს, **მირკო სლომკას** გუნდი თამაშის ხარისხით მაინც კრიზისშია, რაც "დუისბურგთანაც" გამოჩნდა. ბოლო დროს განსაკუთრებით ცუდად **კევინ კურანი** გამოიყურებოდა, რომელმაც პარასკევს 458 წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა – მან ანგარიში გაათანაბრა.

**გოტფრიდ ლენცი**

ბარსელონა

# რა მოუვიდა რონალდინიოს?




"ბარსელონა" "ალმერიასთან" ფრის მეორე დღეს ბაზაზე გამოცხადდა და ულიმღამო ვარჯიში ჩაატარა. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ხასიათი ყველა ფეხბურთელს წახდენილი ჰქონდა. კარგად იცით, რომ ამ შეხვედრაში **რონალდინიოს** ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია. გაუჩოს იმედი ჰქონდა, რომ ორშაბათს სრული დატვირთვით ივარჯიშებდა, მაგრამ ამის შესაძლებლობაც არ მიეცა. ბრაზილიელი მინდორზე თანაგუნდელებთან ერთად გავიდა, მაგრამ ვარჯიში ზუსტად ექვს წუთში შეწყვიტა. მოედნის დატოვება მას ფიზმომზადების სპეციალისტმა **ხუანხო ბრაუმ** უბრძანა. რონალდინიოს ქუსლის მყესი აქვს დაჭიმული. მართალია საგანგაშო არაფერია, მაგრამ გარისკვა "ბარსელონას" ყოველთვის ძალიან ძვირად უჯდება. თუნდაც **ლეო მესის** ისტორია გავიხსენოთ.

მიუხედავად იმისა, რომ რონალდინიომ "ალმერიასთან" ტრავმის გამო არ უთამაშია, საზოგადოების ერთ ნაწილს ეჭვები აწუხებს. მათი აზრით, გაუჩოს ტრავმა თითიდან გამოწოვილი ამბავია და ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში რაიკაარდმა შეგირდი დისციპლინის დარღვევის გამო დასაჯა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ამ თემაზე ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ უფრო თამამად ისაუბრა: *"არ მიყვარს ხმაურიანი განცხადებები, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ასეთი სისულელე დიდი ხანია არ გამიგია. რონალდინიო დასჯილი რომ მყავდეს, ამას ხმამაღლა ვიტყოდი. ამ დილით ბაზაზე მოსულმა ყველა ჟურნალისტმა დაინახა, რომ გაუჩოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ასეთი გამოხდომები სერიოზულ საფრთხეს გვიქმნის. ძალიან გთხოვთ, მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვეცით."*

თემა მოგვიანებით თავად რონალდინიომ განაგრძო და დასჯის ფაქტი მანაც კატეგორიულად უარყო: *"მე არავის დავუსჯივარ, ან რატომ უნდა დამსაჯონ? რა დავაშავე. რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ. სამწუხაროდ, ბედი არ მწყალობს და ბოლო დროა მთელ დროს ტრავმების მკურნალობას ვახმარ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# მარიო გომესი ჩელსიში?

## შტუტგარტის თავდამსხმელს მანჩესტერ იუნაიტედიც ეპატიჟება, კუდიჩინი კი შეიძლება ტოტენჰემში წავიდეს...


მარიო გომესი

ინგლისური სააგენტოების ცნობით, "ჩელსი" "შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ **მარიო გომესით** დაინტერესდა. 22 წლის ფეხბურთელს დიდი რიგი უდგას. მას იტალიური გრანდები - "მილანი", "იუვენტუსი" და "რომაც" ეპატიჟებიან. "სანის" ცნობით, გომესის შეძენაზე არც "მანჩესტერ იუნაიტედი" იტყოდა უარს. მისი შტუტგარტული კონტრაქტი ოთხი წლის შემდეგ იწურება, თუმცა გერმანიის მოქმედი ჩემპიონები მზად არიან, სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ფეხბურთელს სეზონის დასრულებისთანავე გამოეთხოვონ.

"არისტოკრატებს" თავდასხმის გაძლიერება სურთ. როგორც ჩანს, **ანდრეი შევჩენკოს** სამსახურის შეცვლა მოუწევს. ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა **კლაუდიო პისაროს** თამაშითაც. ის ლონდონში გასულ ზაფხულს, მიუნხენის "ბაიერნიდან" გადავიდა. პერუელი ფორვარდი თავისუფალი აგენტი იყო. მის შესაძენად ერთი ცენტიც არ გადაუხდიათ. გომესის გარდა, "ჩელსის" ყურადღება "ინტერის" ახალგაზრდა თავდამსხმელმა **მარიო ბალოტელიმაც** მიიპყრო. ის 17 წლისაა და მილანელთა სარეზერვო გუნდში ასპარეზობს. "ინტერი" ბალოტელისთან პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. შეთანხმების შემთხვევაში, განური წარმომავლობის ფეხბურთელი "სან სიროზე" 2013 წლამდე დარჩება.

"ჩელსის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას "რეალის" ცენტრალური თავდამსხმელის, **პეპეს** შეძენაც სურს. ამ ფეხბურთელით ჯერ კიდევ **ჟოზე მოურინიო** იყო დაინტერესებული. პეპეს ლონდონში იმ დროს ეპატიჟებოდნენ, როცა ის ჯერ კიდევ "პორტუში" თამაშობდა. პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავი 25 წლისაა. უცნობია, რა დაუჯდებათ ინგლისელებს მისი შეძენა, თუ სამეფო კლუბი ფეხბურთელის ტრანსფერს დათანხმდება.

"ჩელსის", შესაძლოა, **კარლო კუდიჩინისთან** გამოთხოვება მოუხდეს. იტალიელ მეკარეს "ტოტენჰემი" ეპატიჟება. ამ ინფორმაციას "დეილი ექსპრესი" ავრცელებს. კუდიჩინი ერთადერთი გოლკიპერი არ არის, რომელსაც "მამლები" აკვირდებიან. **ხუანდე რამოსი** კარის დარაჯს მშობლიურ პრიმერა დივიზიონშიც ეძებს. მას ესპანიოლელი **კარლოს იდრის კამენი** და ვილიარეალელი **დიეგო ლოპესი** მოსწონს. ლოპესზე დიდი მოთხოვნაა. ამ ბიჭმა "მილანის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ატლეტიკოს" ყურადღებაც მიიპყრო.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ლუიშ ფაბიანო: რეალი თუ მანჩესტერი?

## ეშმაკებს სხვა ეშმაკებთან კამერუნელი ნახევარმცველის გაყოფა მოუწევთ...


ლუიშ ფაბიანო არჩევანის ზღვარზე

"მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა, სევილიელ თავდამსხმელ **ლუიშ ფაბიანოს** დღევანდელზე სამჯერ მეტი ხელფასი გადაუხადოს. "ეშმაკები" ანდალუსიელებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მათ სურთ, გარიგება სეზონის დასრულებამდე გაჩარხონ. "იუნაიტედის" ემისრები სევილიაში რამდენჯერმე ჩავიდნენ და ფაბიანოს თამაში ნახეს. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, მანჩესტერელთა გააქტიურება ესპანეთიდან მიღებულ ინფორმაციას უკავშირდება. ფეხბურთელის აგენტი მადრიდის "რეალის" წარმომადგენლებს შეხვდა და შესაძლო თანამშრომლობის დეტალები განიხილა.

"სევილია" ფაბიანოს კვირაში 15 ათას გირვანქას უხდის. "იუნაიტედში" გადასვლის შემთხვევაში, მას კვირაში 50 ათასს მიუთვლიან. თავის გამოჩენის შემთხვევაში, ფეხბურთელს კიდევ უფრო მეტი შემოსავალი ელოდება. მოგეხსენებათ, მანჩესტერელ ლიდერებს ამაზე ორჯერ მეტს უხდიან. ფეხბურთელი მხოლოდ სევილიას არ ეკუთვნის. მისი სატრანსფერო უფლებების ნახევარი კომპანია "გლობალ სპორტს ინვესტმენტის" საკუთრებაა. ასე რომ, დაინტერესებულ კლუბებს მასთანაც მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ვარაუდით, ფეხბურთელი 8 მილიონი გირვანქა ღირება.

"იუნაიტედს" კამერუნელი ნახევარმცველის, **სტეფან მბიას** შეძენაც სურს, მაგრამ სერიოზული კონკურენტი ჰყავს. მბიას "ლივერპულიც" ეპატიჟება. ახალგაზრდა ფეხბურთელს ძნელი არჩევანის გაკეთება მოუწევს. სტეფანი 21 წლისაა. ის ფრანგული რენის ღირსებას იცავს. იანვრის ტრანსფერებისას მას "მანჩესტერ სიტიდან" შეეხმიანნენ. სიტის ხელმძღვანელობას მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ახალი განცხადება არ გაუკეთებია. მბია საკმაოდ იაფი, 5 მილიონი გირვანქა ღირს. მან ინგლისური გრანდების ყურადღება აფრიკის ერთა თასის გათამაშებისას მიიპყრო. სტეფანმა განაში ორი გოლი გაიტანა. ფეხბურთელმა იცის "მანჩესტერისა" და "ლივერპულის" დაინტერესების შესახებ და მზადაა, საინტერესო წინადადებები განიხილოს: *"მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არ მივიღებ. აუცილებლად დაველაპარაკები ჩემს მშობლებს და რენის მთავარ მწვრთნელ პიერ დრეოსის. ვნახოთ, ისინი რას მირჩევენ."* მბია საყრდენი ნახევარმცველია და დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშიც შეუძლია.

ტოტენჰემი

# რობი კინი აღშფოთდა

## რამოსმა მამლების კაპიტანი ბოლო ექვს თამაშში მეხუთედ შეცვალა...

გასულ უქმეებზე "ტოტენჰემი" "მანჩესტერ სიტის" ესტუმრა და 1:2 წააგო. ლონდონელთაგან გოლი **რობი კინმა** გაიტანა. 67-ე წუთზე მთავარმა მწვრთნელმა **ხუანდე რამოსმა** ის სხვა თავდამსხმელით, **დარენ ბენტით** შეცვალა. ირლანდიელი ისე გაგულისდა, რომ მინდვრიდან გასვლისას ხელში მიწოდებული საწვრთნელი კოსტუმი შორს მოისროლა, სკამზე დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო. ნამატჩევს "ტოტენჰემის" თავკაცს მის საქციელზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს.

ესპანელმა დამრიგებელმა მომხდარის დრამატიზებისგან ყველას თავის შეკავება ურჩია: *"ვფიქრობ, გასაოცარი არაფერი მომხდარა. მეტიც, სავსებით ნორმალურია, როცა ფეხბურთელს მინდორზე დარჩენა და თამაშის გაგრძელება სურს და იმედგაცრუებულია, როცა ამის საშუალება არ ეძლევა. არ დამინახავს, კოსტუმი როგორ მოისროლა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ეს ფეხბურთია. ამიტომ ყველაფერი ხდება."*

მიმომხილველებმა ბოლო თამაშებს თვალი გადაავლეს და აღმოაჩინეს, რომ ბოლო ექვსი მატჩიდან რამოსმა კინი ხუთში შეცვალა. რა გასაკვირია, რომ "ტოტენჰემის" კაპიტანი უკმაყოფილო იყოს. *"ფეხბურთელებს დასვენება სჭირდებათ. მომეჩვენა, რომ ის (კინი) გადაღლილი იყო. აარონ ლენონიც ამავე მიზეზით შევცვალე. სულის მოთქმა არავის აწყენს,"* - დასძინა რამოსმა.

"ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კაპიტნის საქციელის განხილვას არ აპირებს. მით უმეტეს, უსაფუძვლოა სპეკულაციები ფეხბურთელის მოსალოდნელი დაჯარიმების თაობაზე. "მამლების" უსახური კვირა გამოუვიდა. ხუთშაბათს ისინი უეფას თასის მერვედფინალიდანაც გავარდნენ. ლონდონელები ჰოლანდიის ჩემპიონ "ეინდჰოვენთან" პენალტების სერიაში დამარცხდნენ.


რობი კინი

# რონალდო პელეს წინააღმდეგ, თუ პირიქით...

ცნობილია, რომ **რონალდოს** მძიმე ტრავმა აქვს და მთელი 9 თვის განმავლობაში მოუწევს მკურნალობა. თავიდან, ის ფეხბურთიდან წასვლაზეც დაფიქრდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, როცა პარიზიდან მილანში დაბრუნდა, "აღმოაჩინა", რომ ყველაფერი კარგადაა, მოთმინებით დაელოდება განკურნების პროცესს და აუცილებლად დაბრუნდება...

"ფენომენის" თანამემამულე, "ფეხბურთის მეფედ" წოდებული **პელე**, ეჭვქვეშ აყენებს "კიჭას" ხელახალ დაბადებას - შეიძლება, დაბრუნდეს, მაგრამ ის რონალდო აღარ იქნებაო. დღევანდელი რონალდო რომ "ის" რონალდო აღარ არის, პელეს გარდა კიდევ ბევრმა იცის, მაგრამ ამ სიტყვების ადრესატმა სახელოვანი ფეხბურთელის შენიშვნა მაინც მტკივნეულად მიიღო. მაგრამ ჯერ პელეს არგუმენტებს მოვუსმინოთ:

*"არ მგონია, რონალდომ ისეთივე ფეხბურთი ითამაშოს, როგორც ადრე. მედიცინა წინ წავიდა, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ასაკსაც. ბედნიერი ვიქნებოდი, 100 პროცენტით რომ აღიდგინოს ძველებური ბრწყინვალება, მაგრამ ძალიან ვშიშობ, რომ ასე არ იქნება".*

ახლა, რონალდოს პასუხი: *"რაო? პელემ თქვა, რომ ძველი რონალდო აღარ იქნებაო? ბედნიერი ვარ, თუ მართლა ასე თქვა, რადგან ყველამ იცის, რომ პელეს პროგნოზი არასოდეს მართლდება".*

მართლია რონალდო. დრომ დაამტკიცა, რომ პელე რასაც ამბობს, ყველაფერი პირიქით ხდება. "ფეხბურთის მეფეს" პრეტენზია აქვს, რომ ზუსტი პროგნოზი და ანალიზი აკეთოს, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით. მაგალითად, 1986 წლის მუნდიალზე მან გამარჯვება უწინასწარმეტყველა ურუგვაის ნაკრებს, რომელიც ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და თან დანიასთან 1:6 შერცხვა. მერე თქვა - 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატს კოლუმბია მოიგებსო და გეცოდინებათ, რომ ესეც გვარიანად "ააცილა".

შემდეგ, პელე ცოტა ხნით პროგნოზებს შეეშვა და "ხელობას" 2002 წელს მიუბრუნდა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, მთელი ბრაზილიისთვის სულისშემძვრელი წინასწარმეტყველება დაწერა - **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდი მუნდიალზე ჩაფლავდებაო. არადა, ხსენებული მუნდიალი სწორედაც რომ სკოლარის ნაკრებმა მოიგო. ამაზე თქვა მაშინ "დიდმა ფილმა" - პელეს ფეხბურთისა არაფერი გაეგებაო.

კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მილიონერებიც ტირიან ხოლმე...

## რომელი ფეხბურთელები უნდა მოკვეთოს ჰიტცფელდმა?





დაცემულები: მიროსლავ კლოზე, ფილიპ ლამი და ლუსიო

**ული ჰიონესი „ბაიერნის“ მენეჯერად 1979 წელს დაინიშნა და მას მერე ყველა ფეხბურთელი მისი ნაყიდია. არაერთხელ იყო შემთხვევები, როცა მილიონერი მოთამაშეები ენაჭარტალა ულის იმედებს უცრუებდნენ. თანაც ისეთ დროს, როცა ამას არავინ ელოდა.**

შაბათს, საფეხბურთო გერმანიამ პირი დაალო: ბუნდესლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა და ჩემპიონობის უპირველესმა კანდიდატმა მიუნხენის "ბაიერნმა" აუტსაიდერ "კოტბუსთან" 0:2 წააგო. ამ ფაქტს მოულოდნელობასაც ვერ დავარქმევთ, ეს უფრო სასწაული იყო... და არც იყო! ცხადია, არავინ დაიჯერებს, რომ "კოტბუსი" "ბაიერნზე" ძლიერია და ამის დაჯერებას არც არავინ ითხოვს. ფაქტი ის გახლავთ, რომ რეკორდმაისტერი, სახელდობრ "ვერდერთან", უდიდესი კონცენტრაციით ითამაშებდა და ითამაშა კიდეც, როცა საჭირო იყო. შესაბამისად, ვერც "ვერდერმა" და ვერც სხვა ძლიერმა გუნდებმა (გარდა „შტუტგარტისა"), ბავარიულ გიგანტს ვერაფერი დააკლეს. უსუსურმა "კოტბუსმა" კი დააკლო... 3 ქულა!

ფეხბურთელებმა მწვრთნელი განირეს. ამიტომაც იყო, რომ მატჩის შემდეგ **ოტმარ ჰიტცფელდს** დანა პირს არ უხსნიდა. *"გაკვირვებული ვარ, იმედგაცრუებული და გაოგნებული. ჩვენზე უკვე ისე ლაპარაკობენ, როგორც გერმანიის ჩემპიონებზე და აი, "კოტბუსთან" ისე ვითამაშეთ, როგორც მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენლებმა. როგორც ჩანს, ფეხბურთელები ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ. და ზოგიერთმა მათგანმა უკვე ჩათვალა, რომ "ვერცხლის სინი" ჯიბეში გვაქვს,"* – გაცოფებული გახლდათ "გენერალი", რომელიც "ამ საქმეს ასე არ დატოვებს".

1:2 "ანდერლეხტთან", 0:2 "კოტბუსთან" – ვერაფერს იტყვი, მშვენიერია. მაგრამ თუ უეფას თასზე წაგება უმტკივნეული იყო („ბაიერნი" მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდა), "კოტბუსთან" მარცხმა რეკორდმაისტერის ფანებს უდიდესი ტკივილი მიაყენა. ჰო, ეგებ ამ მარცხმა საბოლოო ჯამში გავლენა მაინც არ იქონიოს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, პრესტიჟის ამბავია - "ბაიერნი" "კოტბუსთან" არ უნდა აგებდეს. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ **მარტინ დემიკელისმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნახევარდაცვაში ათამაშებენ. განაცხადა, მცველი ვარ და დაცვაში მსურს ასპარეზობაო. შედეგი: ჰიტცფელდმა არგენტინელი განაცხადიდან საერთოდ ამოშალა.

ჰიტცფელდი: *„ძალიან არ მომწონს ის ფაქტი, რომ ფეხბურთელი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ვიცი, რატომაც უნდა დემიკელისს დაცვაში თამაში. მან იცის, რომ არგენტინის ნაკრებში მოხვედრის შანსი მხოლოდ მცველის რანგში ექნება და გამოდის, რომ "ბაიერნის" შემთხვევაში ეგოისტობს. თორემ ვერ ვხვდები, რა პრობლემაა, ნახევარდაცვაში რომ ითამაშოს. განა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა საყრდენად ვათამაშებთ? ყველამ იცის, რომ მარტინი ჩინებული ჩამშლელია."* ამ დისკუსიას გაგრძელება გარანტირებული აქვს: დემიკელისს უნდა, რომ ოლიმპიადაზე იასპარეზოს, ბავარიელებს კი მისი გაშვება არ სურთ...

ჰიტცფელდი იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც კოტბუსში იმედები გაუცრუეს, სათადარიგოთა სკამზე ან სულაც ტრიბუნაზე დასმით დაემუქრა. *"მომავალში ასეთ შემთხვევებს სასტიკი ქმედებით ვუპასუხებ და დამნაშავეებს დავსჯი – ან სკამზე დავსვამ, ან სულაც ტრიბუნაზე,"* – აცხადებს "გენერალი".

ხვალ, ბავარიელები გერმანიის თასის ნახევარფინალში "ვოლფსბურგს" ხვდებიან. და ჩვენი გერმანელი კოლეგები ჰიტცფელდს შემდეგი ფეხბურთელების დასჯას, ანუ, ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებას ურჩევენ:

ნომერ პირველი მსხვერპლი **დანიელ ვან ბუიტენი** უნდა იყოს. 30 წლის ბელგიელს „კოტბუსთან" თითქოს ორთაბრძოლებში შესვლა ეზარებოდა. სასტარტოში თამაშის ღირსი აღარც **ლუსიოა**. 29 წლის ბრაზილიელი ზედმეტად აგრესიული და ქაოტური გახლდათ და **ბრანკო იელიჩის** ორივე გოლში მიუძღვოდა ბრალი. მის ნაცვლად თამაში ახალგაზრდა ბრაზილიელ **ბრენოს** შეუძლია, რომელიც იბრძოლებს მაინც... მომდევნო მსხვერპლი: **ფილიპ ლამი**. ეს უკანასკნელი არც შეტევაში ვარგოდა და არც დაცვაში. 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, ლამს ფეხბურთი კარგად აღარ უთამაშია და დროა, მის ზარმაცობასაც შესაბამისი შედეგი მოჰყვეს. ლამის შეცვლა **მარსელ იანსენს** შეუძლია, რომელიც მას ბოლო დროს აშკარად სჯობნის.

წესითა და რიგით, "ვოლფსბურგთან" არც **ბასტიან შვაინშტაიგერმა** უნდა ითამაშოს. შვაინი „კოტბუსთან" ძალიან ცოტას მოძრაობდა, თითქოს ფეხებს უფრთხილდებოდა, დევიზით, „კოტბუსს" ხომ უბრძოლველადაც მოვუგებთო. *„ბასტიანი იმ გზას ადგას, რომელიც წლების განმავლობაში ლარს რიკენმა გაიარა. ანუ, ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ეს ტალანტიც ჩაიკარგება და მისი ვარსკვლავიც ჩაქრება. არ მინდა, რომ შვაინშტაიგერიც მუდმივად ნიჭიერ ფეხბურთელად იწოდებოდეს. არ მინდა, რომ მასაც იგივე დაემართოს, რაც თავის დროზე რიკენს დაემართა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ შვაინი არა მარტო ერთ ადგილზე დადგა და პროგრესს ველარ განიცდის, არამედ ის, რომ მას რეგრესი დაეწყო! მე მას გუნდის გამოცვლას ვურჩევდი,"* – ეს სიტყვები ლეგენდარულ ბავარიელს, **შტეფან ეფენბერგს** ეკუთვნის.

პაუზა ესაჭიროება **მიროსლავ კლოზესაც**. მის შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მირომ ბუნდესლიგის ბოლო 16 შეხვედრაში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, რაც მისთვის ძალიან ცუდი, მეტიც, კატასტროფული შედეგია. მოკლედ, კლოზეს, ასე ვთქვათ, „მოსაფიქრებელი პაუზა" სჭირდება. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ამ ეტაპზე მონდომებული **ლუკას პოდოლსკი** უკეთ იასპარეზებს.

პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი**: *„ახლა გუნდისგან ორი თამაშის მოგებას ველი - თასის ნახევარფინალში „ვოლფსბურგთან" და ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ლევერკუზენთან". იმისთვის, რომ „კოტბუსთან" განცდილი სამარცხვინო მარცხი დავფაროთ, ორივე თამაში უნდა მოვიგოთ. ზედმეტად ხშირია შემთხვევები, როცა „ბაიერნი" უპირატესობის გაზრდის შანსს ვერ იყენებს. „ბაიერნი" ის გუნდია, რომელიც „კოტბუსის" დარ მეტოქეებთან ქულებს არ უნდა კარგავდეს."*

**ლუკა ტონი** ხელმძღვანელობიდან არავის გაუკრიტიკებია, მაგრამ, აბა ისე როგორ იქნებოდა, მიმომხილველებს იტალიელისთვისაც არ გაეკრათ კბილი. ტონი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ საკრიტიკო მასაც გამოუნახეს. გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ „კოტბუსთან" **ფრანკ რიბერიმ** პენალტი ვერ გაიტანა („ენერგის" მეკარე **გერჰარდ ტრემელმა** აუღო). ეს პენალტი სწორედ იტალიელის მოპოვებული გახლდათ. საკვირველი კი ის არის, რომ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა რიბერი კი არ გააკრიტიკეს, რომელმაც თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა, არამედ ტონი, რომელმაც პენალტი მოიპოვა! რატომ? ლუკამ ისიმულიანტა! იტალიელებისგან განსხვავებით, გერმანელები „ყველა ხერხით ბრძოლის" წესს არ აღიარებენ, უფრო სწორად, ძალიან კარგადაც აღიარებენ, უბრალოდ, რაკი სხვა ვერაფერი უპოვეს, ტონის ამის გამო მისდგნენ. „ბილდი" წერდა, ეს იტალია არ არის, სადაც ყოველთვის და ყველაფერზე ეცემიანო. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ტონის პენალტი თვითონ რომ დაერტყა და ვერ გაეტანა... რიბერიზე კი, კრიტიკული სიტყვები არავის დასცდენია...

**გოტფრიდ ლენცი**

### ბაიერნის სამარცხვინო წაგებები

■ ბუნდესლიგა: 1989 წლის 13 მაისს „ბაიერნი" საკუთარ მოედანზე „შტუტგარტერ კიკერსთან" 0:2 დამარცხდა, 1992 წლის 4 აპრილს კი, იმავე გუნდთან სტუმრად 1:4 განადგურდა. „შტუტგარტერ კიკერის" არც მაშინ იყო რამის მაქნისი გუნდი. 1995 წლის 2 მარტს ბავარიელებმა შინ „ზტ. პაულისთან" 0:1 წააგეს, 2002 წლის 6 თებერვალს კი სტუმრად, 1:2. 1994 წლის 23 აგვისტოს „ბაიერნი" ფრაიბურგში, ფოლკერ ფინკეს „საბავშვო ბაღთან" 1:5 განადგურდა. 2006 წლის 30 სექტემბერს მიუნხენელები აუტსაიდერ „ვოლფსბურგთან" 0:1 დამარცხდნენ, 8 ნოემბერს კი, საკუთარ მოედანზე კვლავ აუტსაიდერ „ჰანოვერთან" წაგეს – 0:1.

■ უეფას თასი: 1980 წლის 22 აპრილს „ბაიერნი" ნახევარფინალში ფრანკფურტის „აინტრახტთან" 1:5 განადგურდა, 1991 წლის 22 ოქტომბერს კი, სიორენ ლერბის მწვრთნელობის დროს, „კოპენჰაგენთან" შერცხვა (2:6) და ტურნირს მეორე ეტაპიდან გამოეთიშა.

■ გერმანიის თასი: 1990 წლის 4 აგვისტოს რეკორდმაისტერი მეოთხე ლიგის წარმომადგენელ „ვაინჰაიმთან" დამარცხდა (0:1). 1991 წლის 19 აგვისტოს კი იყო წაგება მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ჰომბურგთან" (2:4 დდ). იმ სეზონში „ბაიერნმა" სამი მწვრთნელი გამოიცვალა (ჰაინკესი, ლერბი, რიბეკი). 1994 წლის 14 აგვისტო: სამარცხვინო წაგება მესამე ლიგის წარმომადგენელ „ფესტენბერგსგროიტთან" - 0:1 („ბაიერნს" იმ დროს ჯოვანი ტრაპატონი წვრთნიდა). 2000 წლის 1 ნოემბერი: მარცხი პენალტების სერიაში, ობერლიგის კლუბ „მაგდებურგთან" – პენალტები იენს იერემისმა და ჯოვანი ელბერმა ვერ გაიტანეს.

გერმანიის თასი. ნახევარფინალის წინ

# დოლის მძიმე მისია

### დღეს ბორუსიამ კარლ ცაისი უნდა დაამარცხოს, თორემ...

დორტმუნდის „ბორუსია", რომელიც შაბათს „ჰამბურგთან" 0:1 დამარცხდა, დღეს გერმანიის თასის ნახევარფინალში იენის „კარლ ცაისს" ხვდება. ახლა აღარ დავიწყებთ იმაზე საუბარს, თუ როგორ გაალწია მეორე ბუნდესლიგის უიმედო აუტსაიდერმა გერმანიის თასის ნახევარფინალში, ფაქტი ის არის, იენელები აქამდე მოვიდნენ და ცხადია, ფინალზეც ოცნებობენ.

დორტმუნდელებმა სეზონის დასაწყისში მიზნად ევროსაგზურის მოპოვება დაისახეს. პროგრამა მინიმუმს უეფას თასი შეადგენდა, თუმცა ვესტფალიელები ჩემპიონთა ლიგაზეც ოცნებობდნენ და სჯეროდათ, რომ თუ სამეულში არა, ხუთეულში მოხვედრა ნამდვილად შეეძლოთ. მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – „ბორუსიას" ხუთეულში მოხვედრის შანსი აღარ აქვს და ამთავითვე ცხადია, რომ თავმომწონე დორტმუნდელები ბუნდესლიგაში ველარაფერს მიაღწევენ. მოკლედ, „ბორუსიას" ევროპაში გასვლის ერთადერთი შანსი დარჩა – გერმანიის თასი.



თომას დოლს ყურადღებით ყოფნა მართებს

შესაბამისად: თუ ისე მოხდა, რომ „დორტმუნდი" „კარლ ცაისთან" დამარცხდა, მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** ყველაფერი თავზე დაემხობა. თორემ ბუნდესლიგაში ვესტფალიელებს ძალიან ცუდად აქვთ საქმე - დოლის გუნდი მე-13 ადგილზეა და მეხუთეადგილოსანს 12 ქულით ჩამორჩება, თანაც, დორტმუნდულ კლუბს პერსპექტივაც არაფერს უქადის, რადგან 40 გოლი (!) აქვს გაშვებული და ამ მხრივ გერმანიის პირველობის ერთ-ერთი უარესი მაჩვენებელი აქვს.

ერთი სიტყვით, დღევანდელი მატჩი დოლისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ბერლინის ფინალისთვის ბრძოლა. დიდი შანსია, რომ წაგების შემთხვევაში ეს შეხვედრა თომასისთვის, „ბორუსიის" მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელი აღმოჩნდეს. *„დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებთ. სხვა რამეზე არ ვფიქრობ და არც მინდა, რომ ვიფიქრო,"* – ეს „ბორუსიის" გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

მეტოქე ერთი შეხედვით ძალიან სუსტია – „კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგის ფსკერზეა და გადარჩენის მხოლოდ თეორიული შანსილა აქვს. არცაა გასაკვირი, კაპიტანი **კრისტიან ვიორნსი** ასეთ რამეს რომ ამბობს: *"პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „კარლ ცაისთან" მატჩი ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ჩატარებულ შეხვედრებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია."*

*„სერიოზული ამოცანის წინაშე ვდგავართ და ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ,"* - ეს კი **მლადენ პეტრიჩის** სიტყვები გახლავთ. თუკი ფეხბურთელებს უნდათ, რომ დოლი პოსტზე დარჩეს, „კარლ ცაისი" უნდა დაამარცხონ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა ფეხბურთელებს მწვრთნელი არ სდომებიათ. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს „ბორუსიის" მოთამაშეები დოლის წინააღმდეგ ხშირად ილაშქრებენ. ესეც არ იყოს, წარმოუდგენელია, რომ „კარლ ცაისმა" „დორტმუნდის" გაგდება შესძლოს, მით უმეტეს, რომ თამაში „ვესტფალენშტადიონზეა"...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები



გაგრძელება. დასაწყისი №41

## პორტუგალიით სიამოვნება ღირსება და ნაკლი

თუ იტალიური ფეხბურთი სულ მცირე რაოდენობის დეტალებით იწყობა, პორტუგალიური - გაცილებით რთული კონსტრუქციაა. თუმცა მის ელემენტებში ბევრი დეფექტის ალმოჩენა შეიძლება. როცა პორტუგალიელები დაცვიდან თამაშობენ, ისინი ხშირად ბურთს უადგილო ადგილას კარგავენ: გახსოვთ პენალტი, რომელიც **ფერნანდო კოუტუმ** თურქებთან მატჩში შექმნა? როცა მეტოქის მრავალსვლიანი კომბინაციით დაბნევა სურთ, თავად კარგავენ სივრცეს და ამის გამო გაუძლო ათკაციანმა თურქეთმა მეტოქეს. როცა არ იყენებენ ფლანგებს, საკუთარ თავს დიდ პრობლემებს უქმნიან: მაგალითად, როცა **ფიგუს** გოლის წყურვილის მოკვლა უნდა და ამის გამო ცენტრისკენ იწევს, ეს ხშირად აშკარად ვერ ჯდება ფოკუსში. შეცდომებისა და არააუცილებელი რისკების ჩამოთვლა კიდევ შემიძლია, მაგრამ ყოველთვის ცინიკოსი პრაგმატიკოსები იტყვიან: *"თქვენი მოსაწონი არ არსებობს..."*

ღირსებების ჩამოთვლას კი იმით დავიწყებ, რომ პორტუგალიელებმა მიიღეს ღია ფეხბურთის გამოწვევა და მასში მთელი თავიანთი არსებით გადაეშვნენ. იტალიელები თავს გვაჩვენებენ, პორტუგალიელები კი, გულწრფელნი არიან. ესაა სხვაობა.

## კარგი და ბევრი

ფეხბურთი სულ უფრო უახლოვდება თეატრს, ფეხბურთელი კი - მსახიობს. და მაყურებლები სულ უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებენ როგორც დრამატურგიის ხარისხის, ასევე შესრულების ოსტატობის მიმართ. ლუიშ ფიგუ იმათ რიცხვს განეკუთვნება, რომლებსაც ალფრთოვანებაში მოჰყავთ მიმდევრები და დანარჩენებში ალიარებას ჰპოვებენ. ის ნამდვილი პროფესიონალია და ჩვენ შეგვიძლია მინიმუმ ათი მოტივი მოგიყვანოთ იმისა, რომლის გამოც ალფრთოვანება უნდა გამოვხატოთ.

მისი ადგილსამყოფელი მარჯვენა ფლანგია, სახასიათო ნიშანი - გამოხტომები, რომლებისთვისაც ის მუდმივად ეძებს ყველაზე შესაფერის ადგილსა და დროს. სპექტაკლში მისი როლი შეუფასებელია. როცა უტევს - ყოველთვის სახიფათოა, როცა თავს იცავს - ყოველთვის სოლიდარული. როცა იგებს - არ მოდუნდება, როცა აგებს - თავს არ კარგავს. ის როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მეტოქესთან მატჩში შესამჩნევი ფიგურაა, როცა ფლანგზე აჩქარდება ან ცენტრისკენ მიიწევს, როცა დიაგონალურ რეიდებს ასრულებს, როცა პასს აკეთებს ან კარში ურტყამს.

ფიგუ ერთდროულად კარგად თამაშობდა "ბარსელონაში" და თამაშობს "რეალსა" თუ პორტუგალიის ნაკრებში. მათ, ვინც ქედს იხრის მისი მრავალმხრივი ნიჭის წინაშე, კიდევ ერთი შესაძლებლობა აქვთ დარწმუნდნენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სასწაულთან: ფიგუმ დაუჯერებელი ჩვეულებრივად აქცია.

## გუშინ, დღეს, სამუდამოდ

ერთის მხრივ, ისტორია სიამაყითა და დამაჯერებლობით გვავსებს, მეორე მხრივ - პატივისცემასა და პასუხისმგებლობის გრძნობას შთაგვაგონებს. სხვადასხვაგვარად ფასდება საფრანგეთის ნაკრების მაისურა 1998 წლის მუნდიალამდე და მის შემდეგ. მე, როგორც მოთამაშემ გადავკვეთე ეს საზღვარი და გარწმუნებთ, რომ 1978 წლის შემდეგ (პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც არგენტინამ მოიგო), ნაკრების მაისურამ მეტი წონა შეიძინა. ფეხბურთი ისტორიას პატივს სცემს, ბურთი - არა. ევრო 2000-ზე გერმანია და ინგლისი ერთ სალამოს დაეცნენ, ხოლო ფეხი მათ კლასიკური ყაიდის ორმა ნაკრებმა დაუდო, რომლებიც ბურთს კარგად ეპყრობიან: რუმინეთმა და პორტუგალიამ.

იმ მოცემულ მომენტში რუმინელები და პორტუგალიელები უკეთესები იყვნენ, თუმცა უბრალო ჭეშმარიტებას ლალადებენ: პატივისცემით უნდა მოეპყრა ბურთს, ყოველთვის უნდა გახსოვდეს თანაგუნდელი და უნდა დაეხმარო მას, ორგანიზებულად დაიცვა თავი, არეგულირო სიჩქარე იმის მიხედვით, თუ მოედნის რომელ მონაკვეთს გადიხარ...

აუცილებლად მიგიყვანს თუ არა ეს გამარჯვებამდე? ამ შემთხვევაში ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩატარებულ მატჩებში პორტუგალიამ ყველას იმათი სიმპათია დაიმსახურა, ვისაც კომბინაციური ფეხბურთი უყვარს.

ინგლისელთა მწვრთნელმა **კევინ კიგანმა** ირონიის გარეშე განაცხადა, რომ პორტუგალია და რუმინეთი თანამედროვე ფეხბურთს წარმოადგენენო. მაგრამ კიგანის სიტყვები ბოლომდე სერიოზულად არ უნდა მივიღოთ, რადგან რალაც დროიდან მოყოლებული ითვლება, რომ თანამედროვე ფეხბურთს აჩვენებს ის, ვინც გადამწყვეტ შეხვედრებს იგებს.

## გერმანია: მანქანა რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ...

გერმანია - ეს არის მანქანა, რომელიც მოგებისთვის არსებობს. შავი დღისთვის - მანქანა, რათა არ წააგოს. ეს არის ერთადერთი ნაკრები, რომელსაც არ სჭირდება ბურთი იმისთვის, რომ მეტოქე რთულ მდგომარეობაში ჩააყენოს. თამაში იწყება თუ არა, ასე მგონია, რომ მინდვრის ქვემოთ ასეულობით ბრგე გერმანელი სატერფულებს ატრიალებს, ნიჩბებს უსვამს ან კბილანები მოჰყავს მოძრაობაში. თითქოს მოქმედებაში მოყვანილი მანქანის ხმაურიც კი ისმის. აი ასე: "რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ...". საფრანგეთში, 1998 წლის მუნდიალზე 0:2 აგებდნენ და ძალიან ცუდად თამაშობდნენ. და უცებ, იმ უჩინარმა გერმანელებმა სატერფულები დაატრიალეს, ნიჩბები მოუსვეს, კბილანები უფრო სწრაფად აამოძრავეს: "რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ..." - და... 2:2.

## მათეუსი: MADE IN GERMANY

წუთში გულის 43 დარტყმა იმის ეჭვს არ გიტოვებს, რომ მას ველოსიპედისტის პულსი აქვს. მისი მუსკულატურა 200 მეტრზე მორბენალსაც კი შეშურდებოდა, თუნდაც ეს **კარლ ლუისი** იყოს. ექვსნახევარი ლიტრის მოცულობის ფილტვები საუკეთესო ალპინისტსაც კი შეშურდება: ეშინოდეს ევერესტს! სხვა ნებისმიერი მინდორზე გაიშხლართებოდა ახალგაზრდა და ძლიერი **ხუანიტოს** ზენოლით, მაგრამ არა "ბებერი" **ლოთარ მათეუსი**.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი "ოქრო ბურთი" მან თითქმის 30 წლის ასაკში მიიღო (დაიბადა 1961 წლის 21 მარტს). ბავშვობაში **გუნტერ ნეტცერით** იყო მოხიბლული, მაღალი ქერა გერმანელით, რომლის დარტყმასაც შეეძლო შემოეფრინა და გაეერთიანებინა ორივე გერმანია. მათეუსი სამართლიანად ეძებდა მასში კერპს, მაგრამ ამაოდ ცდილობდა მის მიბაძვას. ლოთარის დედა ყვებოდა, რომ შვილმა ბევრი ცრემლი დაღვარა თავისი სიმაღლისა და წონის (174 სმ და 71 კგ) გამო, რომელიც არ შეესაბამებოდა გერმანულ საფეხბურთო სტანდარტებს. დედა-ბუნებამ მას არ დაანათლა ის, რაც ასე სურდა, სამაგიეროდ სხვა რამე მისცა ისე უხვად, რომ დღემდე მეგობრები მას სუპერმენს უწოდებენ. სულ ტყუილად ტიროდი!

ამბიციური "საფეხბურთო პროექტი" უკვე 18 წლის ასაკში ამოქმედდა, როცა მიონხენგლადბახის "ბორუსიას" პირველ გუნდში გამოჩნდა. რასაც ტექნიკით ვერ აღწევდა, ძალითა და მონდომებით უკეთებდა კომპენსირებას. თავისი კარიერის პირველი ხუთი სეზონი 164 მატჩითა და 36 გოლით დაასრულა და 1984 წელს, მიუნხენის "ბაიერნში" ჩაირიცხა. ფასი მაღალი ჰქონდა, მაგრამ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებდა და სწორხაზოვანი იყო.

ლოთარ მათეუსის გადაცემა არასოდეს არის საჩუქარივით ლამაზად შეფუთული, მაგრამ ყოველთვის მიმართულია იმ პარტნიორზე, რომელიც მოცემულ მომენტში ამ პასს ყველაზე მეტად იმსახურებს. ყველაფერს სარგებელით აკეთებს და ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. ანუ გერმანულად. მისი "ოქროს ბურთი" ამყარებს დიდი ათლეტური შესაძლებლობების, უბრალოებისა და გამარჯვებულის სულის საფეხბურთო სკოლას. გერმანიის ნაკრებმა 1990 წელს, იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. მართალია, ფინალში დიდი გაჭირვებით, ხუთი წუთით ადრე დანიშნული პენალტით დაამარცხა არგენტინა, მაგრამ ამ გუნდს ჰყავდა ნამდვილი ვარსკვლავი მეთაურის ბრწყინვალე თვისებებით. ლოთარ მათეუსი ტახტზე მმართველის კარგი თვისებების წყალობით ავიდა: დისციპლინირებული, რეალურად უყურებს საგნებს, ყოველთვის მზად არის ემსახუროს პარტნიორებს, უბრალოა და ეფექტური. მოკლედ, მეთაური მეთაურებს შორის. უნიკალურია კიდევ იმით, რომ ევროპელებს შორის ერთადერთი გახლავთ, ვინც 80-იან წლებში სანაკრებო დონეზე ყველა ფინალურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა: ევროპის სამ ჩემპიონატში - იტალია-80 (ჩემპიონი), საფრანგეთი-84, გერმანია-88 და მსოფლიოს სამ პირველობაზე - ესპანეთი-82, მექსიკა-86 და იტალია-90 (ჩემპიონი).

1988 წელს, ბუნდესლიგის სამჯერ მოგების შემდეგ, ის "ბავარიას" (117 მატჩი, 57 გოლი) დაშორდა. იწყება იტალიური პერიოდი: მილანის "ინტერი" მისით ტკბება და ამდიდრებს მის პრესტიჟს.

როცა ყველა ვარაუდობდა, რომ დიდებით განებივრებული ლოთარ მათეუსი "სან სიროს" სტადიონის მძიმე მინდორზე დამშვიდებული წარმოსდგებოდა, მან მეტოქეები დაქანცა უსწრაფესი, ძლიერი და ჰარმონიული მოძრაობებით. "ინტერის" ექიმმა, დოქტორ **ბერგამომ** ის "ფერარის" შეადარა.

ახალი პასუხისმგებლობა პოპულარობის სწრაფ ზრდას უწყობს ხელს. თუ 1986 წელს, მექსიკაში ის მხოლოდ **მარადონას** ნეიტრალიზებას ცდილობდა, ოთხი წლის შემდეგ, იტალიაში მას თავად უწოდებდნენ გერმანელ მარადონას. დამეთანხმეთ, მოწინააღმდეგისადმი ყურადღებიდან და მოწინააღმდეგის ყურადღების მიპყრობამდე დიდი დისტანციაა და მისი გავლა სერიოზული ევოლუციის ნიშანია.

მის თამაშს ბალანსირება, სიბრძნე, ტაქტიკური სიმწიფე გამოარჩევს, მუდმივად იქ იმყოფება, სადაც კარის უსაფრთხოების ან შეტევის განვითარების საკითხი წყდება. ის იმ მოთამაშეებს განეკუთვნება, რომლებიც მინდორზე ერთადერთი მიზნით გადიან - გაიმარჯვონ. მათი გზა ყოველთვის პირდაპირია, მიზანი კი, ერთადერთი - საპირისპირო კარები.

ფეხბურთში ფლანგებზე გადაადგილება -შემოვლითი გზაა და ის, თავისებურად საჭიროა, რადგან მეტოქე უნდა დააბნიო, მაგრამ ლოთარისთვის ეს არ არის მნიშვნელოვანი. ის თავად იმოკლებს გზას, რათა მიასწროს მნიშვნელოვან პაემანს, და უფრო ხშირად, ეს არის პაემანი გოლთან. პირველ იტალიურ სეზონში მან 9 გოლი გაიტანა, მეორეში - 11.

ფეხბურთში მუდმივი არაფერია, გარდა თავად თამაშისა. ლოთარ მათეუსი 39 წლისა წავიდა, ნაკრებში ჩატარებული 150 საერთაშორისო მატჩის შემდეგ, რომელთაგან ბოლო, სამწუხაროდ, 0:3 დამარცხებით დასრულდა. უნდა აიკრძალოს ეს უადგილო "მშვიდობით".

მათეუსი დღეგრძელია. ევრო 2000-ზე ის ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელსაც 1986 წლის ფინალში მოედანზე შევხვდი. დაუვიწყარი შეხვედრა იყო. პირველ ტაიმში ის ერთ-ერთზე ეთამაშებოდა მარადონას, მეორეში კი, მეურვეობა სხვამ გადაიბარა, თავად კი, არა მარტო მოედნის ცენტრის, არამედ მთელი სივრცის ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჭკვიან ფეხბურთელად გადაიქცა. ცეცხლფარეშის სული და არქიტექტორის ხედვა წარმატებით გაერთიანდა ერთ ადამიანში, რომელიც ეჭვგარეშეა, ბოლო 20 წლის განმავლობაში გერმანული ფეხბურთის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

მან გერმანიის ნაკრებისთვის დამახასიათებელი შეცდომა დაუშვა, როცა ამდენი ხანი შემორჩა გუნდს. ევრო 2000-ზე სტატისტის როლისთვის ნაკრებმა გერმანიაში მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა, მაგრამ მათეუსმა იპოვნა თავშესაფარი - მისი გრძელი გზა ფეხბურთში.

გაგრძელება იქნება



ჭადრაკი

# დამატებითი არ დასჭირდათ

გუშინ საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ტურის ოთხი ტაი-ბრეიკი გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: **ლევან ბრეგაძე-ბაჩანა მორჩიაშვილი, დავით ზარქუა-დავით ჯოჯუა, ივერი ჭილლაძე-თორნიკე სანიკიძე, პარმენ გელაზონია-ხვიჩა სუპატაშვილი.** შეგახსენებთ, ტაი-ბრეიკის პირველი ეტაპი ორი 25 წუთიანი პარტიისგან შედგება, სადაც ყოველ სვლაზე 10 წამი ემატებათ მოჭადრაკეებს. თუ გამარჯვებულის გამოვლენა ვერ მოხერხდა, მაშინ ორი 5 წუთიანი პარტია ინიშნება და ბოლოს ერთი "არმაგედონია" გათვალისწინებული, სადაც თეთრებს 6 წუთი ეძლევათ, შავებს კი - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე ცხადდება.

ასეთი პრაქტიკა წლებია, მსოფლიო ჭადრაკში მიღებულია და უნდა ითქვას, რომ ძალიან საინტერესო და აზარტული საცქერია; მეტოქეთა ძალაც, უმეტეს შემთხვევაში, რეალურად ვლინდება. პრაქტიკამ ისიც გვაჩვენა, რომ 25 წუთიან დაპირისპირებებში ხშირად ვერ ვლინდება უძლიერესი და "არმაგედონამდეც" კი მიდიან. სიმართლე ითქვას, გუშინდელ წყვილებში ასეთის მოლოდინი კი გვქონდა - ძალთა განსხვავება არცთუ დიდი იყო, მაგრამ ისე გაილია პირველი ტური, რომ დამატებითი პარტიების ჩატარება საჭირო არ გახდა.

კვარტეტიდან პირველ ტურში ყველაზე ადრე ჯოჯუა-ზარქუას დაპირისპირება მორჩა: მეცამეტე სვლაზე ზარქუამ ფიგურა დასვა და წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. იმის გამო, რომ ესენი ადრე მორჩნენ, 15-ოდე წუთი შეისვენეს. მეორედ დაფას მაშინ მიუსხდნენ, როცა დანარჩენები ჯერ კიდევ პირველ პარტიაში არკვევდნენ ურთიერთობას. ზარქუამ აქტიურად კი ითამაშა, მაგრამ მიტელშპილში პოზიციურად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და მეტოქეს კონტრიერიშის საშუალება მისცა. ჯოჯუამ შესანიშნავად გამოიყენა ინიციატივა და მეორე ქულაც ჩაიწერა აქტივში - 2:0 ჯოჯუას სასარგებლოდ და მერვედფინალშიც სამტრედიელი ოსტატი გავიდა. დავითს იქ გამობრძმედილი დიდოსტატი **ზურაბ სტურუა** ელის. ცხადია, მათი დაპირისპირება უაღრესად საინტერესო იქნება - ვინ აჯობებს, ძველი თუ ახალი თაობა?..

ამგვარი სახის დაპირისპირება გახლდათ **გელაზონია-სუპატაშვილის** მატჩიც. თეთრებით პირველ 25 წუთეულში გელაზონია იყო, მაგრამ სუპატაშვილმა შეძლო თეთრების საწყისი უპირატესობის გაუვნებელყოფა და თავად გადავიდა იერიშზე, - შედეგიანადაც და მეორე პარტიის წინ დიდი ფორა შეიქმნა - თეთრებით მისი დონის ოსტატისთვის სასურველი შედეგის მიღწევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ხვიჩამ ასეც გააკეთა, თუმცა პარმენი ყოველმხრივ ცდილობდა შანსის პოვნას და თითქოს ერთი დრო შეძლო კიდეც, - ხარისხი შესწირა, რათა საშამათო კომბინაცია გაეკეთებინა. სუპატაშვილმა ზუსტად აუღო ალღო მეტოქის მანევრს, მუქარისგან თავი დაიცვა და იქეთ დააშამათა გელაზონია.


ხვიჩა სუპატაშვილი

შედარებით ხანგრძლივი იყო **ბრეგაძე-მორჩიაშვილის** შეხვედრა. აქ პირველ პარტიაში თეთრებით ბრეგაძე თამაშობდა და მთლად კარგად ვერ დაიწყო, ბაჩანამ პაიკი მოინადირა, მაგრამ შემდეგ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო: ბრეგაძემ იერიში გაამძაფრა და მორჩიაშვილს თავის დაცვა აიძულა. ინიციატივის დაკარგვამ მორჩიაშვილი ფსიქოლოგიურად გატეხა და ბავშვური შეცდომაც დაუშვა - ფიგურა დასვა - 0:1. მეორე პარტიაში თეთრები უკვე მორჩიაშვილის არჩივი გახლდათ, ამიტომ მოგების იმედიც ჰქონდა. შეუტია კიდეც, მაგრამ ბრეგაძე კარგად იცავდა თავს და შუა წელში, როცა რამდენიმე ფიგურის გაცვლა აიძულა მეტოქეს, თავად გადავიდა შეტევაზე. უნდა ითქვას, რომ ლევანმა შესანიშნავად წარმართა პარტიის დასკვნითი ნაწილი და ულამაზესი საშამათო კომბინაცია "მოქსოვა": ლაზიერი შესწირა და ეტლითა და მხედრით მიაღწია საწადელს. სამწუხაროა, რომ ჩვენ ამ პარტიის დიაგრამის წარმოდგენა არ შეგვიძლია, თორემ მკითხველი დიდ სიამოვნებას მიიღებდა უთუოდ.

მეოთხე წყვილმა პირველი შეხვედრა ყველაზე გვიან დაასრულა, მაგრამ მოგებული ვერცერთი დარჩა - ყაიმი. თეთრი ფერით სანიკიძე იყო. მეორე შეხვედრაში კი თეთრი ფერის უპირატესობა **ჭილლაძემ** კარგად გამოიყენა და მერვედფინალის საგზური მოიპოვა. ამ წყვილში ფავორიტად **სანიკიძე** მიიჩნეოდა, მაგრამ ჭილლაძე ბევრითაც არ ჩამორჩებოდა თორნიკეს რეიტინგული მაჩვენებლით; გამოცდილებით კი სჯობდა კიდეც - ასაკით უფროსია. ჭილლაძის მეტოქე დღეს **კონსტანტინე შანავა** იქნება. ფავორიტად აქაც ჭილლაძის მოწინააღმდეგე ითვლება, მაგრამ ივერი კარგ სპორტულ ფორმას აჩვენებს და შესაძლოა, შანავასაც გასცდეს...

ხვიჩა სუპატაშვილი თანაქალაქელ **დავით ბენიძეს** ხვდება. ბენიძე უნიჭიერესი ახალგაზრდაა, მაგრამ გამოცდილებასთან ერთად მეტოქეს საჭადრაკო თეორიის ცოდნითაც გვარიანად ჩამორჩება. ცხადია, ფავორიტი სუპატაშვილია, მაგრამ დათო მზარდი მოჭადრაკეა, მეთექვსმეტედფინალში დიდოსტატი **გიორგი ბალათუროვი** დაამარცხა და მოგებაზე არც ამჯერად იტყვის უარს. ყველაზე დიდი გამოცდა **ლევან ბრეგაძეს** ექნება: მას ტურნირის პირველესი ფავორიტის **მიხეილ მჭედლიშვილის** წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. მჭედლიშვილი აშკარა ფავორიტია, მაგრამ ახალგაზრდობა იოლად რომ არაფერს თმობს, უკვე გამოჩნდა და ბრეგაძესაც შესწევს ძალა ქადილისა...

სხვა წყვილების დაპირისპირებაც უაღრესად საინტერესოა და ასე გამოიყურება: **დავით არუთინიანი-მიხეილ კეკელიძე, გიორგი მარგველაშვილი-ლევან აროშიძე, ლევან ფანცულაია-ბეგლარ ჯობავა, დავით მალალაშვილი-თამაზ გელაშვილი.**

მერვედფინალი დილის 12 საათზე იწყება.

ზვიად შათირიშვილი

# ყაიმით ორი ადგილი მოიგო

სტამბოლში მიმდინარე ქემალ ათათურქის სახელობის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 10 რჩეული ქალბატონი მონაწილეობს, მეექვსე ტურის პარტიები გათამაშდა. **ლელა ჯავახიშვილმა** თეთრები უკრაინელი **ანა უშენინას** წინააღმდეგ გააწყო, შეუტია და მოგებასაც ეცადა, მაგრამ ამ შეჯიბრებაში არცთუ საუკეთესოდ მოთამაშე ანამ თავის დაცვა შეძლო და მეორედ მოახერხა ნახევარი ქულის მოპოვება. უშენინა ერთი ქულით ცხრილში ბოლო ადგილზეა. ცხადია, ბევრად კარგი იქნებოდა ლელას მოეგო, რაც მის წინსვლას უფრო გამოკვეთდა, თუმცა არც ყაიმს დაუზარალებია, - სხვა შეხვედრებში ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომ ლელამ ორი საფეხურით წაიწია წინ და სამი ქულით მეოთხე ადგილზე გადავიდა.

მართალია, ამდენივე კიდევ სამ მონაწილეს აქვს, მაგრამ ჩვენებურს კოეფიციენტი აღმოაჩნდა სხვებზე უკეთესი. ეს კვარტეტი, საკმაოდ დიდი სხვაობით - ქულანახევარით ჩამორჩება მეორე და მესამე ადგილზე მყოფ შვედ **პია კრამლინგს** და ჩინელ **ჰოუ იფანს**; ერთპიროვნულ ლიდერს - თურქ **ეკატერინა ათალიკს** კი 5 ქულა აქვს.

ათალიკი გუშინ თურქ **ქემრე ილდიზს** ხვდებოდა და იოლადაც მოუგო. მეშვიდე ტურში ილდიზს უკვე ჯავახიშვილი ხვდება და დიდი იმედი გვაქვს, რომ ქართველი ამჯერად მაინც იმარჯვებს. შეგახსენებთ, ლელამ პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ ერთხელ წააგო და დანარჩენი ყაიმით ითამაშა.

ჩინურ დერბიში აქამდე აუტსაიდერმა **ჭუ ჩენმა ჭაო სიუ** დაამარცხა თეთრებით და ბოლო ადგილს დააღწია თავი.

ზვიად შათირიშვილი

მეექვსე ტური: ჭუ ჩენი-ჭაო სიუ-1:0; ჰარიკა დრონავალი-ჰოუ იფანი-0.5:0.5; ირინა კრუში-პია კრამლინგი-0,5:0.5; ეკატერინა ათალიკი-ქემრე ილდიზი-1:0; ლელა ჯავახიშვილი-ანა უშენინა-0.5:0.5.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ეკატერინა ათალიკი (თურ. 2408)-5; 2. პია კრამლინგი (შვედ. 2524)-4.5; 3. ჰოუ იფანი (ჩინ. 2527)-4.5; 4. ლელა ჯავახიშვილი (საქ. 2470)-3; 5. ჰარიკა დრონავალი (ინდ. 2455)-3; 6. ირინა კრუში (აშშ. 2473)-3; 7. ჭაო სიუ (ჩინ. 2517)-3; 8. ქემრე ილდიზი (თურქ. 2207)-1.5; 9. ჭუ ჩენი (ყატ. 2548)-1.5; 10. ანა უშენინა (უკრ. 2484)-1.

მეშვიდე ტურში: უშენინა-ჭუ ჩენი; ქემრე ილდიზი-ჯავახიშვილი; კრამლინგი-ათალიკი; ჰოუ იფანი-კრუში; ჭაო სიუ-დრონავალი.

კრივი. ინტერვიუ ვლადიმერ ახალკაცთან

# ღვამიჩავა დაგვიჩაგრეს!

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები ბეწვის ხიდით მიილტვის პეკინის ოლიმპიური თამაშებისაკენ. მსოფლიო ჩემპიონატსა და იტალიის სალიცენზიო ტურნირზე პეკინის საგზურების გარეშე დავრჩით. ამდენად, რჩება ათენის სალიცენზიო ტურნირი (7-14 აპრილი), რომელიც უკანასკნელი იმედია. თუკი ათენშიც მოგვეცარა ხელი, მაშინ პეკინის ოლიმპიადა ქართველების გარეშე ჩაივლის...

**გუშინ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან ვლადიმერ ახალკაცს გავესაუბრეთ ნაკრების სამომავლო პერსპექტივებზე. ახლახან დასრულებული პესკარის სალიცენზიო ტურნირით დავიწყეთ, რომლის უშუალო თვითმხილველი ახალკაცი იყო.**

- სამწუხაროდ, ჩვენი დიდი ბრძოლის მიუხედავად, სამოყვარულო კრივში კვლავ ვერ ამოიძირკვა კორუფცია. მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსად, იტალიაშიც, ფაქტობრივად, ჯიბიდან ამოგვაცალეს ლიცენზია და ბედის ირონიით, ამჯერადაც ლევან ღვამიჩავა (64 კგ) გაწირეს.

ლევანი მასპინძელ დარიო ვანგელს შეხვდა და ისე აშკარად მოუგო, რომ თავად იტალიელებიც კი მას ქომაგობდნენ. ღვამიჩავამ სამჯერ დააგდო ვანგელი და სამივეჯერ რეფერი ისე ნელა თვლიდა, რომ ამ დროში, ათის ნაცვლად, ბარე ოცამდე უნდა მოესწრო დათვლა ობიექტურ მსაჯს. მოკლედ, ლევანმა ისე სასტიკად გალახა იტალიელი, რომ იგი ბრძოლის შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს, მეორე დღეს აწონვაზე ვერ მოვიდა და ტურნირი დაამთავრა. მიუხედავად ამისა, მსაჯებმა ვანგელს 19:11 გაამარჯვებინეს. წარმოიდგინეთ, შედეგის გამოცხადების შემდეგ, თვით იტალიელი გულშემატკივრებიც კი ისე გაბრაზდნენ, რომ პლასტმასის ბოთლების წვიმა დაატეხეს თავზე მსაჯებს.

რა თქმა უნდა, კატეგორიული პროტესტი განვაცხადეთ და შედეგი ოფიციალურად გავასაჩივრეთ. ჩვენი განცხადება მიიღეს, ამისათვის საჭირო 200 ევრო გადაგვახდევინეს, მაგრამ კიდევ ერთი უხეში დარღვევა გააკეთეს - პროტესტი მიიღეს და შეხვედრის ვიდეოჩანაწერი არ ნახეს. სხვათა შორის, მთელი ტურნირი პოლიციურ რეჟიმში მიმდინარეობდა და ორგანიზატორების გარდა, ვიდეოგადაღების უფლებას არავის აძლევდნენ.

მოკლედ, ძალიან გავმწარდით და რაც შეიძლებოდა ყველაფერი გავაკეთეთ, რომ სამართალი გაგვეტანა, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ რეფერი დასაჯეს. იტალიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ფაჩინელისთან ახლო ურთიერთობა გვაქვს და როდესაც მას შევჩივლეთ, უმწეოდ გაშალა ხელები - ვანგელის მოგება ნამდვილად არ იყო ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის და მეც ვერ ვხვდები, რატომ გააკეთეს ასეო. შედეგი უკვე დაფიქსირებული იყო და ფაჩინელის მართლა არ შეეძლო რამის შეცვლა.

მოკლედ, ორგანიზატორებმა მხოლოდ იმით "დაგვამშვიდეს", რომ რეფერი დასაჯეს. თუმცა ეს ჩვენთვის დიდი ვერაფერი შეღავათია, რადგან შედეგი ძალაში დარჩა და ისევ ულიცენზიოდ ვართ...

**- სხვა წონით კატეგორიებზე რას იტყვით?**

- დანარჩენ წონებში ასეთი კოშმარული რამ ნამდვილად არ შეგვემთხვევია. ბიჭებმა იბრძოლეს, რამდენიმემ 2-2 შეხვედრა მოიგო, მაგრამ ლიცენზიებს ვერ შესწვდნენ.

**- ათენში რას უნდა ველოდოთ? უკანასკნელი სალიცენზიო შეჯიბრებაა და ალბათ იქაც მოხდება მსაჯების მოქრთამვა ულიცენზიო ქვეყნებისაგან...**

- წინასწარ რამის თქმა ძნელია, მაგრამ პესკარის ტურნირზე დაგვპირდნენ, რომ ათენში ობიექტური მსაჯობა იქნება. ვიმედოვნებ, მართლაც ასე მოხდება და ულიცენზიოდ არ დავრჩებით.

**- ათენის ტურნირამდე სად მოემზადება ნაკრები?**

- ნაკრების მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე საათენოდ თბილისში მოამზადებს გუნდს.

კობა ხატისაშვილი

რაგბი. ლეგიონერები

# სამივე ლიდერია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში, ელიტაში ალზევებისთვის მებრძოლთა შორის ქართველ მორაგბეთა გუნდები წარმატებით ასპარეზობენ. სამი გუნდიდან სამივე თავისი ჯგუფის ლიდერია.**

A ჯგუფში უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია სტუმრად "შალონთან" **შალვა სუთიაშვილისა და დავით გასვიანის** "ბობინიმ" 13:6. აღსანიშნავია, რომ "შალონი" აქამდე დაუმარცხებლად ლიდერობდა გათამაშებას. ამჯერად კი სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური ქართველი მორაგბეების გუნდმა დაიკავა. ამავე ჯგუფში "ობენა" შინ დამარცხდა "არჟელესთან" 16:26. "შალონთან" მატჩში ქართველ მორაგბეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. **1. ბობინი-9 ქულა, 2. შალონი-9, 3. არჟელე-8; 4. ობენა-1.**

D ჯგუფში დაუმარცხებლად მიიწევს წინ **თედო ზიბზიბაძის** "პერიგო". მესამე ტურში პერიგოელებმა შინ აუტსაიდერი "ვანი" დაამარცხეს 36:20. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. "პერიგოს" კონკურენტმა "ლანამეზანმა" შინ დაამარცხა "ლავორი" 23:19. **1. პერიგო-12 ქულა, 2. ლანამეზანი-8, 3. ლავორი-6, 4. ვანი-2.**

F ჯგუფის ლიდერი **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანია", რომელმაც ჯგუფში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა "მარმანდი" 22:16. აბუ 72-ე წუთზე შეცვალეს. "ორლეანის" კონკურენტმა "დიჟონმა" შინ მოუგო "რომანსს" 29:13. **1. ორლეანი-9 ქულა, 2. დიჟონი-8, 3. მარმანდი-7, 4. რომანსი-3.**

■ ■ ■

**დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლთა შორის ყველაზე ცუდი მდგომარეობა ირაკლი გუნდიშვილის "მიოსა" და პალიკო ჯიმშელაძის "შამბერის" აქვს.**

A ჯგუფში **სოსო ნიკოლაენკოს** "რუანი" ლიდერობს დამაჯერებლად, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად დამარცხდა **ალექსანდრე მარგველაშვილის, გიორგი ნემსაძისა** და **ზურაბ მჭედლიშვილის** "დომონთან" 8:15. ნემსაძემ და მარგველაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო. არ უთამაშია ნიკოლაენკოსაც.

დამაჯერებლად დაამარცხა **დიმა პავლოვის** "ნიცმა" შინ **ირაკლი გუნდიშვილის** "მიო" 45:19. პავლოვი ისევ არ იყო განაცხადში, გუნდიშვილი 57-ე წუთზე შეცვალეს. 1. რუანი-44 ქულა, 2. დომონი-39, 3. ნიცი-37, 4. მიო-12.

B ჯგუფში ლიდერი **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძისა** და **დავით დადუნაშვილის** "მასი" სტუმრად დამარცხდა "ლა სეინთან" და ლიდერობა დაუთმო. ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დიდებულიძე 50-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილი 9 წუთის შემდეგ. აქვე "გროლემ" შინ მოუგო "ფლორანსს" 26:6. 1. ლა სეინი-43 ქულა, 2. მასი-42, 3. გროლე-33, 4. ფლორანსი-12.

E ჯგუფში დივიზიონში დარჩენისთვის რეალურად ორი გუნდი, **დიმა ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზი" და **პალიკო ჯიმშელაძის** "შამბერი" იბრძვიან. მათ შორის შეხვედრა ხოჭოლავას გუნდმა საკუთარ მოედანზე მოიგო 17:13. ქართველებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამავე ჯგუფში ლიდერმა "ლურდმა" შინ "ლაწყონს" სძლია 36:17. 1. ლურდი-35 ქულა, 2. ლაწყონი-33, 3. სერჟ პონტუაზი-29, 4. შამბერი-25.

F ჯგუფში **სანდრო ესაკიას** "სენ ნაზერმა" შინ "მორლასთან" წააგო 12:17. თუმცა წესით მის დივიზიონში დარჩენას მაინც არაფერი უნდა დაემუქროს. ცოტა უფრო უარესად აქვს საქმე **ელიზბარ ყუფარაძის** "კლერმონს". ამ გუნდმა ამჯერად შინ "რუმიი" დაამარცხა 32:20. 1. მორლა-43 ქულა, 2. სენ ნაზერი-39, 3. ვილერმანი-32, 4. რუმიი-20.

ბესიკ ჯანგავაძე

## ქართული სპორტის ქრონიკები

წარსულთან კავშირი

# მოასპარეზესა ყველასა იმარანდო სჯობდა...

მოსე ხონელის "ამირანდარეჯანიანში" მოხსენიებულია იმდროინდელ საქართველოში გავრცელებული ვარჯიშობანი: "დავჰყავით მრავალნი დღენი, ვასპარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით და სიხარული იყვის დიდი. მშვილდოსანსა ყველასა **მზე-ჭაბუკი** სჯობდა, მოასპარეზესა ყველასა **იმარანდო** სჯობდა, მონადირესა ყველასა **მოსორ ნადირის ძე** სჯობდა, მოჭადრაკესა ყველასა ამირ იმანელი სჯობდა, მცურავსა ყველასა **ღამარ ლანზელი** სჯობდა. ესე მე თვით მინახავს ღამერ ლაზნელისგან, რომელ რაზომცა დიდი წყალი იყვის შეკაზმული კაცი ილლიასა შემოიგდის და იმიერით გაიტანის და ჭაბუკად რომელი სჯობდეს, ან სცანითა."

***

**ევკაპი სარდოსელი** მოიხსენიებს ვინმე **სუბარმახს**, რომაელი შუბოსნების მეთაურს, რომელიც მეფეთა შთამომავალი ყოფილა, ნამდვილი კოლხი ფაზისიდან და საუცხოო მსროლელი.

ის, რაც ჩვენია, ქართული...

# სპორტული ტანვარჯიშის კოლხურ-იბერიული კომპლექსი

ცურვის კოლხურ-იბერიული სტილის "გამცოცხლებლის" **ჰენრი კუპრაშვილის** სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მსოფლიო მასმედიის მიერ მისთვის შერქმეული მეტსახელებია: "ადამიანი-დელფინი", "წყლის პრომეთე", "დარდანელის გმირი", "სრუტეთა მბრძანებელი".

მან მიიღო ეს მეტსახელები მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ქართული სამხედრო-საწვრთნელი წესით, ანუ ოთხგან ხელფეხშეკრული კოლხურით, დარდანელის სრუტე ევროპიდან აზიაში, 12 კილომეტრი 3 საათსა და 15 წუთში გადაცურა. მანამდე კი - 2001 წლის 28 იანვარს, "ლაგუნა-ვერეს" აუზში ამავე სტილით გაცურა ორი კილომეტრი 92 წუთში.

ცნობილია, რომ ქართულ ცურვაში მოიაზრება ცურვის რვა ყაიდა: "თავისუფალი კოლხური", ანუ იგივე "ლაზური", "ხელფეხშეკრული კოლხური", "იბერიული", "ოკრიბულა", "აფხაზური", "თახვია" და ნაწილობრივ "ხაშურული" და "ქიზიყური".

...გარდა იმ კომპლექსებისა, რომლებიც გამოიყენება მოცურავის მოსამზადებლად, ქართული ცურვის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის შესასწავლად აუცილებელია წყალსა და ხმელეთზე სპეციალური ვარჯიშების გამოყენებაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების შეხამებით. ჰენრი კუპრაშვილის მიერ შემუშავებული სპეციალური ვარჯიშების კომპლექსი სასარგებლოა, არა მარტო ქართული ცურვის შემსწავლელთათვის, არამედ იმათთვისაც, ვისაც ცურვასთან არ აქვს კავშირი, განსაკუთრებით, მათთვის, ვისაც რადიკულიტი, ჭარბი წონა აწუხებს ან ხერხემლის "გაახალგაზრდავება" უნდა (კარგადაა ცნობილი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხერხემალს ადამიანისთვის).

ლელოს ფოტომატიანე



"ლელოს" უმდიდრეს და უნიკალურ ფოტოარქივში სხვადასხვა დროს გადაღებული, დღეს უკვე ისტორიულ დოკუმენტად ქცეული უამრავი ფოტოსურათი ინახება. სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანზე იმ პერიოდის სპორტსმენთა ამოცნობა დღეს უკვე ჭირს.

ფოტოს, რომელსაც ახლა გთავაზობთ, მხოლოდ ასეთი წარწერა აქვს: "სსრკ პირველობა, მოსკოვი, 1938 წ."

სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლები არიან აღბეჭდილნი ფოტოზე და ვინ არიან ისინი? იმედია, გამოგვეხმაურებიან ვეტერანი სპორტსმენები, გულშემატკივრები, ოჯახის წევრები და ერთად დავადგენთ 70 წლის წინათ გადაღებულ ამ ისტორიულ ფოტოზე გამოსახულთა ვინაობას.

(დაგვიკავშირდით: 46-32-62; 53-39-11; 899 55-48-97).

ველოსპორტი



გიორგი ნადირაძე

# დაუგეგმავი მედლები ირანიდან

წლევანდელი სპორტული სეზონი ჩვენმა ველომრბოლელებმა ერთობ მაღალი რანგის ტურნირში მონაწილეობით დაიწყეს. არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში საერთაშორისო რბოლაში მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მით უფრო საამაყოა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **გიორგი ნადირაძემ** მსოფლიოს სარეიტინგო ქულები დაიმსახურა. ჩვენი ნაკრები (გ. ნადირაძე, **ა. მახარაშვილი, ნ. ყვავაძე, კ. ლოსაურაშვილი, ს. მურჯიკნელი**, მწვრთნელი - **ა. ხახიაური**) ამ ტურნირში პირველად მონაწილეობდა და ყველაზე ახალგაზრდული იყო.

არაბეთიდან საქართველოს ნაკრები ირანში ჩავიდა და ერთკვირიანი შეკრება ჩაატარა. შემდეგ იქვე ჩაება საერთაშორისო ტურნირში. გ. ნადირაძემ ორჯერ 160 და 180 კმ-ზე მთაგორიან ტრასებზე მესამე ადგილი დაიკავა. გუნდი კი მე-5 ადგილზე გავიდა 15 უძლიერესს შორის. ნადირაძემ აქაც მოიპოვა სარეიტინგო ქულები.

"მედალს ნამდვილად არ ვგეგმავდით, არადა, ბრინჯაოს ორი ჯილდო მოვიპოვეთ, თანაც სეზონის დასაწყისში. მადლობა სპორტის დეპარტამენტსა და თბილისის მერიას ფინანსური მხარდაჭერისთვის", - თქვა ველოსპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ნადირაძემ**.

# პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საკავშირო რეკორდები საქართველოდან დაამყარეს **გიორგი შხვაცაბაიამ** (სიმაღლეზე ხტომა, 1929), **დიმიტრი იოსელიანმა** (ადგილიდან სიმაღლეზე და სირგძეზე ხტომა, 1930).

**პირველად** ფიზკულტურის საკავშირო დღე საზეიმოდ აღინიშნა 1939 წელს (დაწესდა იმავე წელს).

**პირველმა** საქართველოდან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ძალოსანმა **რაფაელ ჩიმიშკიანმა** პარიზში 1950 წლის 14 ოქტომბერს. ამის შემდეგ თბილისელი ათლეტი კიდევ ხუთჯერ გახდა კონტინენტის ჩემპიონი 1952 და 1954-1957 წლებში.



# 130 წლის წინათ დროება წერდა...

"ყმაწვილებს თუ ეხსნებათ მხოლოდ გონება და ფიზიკური მხარე კი რჩება გაუხსნელი, მაშინ ამგვარი აღზრდა იქნება მავნებელი და უსარგებლო მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც."

*გაზეთი "დროება", 1878 წ.*

***

აკაკი წერეთელი: "ქართველების ოდენა სხვაგვარი სათამაშო თითქმის არცერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს."

შეკითხვა ლელოს

**მართალია თუ არა, რომ არსებობს წოდება "სპორტის რაინდი"? როდის შემოიღეს, როგორია იგი და ვინაა ავტორი?**

ბექა ბორცვაძე, რუსთავი

- დიახ, არსებობს ასეთი ჯილდო, რომელიც შემოღებულია 2003 წლიდან. ამ ეროვნული ორდენის პირველი კავალრები 2004 წელს გახდნენ: **ზ. აზმაიფარაშვილი, კ. კალაძე, ე. კურტანიძე, გ. ასანიძე, ზ. ზვიადაური, ნ. ხერგიანი, რ. ნოზაძე, მ. კვირკველია და გ. ძასოხოვი**, ორდენის ესკიზის ავტორია მხატვარი **ნუგზარ მეძმარიაშვილი**.




ეს ფოტო გადაღებულია 20 წლის წინათ, 1988 წელს. სსრკ ბეისბოლისტთა ნაკრების წევრები: ნ. ფოჩხაძე (მარცხნივ) და ხ. ყაველაშვილი

სპორტული თოქ-შოუ

# არენა I არხზე

"ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ ამაგს, რაც I არხმა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში გასწია ქართული სპორტის სასიკეთოდ. ამ არხმა საკუთარი მხრებით ათწლეულობით ერთადერთმა ზიდა მთელი სიმძიმე, შექმნა ქართული სპორტის მატიანე, გაგვიყვანა მსოფლიო სპორტის ორბიტაზე, გვაზიარა ბევრ სიხარულს" - წერდა "ლელო" 2004 წლის 23 დეკემბრის ნომერში. სწორედ მაშინ გამოცხადდა, რომ I არხი საზოგადოებრივი არხის სტატუსით შეუდგა მუშაობას. გამოქვეყნდა პროგრამების ნუსხა და, ჰოი, საოცრებავ - სპორტი ჩამონათვალში ველარ ვიხილეთ. ამ ფაქტს მიეძღვნა "ლელოს" ზემოხსენებულ ნომერში ჩვენი კრიტიკული გამოსვლა.

ალბათ, ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველისგან, მაგრამ ის, რომ საზოგადოებრივ არხზე ყოველკვირეული სპორტული თოქშოუ "არენა" დამკვიდრდა და მაყურებელიც დააინტერესა, უდავოდ მისასალმებელია. მისასალმებელია თემატური მრავალფეროვნებაც. გადაცემას კი შესანიშნავად უძღვება ჩვენი კოლეგა **დავით მინაშვილი**.

## ვიქტორინა

1. რა შედიოდა ძველქართულ ორჭიდში?

ა-ჭიდაობა და ცხენოსნობა
ბ-ნადირობა და ჩოგბურთი
გ-ფარიკაობა და მშვილდოსნობა

2. რომელ წელს შეიქმნა საქართველოში სპორტსაზოგადოება "დინამო"?

ა-1923 წელს
ბ-1924 წელს
გ-1925 წელს

3. რომელ წელს მოიპოვა თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა მეორედ და უკანასკნელად სსრკ ჩემპიონობა?

ა-1974 წელს
ბ-1976 წელს
გ-1978 წელს

4. მერამდენე მსოფლიო ჩემპიონი იყო მაია ჩიბურდანიძე ქალთა შორის ჭადრაკში?

ა-მეხუთე
ბ-მეექვსე
გ-მეშვიდე

5. ვინ იყო ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფუძემდებელი (გამყოლი), რომელიც უცხოელებთან ერთად პირველად ავიდა მყინვარწვერზე 1907 წელს?

ა-იაგორ კაზალიკაშვილი
ბ-გახა წიკლაური
გ-რომანოზ ავალიანი

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

## გასული კვირის მნიშვნელოვანი ამბები

**11 მარტი** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ **თემურ ქეცბაიას** ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ასისტენტობა შესთავაზა.

**12 მარტი** - სპორტის აკადემიის შენობასთან კვლავ გამართა სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებელთა აქცია აკადემიის შენობის დაბრუნებისა და სასწავლებლის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით.

**13 მარტი** - პარლამენტის წინ მოშიმშილეთა რიგებს შეუერთდა სფფ პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი **მამუკა კვარაცხელია**. იგი პროტესტს გამოთქვამს საქართველოს საფეხბურთო მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებების გამო.

**14 მარტი** - ბაქო პირველი პუნქტი იყო, სადაც მსოფლიო ველომოგზაურმა **ჯუმბერ ლეჟავამ** პეკინისკენ მიმავალ გზაზე შეისვენა. წინ 11 ათასი კილომეტრია. ველომოგზაური პეკინში ოლიმპიადის დაწყების წინ ჩავა.

**15 მარტი** - **მარიამ ქევხიშვილმა** კანზასის (აშშ) შტატში ბირთვის კვრაში 23-წლამდელთათვის საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა - 17,85 მ.

**17 მარტი** - სპორტის აკადემიის წინ ამ სასწავლებლის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა კარავი გაშალა. აქციის მონაწილენი აკადემიის დაბრუნებას მოითხოვენ.

სუმო

# ახლა ესტონელთან

ოსაკას ბაშოზე კოკაი პოსტსაბჭოთ-ელ რიკიშებთან მიყოლებით აგებს. შაბათს ოს როჰოსთან განცდილ მარცხს გუშინ კიდევ ერთი მიემატა. ამჯერად კოკაის მეტოქე ესტონელი ბარუტო იყო. ტურნირის მეცხრე რემდე მეტოქეებს თანაბარი ბალანსი ჰქონდათ. იორიკირით გამარჯვების შემდეგ კი ბარუტომ სხვაობა მოგება წაგებას შორის ხუთამდე გაზარდა. კოკაის კი 6-3 გაუხდა.

მომდევნო ბრძოლას ლევან ცაგურია დასავლეთის მეშვიდე მაეგაშირა ჰუკოტორიკისთან გამართავს, რომლის ამჟამინდელი ბალანსია 7-2.

ასეთივე ბალანსი აქვს მეცხრე დღის შემდეგ მეორე დივიზიონ ძურიოში ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი), რომელმაც ძურიოს ლიდერი, ყოფილი სეკივაკე ტოსანოუმი კატასუკაშით დაამარცხა.

დღეს გორგაძე კიტატაიკის შეხვდება, რომელსაც ჩვენებურის მსგავსად დღემდე 7 მოგება დაუგროვდა.

**ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)**
9-23 მარტი, ოსაკა(იაპონია)

**მაკუუჩი**

IX დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ჰაკუჰო-კოტომიგიკუ 1:0(იორიკირი), ამა-ასაშორიუ 0:1(ოშიტაოში). კაიო-ასასეკირიუ 1:0 (იორიტაოში), ტოკიტენკუ-ჩიიოტაიკაი 0:1 (ოშიდაში), ტაკამისაკარი-ოცუკასა 1:0 (იორიკირი), ჰომაშო-კაკიძოე 1:0 (ოშიდაში). ტოჩიოძან-კასუგაო 1:0 (უვატედაშინაგე).

მდგომარეობა: ასაშორიუ (იოკოძუნა) 9-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა) 8-1: ტაკამისაკარი (მაეგაშირა11) 8-1: ტოჩიოძანი (მ12) 8-1: ჰომაშო (მ13) 8-1: კაიო (ოძეკი) 7-2: კოუკუტენჰო (მ4) 7-2: ჰოკუტორიკი (მ7) 7-2: ბარუტო (მ7) 7-2: ჩიოტაიკაი (ო) 6-3: კოკაი (მ5) 6-3.

X დღე: კოკაი-ჰოკუტორიკი, ასაშორიუ-კოუკუტენჰო, ჰაკუჰო-ვაკანიშო, ამა-კოტომიცუკი, კაიო-ჩიოტაიკაი, კაკურიუ-კოტომიგიკუ, ასასეკირიუ-ტაკეკაზე, კისენესატო-ამინიშიკი, ტოკიტენკუ-მიიაბიამა, ვაკანოსატო-ტოიონოშიმა, ტოჩიოზან-ჰომაშო, ფუტენო-კაკიძოე, ბარუტო-ტაკამისაკარი, როჰო-კასუგაო, გოეიდო-დეძიმა.

**ძურიო**

IX დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტამანოშიმა-ჰოშიშიკარი 1:0 (ოშიდაში), კიტატაიკი-საგაცუკასა 0:1 (ოშიდაში), კიმურაიამა-უშიომარუ 1:0 (ოშიდაში), ჰაკუროძანი-მოკონამი 1:0 (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა: კიმურიამა (ძურიო14) 8-1: ტოჩინოშინი (ძ4) 7-2: ტამანოშიმა (ძ5) 7-2: კიტატაიკი (ძ10) 7-2: საგაცუკასა (ძ14) 6-3:

X დღე: ტოჩინოშინი-კიტატაიკი, კიმურაიამა-შუნკეცუ, საგაცუკასა-შიმოტორი, ტამანოშიმა-უშიომარუ, ტასანოუმი-ჩიიოკაკუჰო, ჰაკუროძან-ტამავაში, კიკუნანკაი-კატაიამა, შირონონამი-ჰოკუტოკუნი, კასუგანიშიკი-კიტაძაკურა.

ხელბურთი. ლეგიონერები

## მაკედონიური ზღაპარი დამთავრდა

რეზო ჭანტურიას "მეტალურგის" ტრიუმფული სვლა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე სლოვენიაში შეწყდა. მაკედონიელებმა "კოპერთან" პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მოპოვებული სამბურთიანი ფორა (27:24) ვერ შეინარჩუნეს და სტუმრად 19:31 წააგეს, რითაც ევროასპარეზს გაისამდე გამოემშვიდობნენ.

## ფრე უშუალო კონკურენტთან

გერმანულ სახელბურთო ბუნდესლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. სერგო დათუკაშვილის "ლიუბეკემ" სტუმრად პრინციპული მატჩი ჩაატარა უშუალო კონკურენტ "ესენთან". სერგოს გუნდი ესენელებს 1 ქულით უსწრებდა და გამარჯვების შემთხვევაში, მე-15 ადგილზე უფრო მყარად მოკალათდებოდა.

დაძაბული მატჩი 31:31 დამთავრდა და "ლიუბეკემ" მე-15 ადგილი შეინარჩუნა.

ქართველი 3 გოლით შეენია თანაგუნდელებს. სერგოს ამჟამად 25 მატჩში 125 გოლი აქვს, რითაც ბუნდესლიგის მე-18 მეგოლეა. ბომბარდირთა დავას კი 171 ბურთით "კილის" ხელბურთელი ნიკოლა კარაბატიჩი ლიდერობს.

**კობა ხატისაშვილი**

კალათბურთი. ლეგიონი

# გუშინ ოთხი მოვიგეთ, დღეს ორი გვინდა!



ვლადიმერ ბოისა


მანუჩარ მარკოიშვილი

## ესტონეთი

დღეს ლეგიონერთა მატჩების მიმოხილვას ბალტიისპირული ამბებით დავიწყებთ. წარსულამდე მომავლის გეგმაზე: გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკი" დღეს ღამით კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში ევროთასის ნახევარფინალში ლატვიის "ბარონსს" დაუპირისპირდება. ფინალი კი 20 მარტს გაიმართება. ამ შეხვედრისთვის "როკერებმა" გენერალური რეპეტიცია ესტონეთის ჩემპიონატში გაიარეს - "პარნუს" უმასპინძლეს და ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე დაამარცხეს - 91:55.

მწვრთნელმა ულარ კერდემ მნიშვნელოვანი მატჩის წინ შეგირდები ცოტა დაასვენა, შესაბამისად გიორგისაც 30 წუთზე ნაკლები, 26 წუთი ერგო და მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ერთ-ერთი საუკეთესო იყო: 16 ქულა (9-დან 6 ორქულიანი), 8 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება.

"როკის" სატურნირო მდგომარეობასთან ერთად, სერგო ათუაშვილის ტტუ-ზეც გეტყვით. ტარტუელებს 28 მატჩიდან 25 მოგებული აქვთ და ცხრილში მხოლოდ "კალევს" (27 მოგება) ჩამორჩებიან. ხოლო ცხრილის ფსკერზე ზღვის ვარსკვლავივით ყურყუტებს ტტუ, რომელსაც 27 შეხვედრაში მხოლოდ ოთხჯერ მიუღწევია წარმატებისთვის.

ბოლო ტურში ტტუ-ელებმა შინ "დალკიასთან" ვერაფერი გააწყვეს - 71:90.

222 სმ. სიმაღლის სერგო ათუაშვილმა მეორე მატჩიც სასტარტოში დაიწყო და ამჯერად ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა. მან 25 წუთში 7-დან 3 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და 10 ქულა მიითვალა, რასაც 8 მოხსნა, და თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება მიამატა. ამჯერად სერგოზე მეტი მისმა თანაგუნდელმა კრისტო ორულამ ჩააგდო (14 ქულა).

## უკრაინა

მოდით, ეს ქვეთავიც მომავალზე საუბრით დავიწყოთ: დღეს მანუჩარ მარკოიშვილის "კიევსაც" პრინციპული შეხვედრა ელის - ულების თასზე უკრაინელები განმეორებით მატჩში პოლონეთის "ტუროვს" დაუპირისპირდებიან. შეხვედრა პოლონეთის ნაცვლად ჩეხეთში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ სერიის პირველ, საწყის თამაშში "ტუროვმა" კიევში 71:59 გაიმარჯვა.

ამ წაგებით გამწარებულმა დედაქალაქელებმა ჯავრი "დნეპრზე" იყარეს და სტუმრად 87:61 სძლიეს.

კიეველებს ტრავმირებული კაპიტნის არტურ დროზდოვის გარეშე მოუწიათ ფონს გასვლა. ჩვეული შედეგიანობით ვერ გამოირჩა ქართველი ფორვარდი მანუჩარ მარკოიშვილი. მას მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა 20 წუთი მისცა. მანუმ 5 ორქულიანიდან და 4 სამიანიდან თითო ტყორცნა გამოიყენა, 7 ქულას, 3 მოხსნას, 1 პასსა და 1 ჩაჭრას გამორჩა. მარკოიშვილის პასივში 4 ფოლი და 2 შეცდომა ჩაიწერა.

"კიევი" კი შიდა ჩემპიონატში მიუღწეველი რეკორდისკენ მიიწევს, მის ანგარიშზე უკვე 20-დან 20 მოგებაა.

## იტალია

იტალიიდან კი ორი ამბავი მოვიდა. ერთი კარგი, მეორე - ცუდი. გასახარია, რომ ნიკოლოზ ცქიტიშვილის "ტერამომ" შემოდგომის შემდეგ პირველად მოახერხა გასვლითი გამარჯვების მოპოვება - უშუალო კონკურენტი "ბიელა" 100:98 დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეცამეტედან მეთორმეტე ადგილზე აინაცვლა. ტერამოელებს საფლეიოფო რვეულისგან მხოლოდ ორი მოგება აშორებთ.

ახლა ცუდი ამბავი - "ბიელას" ძლევაში ცქიტოს წვლილი არ მიუძღვის. იგი მწვრთნელმა განაცხადში არაევროკავშირელებზე დაწესებული ლიმიტის გამო არ შეიყვანა. მის ადგილას ახლადშეძენილი ჰასან ადამსი ჩაწერა, რომელიც 2006 წელს NBA-ს დრაფტზე "ნიუ ჯერსიმ" აიყვანა.

## ესპანეთი

ტაირონ ელისმა "ვალიადოლიდთან" სტატისტიკით თავი ვერ დაგვამახსოვრა: 26 წუთში 3 ქულა (მისთვის უჩვეულოდ ოთხივე სამქულიანი ააცილა), 5 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ "კახასოლი"-"ვალიადოლიდის" მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი ელისის ეგრეთ წოდებული "ალეი-ოპი" იყო, რომელიც გაქართველებულმა ამერიკელმა ეფექტური ზემოდან გდებით დააგვირგვინა.

"კახასოლმა" ესპანეთის ჩემპიონატში მე-9 მატჩი მოიგო - 81:76. 25 ტურის შემდეგ სევილიელებმა მეთხუთმეტე ადგილზე აინაცვლეს და თუ ასევე განაგრძეს ფლეი ოფში მოხვედრაზეც შეუძლიათ პრეტენზიის გამოცხადება. "კახასოლს" მერვეადგილოსან "ხირონასთან" 4 მოგება აშორებს.

## საბერძნეთი

ქართველებს "ტერამოსა" და "კახას" გამარჯვებებიც გეყოფათო, "იფიქრა" ბერძნულმა "არისმა" და შიდა ჩემპიონატში, ოვერტაიმში 98:104 დათმო.

აელ-თან გასვლით შეხვედრაში ვლადიმერ ბოისამ 18 წუთში 5ქულა, 3 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა.

მატჩის შემდეგ ქართველმა ფორვარდმა უმეტესად ევროლიგაზე "არისის" შანსებზე ისაუბრა: " აელ-თან წინასწარ ვიცოდით რომ რთული მატჩი გველოდა... რაც შეეხება ევროლიგაზე 19 მარტს გასამართ "რიტასთან" შეხვედრას, მისი მოგება ჰაერივით გვჭირდება. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად 31 და მეტი ქულის სხვაობით მოგება გვინდა, რის მისაღწევადაც ძალებს არ დავიშურებთ. მისია ურთულესია, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება "არისის" მიერ მატჩისთვის მომზადებაზე. მთავარია დაცვაში დავდგეთ სათანადოდ."

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## დეტროიტმა ჰანტერი დაიბრუნა

"დეტროიტ პისტონზის" მთავარმა მწვრთნელმა **ფლიპ სონდერსმა** მცველ **ლინდსი ჰანტერის** ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება გადაწყვიტა.

*"ჰანტერი ბოლო დროს მონდომებით ვარჯიშობდა და მისი შემადგენლობაში დაბრუნება გადავწყვიტეთ. მას ბევრ სათამაშო დროს ვერ ვპირდები, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ კალათბურთელი ნორმალურ სათამაშო რიტმს დაუბრუნდება"*, - ამბობს სონდერსი.

## ტორონტო ესპანელებს უჩივის

"ტორონტო რეპტორზმა" ესპანეთის კალათბურთის ფედერაციას სასამართლოში უჩივლა. საქმე ისაა, რომ ესპანური მხარე არ ჩქარობს მილიონი დოლარის გადახდას, რომლითაც "რეპტორზის" ესპანელი მცველის, **ხორხე გარბახოსას** დაზღვევა უნდა დაიფაროს. *"ჩვენ ვწუხვართ, რომ მსგავსი ზომების გატარება გვიწევს. მაგრამ ახლა ეს საქმე მხოლოდ სასამართლომ უნდა გაარკვიოს"*, - წერია "ტორონტოს" განცხადებაში.

გასულ სეზონში, გარბახოსამ ერთ-ერთ მატჩში მარცხენა ფეხი იტკინა და ნახევარი წელი გამოტოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო, ფორვარდი 2007 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. "ტორონტო" ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ როცა ესპანეთის კალათბურთის ფედერაციამ მილიონი დოლარის ოდენობის დაზღვევის გადახდაზე თანხმობა განაცხადა, კანადურმა კლუბმა ხორხე ევროპის ჩემპიონატზე გაუშვა. იქ ესპანელმა ძველი ტრავმა გაიმიზეზა, დეკემბერში ოპერაცია გაიკეთა და დღემდე არ გასულა მოედანზე.

## ფერნანდესი ასოციაციას უფრთხის

ესპანეთის ნაკრებისა და "ხუვენტუდის" მცველ **რუდი ფერნანდესს** NBA-ში გადაბარგებისა ეშინია. ესპანელი, რომელზეც "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" გააჩნია უფლებები, ვარაუდობს, რომ ოკეანის გაღმა მას არასაკმარისი სათამაშო დრო ექნება, რაც მის წინსვლაზე უარყოფითად იმოქმედებს.

*"ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, გავემგზავრები თუ არა ზაფხულში "პორტლენდში" სათამაშოდ. ნებისმიერ შემთხვევაში ისე მოვიქცევი, რომ ზიანი არ მოვუტანო ჩემს კარიერას. საქმე ისაა, რომ არ მესმის, თუ რატომ აძლევს ცოტა სათამაშო დროს "პორტლენდის" დამრიგებელი ნეიტ მაკმილანი ჩემს თანამემამულეს, სერხიო როდრიგესს. ვშიშობ, მწვრთნელი ჩემთან მიმართებაშიც ასევე მოიქცევა"*, - განუცხადა "მარკას" ფერნანდესმა.

## უესტი სამ თამაშს გამოტოვებს

"ნიუ ორლეან ჰორნეთსის" ფორვარდმა **დევიდ უესტმა** "ლეიკერსთან" შეხვედრაში მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. ამის გამო, კალათბურთელს თავისი გუნდის უახლოესი სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს.

*"უესტი ოპტიმისტურად არის განწყობილი და დაბრუნებას ოთხშაბათისთვის გეგმავს, მაგრამ ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ ჩაივლის აღდგენითი პროცესი"*, - აცხადებს "ჰორნეთსის" მთავარი მწვრთნელი **ბაირონ სკოტი**.

## ბოში ოთხშაბათს დაბრუნდება

"ტორონტო რეპტორზს" სულ მალე დაუბრუნდება თავისი ლიდერი, მძიმე ფორვარდი **კრის ბოში**. NBA-ის ვარსკვლავი ფეხის ტრავმის გამო თითქმის ერთი თვე არ თამაშობდა და ახლა, ექიმების ვარაუდით, ოთხშაბათს გამოჩნდება კანადური კლუბის შემადგენლობაში.

## მოურნინგმა გადაიფიქრა?

როგორც ცნობილია, "მაიამი ჰიტის" ვეტერანმა ცენტრმა **ალონზო მოურნინგმა** გასული წლის ბოლოს უმძიმესი ტრავმა მიიღო და ამის გამო, კარიერის დასრულების შესახებ ალაპარაკდა. თუმცა ზოს ამასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუცხადებია. ახლა კი ირკვევა, რომ მოურნინგი საგაისოდ კარიერის გაგრძელებას გეგმავს და ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო პასუხს ზაფხულში გამოაცხადებს.

## კლიპერსმა ტორნტონიც დაკარგა

ტრავმების ეპიდემია გრძელდება "ლოს ანჯელეს კლიპერსში". "ვაშინგტონთან" მატჩში მარცხენა ფეხი დაიზიანა წლევანდელი სეზონის დებიუტანტმა **ელ ტორნტონმა** და როგორც კალიფორნიელთა მთავარი მწვრთნელი, **მაიკლ დანლივი** აცხადებს, ფორვარდის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად "კლიპერსის" ტრავმირებულთა სიაში ოთხი კალათბურთელი შედის: **ელტონ ბრენდი, კრის კამანი, შონ ლივინგსტონი და პოლ დევისი.**

ჰოკეი

## კაროლინამ ბომბარდირი დაკარგა

პრონგერის მსგავსად, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებს გამოტოვებს "კაროლინას" ფორვარდი **რეი უიტნი**. მიზეზი ჰოკეისტის ტრავმა გახლავთ - უიტნის ფეხი აქვს დაზიანებული. ექიმების ვარაუდით, "ჰარიკეინზის" თავდამსხმელი 2-3 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

წელს, უიტნი "კაროლინას" საუკეთესო ბომბარდირია - მის ანგარიშზე 25 გოლი და 34 შედეგიანი პასი მოდის.

## ბროდო და საკიკი ისტორიაში შევიდნენ

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, კარიერაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჰოკეის ეროვნული ლიგის ვეტერანებმა, **მარტინ ბროდომ** და **ჯო საკიკმა**.

"ნიუ ჯერსის" მეკარე ბროდომ ამ სეზონში მე-40 გამარჯვება იზეიმა. ლეგენდარულმა გოლკიპერმა ამ ზღვარს კარიერაში მეშვიდედ გადააბიჯა. გარდა ამისა, ბროდოს 18 მოგება აკლია იმისთვის, რომ გამარჯვებათა რაოდენობით ყველა დროის ლიდერს, "კოლორადოს" ლეგენდარულ მეკარეს **პატრიკ რუას** დაეწიოს. ამ უკანასკნელის ანგარიშზე 551 მოგებაა.

რაც შეეხება "კოლორადოს" ცენტრფორვარდ ჯო საკიკს, მან ორი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში და NHL-ის ისტორიაში მე-11 ჰოკეისტი გახდა, ვისაც კარიერაში 1000 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.

ფორმულა 1

## ფეტელი ფერარიში გადადის?

გერმანულ გაზეთ "ბილდის" ინფორმაციით, "ტორო როსოს" წევრი **სებასტიან ფეტელი** შესაძლოა "ფერარის" პილოტი გახდეს.

"ფერარი", რომელიც "ტორო როსოს" ძრავებით ამარაგებს, 20 წლის გერმანელ პილოტს ტესტებზე მიიწვევს. ამასთან, ფეტელი ჩემპიონატში თავისი ამჟამინდელი გუნდის ბოლიდით გააგრძელებს გამოსვლას.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიუსტონი ოცდაორზე ავიდა

"ჰიუსტონ როკეტსმა" ზედიზედ 22-ე გამარჯვება კალიფორნიულ გრანდთან, **კობი ბრაიანტის** "ლეიკერსთან" ბრძოლაში მოიპოვა და კიდევ უფრო მოწყდა იმ გუნდების ჯგუფს, რომელშიც ჩემპიონობის რამდენიმე რეალური მაძიებელი, მათ შორის "ლეიკერსიც" შედის.

ტეხასში კალიფორნიელები ტრავმირებული **პაუ გასოლის** გარეშე კი ჩავიდნენ, მაგრამ თუ ვინმეს უნდა შეეჩერებინა მადაზე მოსული "როკეტსი", ეს **ფილ ჯექსონის** გუნდი უნდა ყოფილიყო. თუმცა, სურვილი და რეალობა ერთმანეთს, ისევ და ისევ, ბრაიანტის ეგოისტურმა თამაშმა დააშორა. სტუმრები ვერც მასპინძელთა ლიდერის, **ტრეისი მაკგრეიდის** კარიერაში უსუსტესმა გამოსვლამ გადაარჩინა.

33 სროლიდან კობიმ 22 ააცილა, დაცვაშიც უამრავი შეცდომა დაუშვა და მთელი მატჩის განმავლობაში ბურთს ვერ შეელია. ბრაიანტს "ჰიუსტონის" დამარცხება მარტო სურდა, მაგრამ ერთი კაცის ხაფანგში მოექცა და ვერაფერი გააკეთა.

ეს კაცი კი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ინდივიდუალური დამცველი **შეინ ბეტიეა**, რომელიც იქნებ წელს მაინც გამოარჩიონ საუკეთესო მცველებში და დამსახურებული აღიარება მიანიჭონ. **მარკუს კემბი** შარშანდელზე სუსტად გამოიყურება, **რონ არტესტი** ყოველ მეხუთე მატჩში თუ ინდომებს დაცვაში თამაშს, **ბრიუს ბოუენი** კი აშკარად დაბერდა და ეს "სპურსის" ბოლოდროინდელ, სამარცხვინო თამაშზეც აისახა. ასე რომ, საუკეთესო დამცველის პრიზი ბეტიეს უნდა მისცენ.

კობი ნებისმიერი დისტანციიდან ცდილობდა ბურთის ჩაგდებას, მაგრამ ყოველ ჯერზე ამის გაკეთება ბეტიეს ალმართული ხელების ზემოდან უხდებოდა.

ორივე გუნდმა შეხვედრა 17 ზუსტი სამიანით დაასრულა და თითქმის ნახევარი **რაფერ ალსტონმა** მოინადირა, რომელმაც 11 შორეული გასროლიდან მხოლოდ 3 ვერ გამოიყენა. იმ პირობებში, როცა მაკგრეიდიმ პირველ ტაიმში 0 (!) ქულა შესძინა გუნდს, სნაიპერობა სწორედ რაფერმა აიღო თავის თავზე.

ალსტონისთვის 31 ქულა და 8 ზუსტი სამიანი კარიერის რეკორდები გახლდათ, მეორე მეოთხედში კი, მასპინძლებს უპირატესობის შენარჩუნებაში არგენტინელი ფორვარდი **ლუის სკოლა** დაეხმარა. ლუისმა პირველ სამ წუთში 2 სწრაფი პერსონალური მიიღო და ცხადია, "როკეტსის" თავკაცმა, **რიკ ადელმანმა** იგი მაშინვე რეზერვში გადაისროლა, მეორე მეოთხედის შუანელს კი გამოცდილი ფორვარდი მოედანს დაუბრუნდა და ააწიოკა სტუმართა სამწამიანი. მოკლე დროში სკოლამ მეტოქის ფარზე სამჯერ მოხსნა ბურთი და სამივეჯერ "როკეტსის" შეტევა ქულების მომტანი გამოდგა.

კობიმ "ჰიუსტონს" დასავლეთში ყველაზე კარგად განვრთნილი და დაბალანსებული გუნდი უწოდა, თუმცა იქვე დასძინა - პაუ გასოლი რომ გვყოლოდა, "როკეტსის" წარმატებული სერია, ალბათ, დასრულდებოდაო.

ახლა კი "როკეტსის" ბოლოდროინდელ შედეგებსაც გადავხედოთ:

- "ჰიუსტონი" ბოლოს 27 იანვარს, "იუტასთან" 89:97 დამარცხდა.
- მაკგრეიდიმ და კომპანიამ ბოლო 27-დან 26, ხოლო 34-დან კი 31 მატჩი მოიგეს.
- მას მერე, რაც "როკეტსმა" **იაო მინი** დაკარგა, ადელმანის ბიჭებმა ზედიზედ 10 გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო ბოლო 12 მატჩიდან კი მხოლოდ ორჯერ ვერ დასცეს ოპონენტი 10 და მეტქულიანი სხვაობით.

### ტურის გმირი მარკუს კემბი

"დენვერის" 33 წლის ცენტრმა კიდევ ერთხელ ალაფრთოვანა საკალათბურთო საზოგადოება. **კემბის** მიერ "სიეტლთან" შესრულებული ტრიპლ-დაბლი მართლაც უცნაურია, მით უმეტეს, რომ მარკუსი თავის საყვარელ კომპონენტში, დაფარებებში 10 ერთეულს ვერ გადასცდა. კემბიმ 13 ქულა, 15 მოხსნა და 10 პასი დააგროვა და ამას კიდევ ოთხი ბლოკ-შოტიც დაუმატა.

### ტურის ანტიგმირი მაიამი ჰიტი

2008 წლის 16 მარტი - კიდევ ერთი შავი ლაქაა "მაიამი ჰიტის" ისტორიაში. "დალასთან" მატჩში (73:98) **პატ რაილის** გუნდმა ამ სეზონის ორი საკლუბო ანტი-რეკორდი დაამყარა - 73 ქულა მატჩში და 30 ქულა პირველ ტაიმში.

"ჰიტს" წინ კიდევ ერთი ანტირეკორდი ელის: სეზონის განმავლობაში შინ ყველაზე მეტი ნაგება. 1989-90 წლების შედეგი რომ არ განმეორდეს, "მაიამიმ" დარჩენილ შვიდ საშინაო შეხვედრაში ხუთ გამარჯვებას უნდა მიაღწიოს. თითქმის უიმედო პერსპექტივაა, რადგან სამი ლიდერი - **უეიდი, ჰასლემი** და **მერიონი** კლუბის ლაზარეთში არიან.

### ტურის ციფრი: 168

ეს არის ქულათა რაოდენობა, რომელიც "დენვერმა" "სიეტლთან" მატჩში დააგროვა. ამან კოლორადოელებს რამდენიმე რეკორდის დამყარების საშუალება მისცა:

- ამ სეზონში მთელს ლიგაში საუკეთესო შედეგიანობა;
- სწრაფი გარღვევებით დაგროვებული 49 ქულა საუკეთესო შედეგია NBA-ის ისტორიაში;
- ექვსი ქულა დააკლდა "დენვერს" იმისთვის, რომ ძირითად დროში დასრულებულ შეხვედრაში ერთი გუნდის შედეგიანობის რეკორდი გაემეორებინა. 1990-91 წლების სეზონში, "ფინიქსმა" იმავე "დენვერს" 173 ქულა ჩაუგდო.
- ანგარიშში 52-ქულიანი სხვაობა NBA-ის ისტორიაში სიდიდით მესამე გახლავთ.

### ტურის ფრაზა

*"მატჩის შემდეგ ორ ბოთლ "ბუდვაიზერს" გადავკრავ, რადგან ეს პატიოსანი შრომით დავიმსახურე"*, - განაცხადა "ჰიუსტონის" ფორვარდმა შეინ ბეტიემ მას შემდეგ, 47 წუთი დაუღალავად იშრომა კობი ბრაიანტის წინააღმდეგ.

**დეტროიტი-ნ. ორლეანი 105:82**

21:24, 34:19, 22:22, 24:20

**დეტროიტი:** ჯ. პეიესი (29 ქ), ბილაპსი (17 ქ. 5 პ), პრინსი (13 ქ), რ. უოლასი (10 ქ).

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (21 ქ. 9 მ), ილაი (15 ქ), პოლი (14 ქ. 14 პ), ჯ. რაიტი (10 ქ. 4 ჩ).

**კლივლენდი-შარლოტი 98:91**

27:19, 20:21, 28:23, 23:28

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (33 ქ. 10 პ. 7 მ), ილგაუსკასი (16 ქ. 9 მ. 3 დ), პავლოვიჩი (11 ქ), დ. ბრაუნი (10 ქ. 5 პ), ბ. უოლასი (4 ქ. 15 მ. 3 ჩ).

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (33 ქ), ფელტონი (14 ქ. 9 პ), ოკაფორი (10 ქ. 12 მ), ჯ. უოლასი (10 ქ. 5 პ), მოჰამედი (9 ქ. 12 მ).

**ჰიუსტონი-ლეიკერსი 104:92**

24:23, 35:21, 12:22, 33:26

**ჰიუსტონი:** ალსტონი (31 ქ. 5 პ), ბ. ჯექსონი (19 ქ. 6 პ), ბეტიე (14 ქ), სკოლა (13 ქ. 11 მ), მაკგრეიდი (11 ქ. 6 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (24 ქ. 7 მ), ოდომი (17 ქ. 11 მ), ტურიაფი (13 ქ. 8 მ. 3 დ).

**ნიუ იორკი-ატლანტა 98:109**

20:21, 29:32, 30:32, 19:24

**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (23 ქ. 5 პ), ჯ. ჯონსი (14 ქ), ზ. რენდოლფი (13 ქ. 8 მ), ლი (12 ქ. 9 მ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (28 ქ. 11 პ), მერვინ უილიამსი (25 ქ. 9 მ), ჩილდრესი (22 ქ. 9 მ. 3 ჩ), ჯოშ სმიტი (15 ქ. 8 მ), ჰორფორდი (8 ქ. 10 მ).

**მაიამი-დალასი 73:98**

12:35, 18:17, 23:32, 20:14

**მაიამი:** ბარონი (21 ქ), დ. კუკი (11 ქ. 8 მ).

**დალასი:** ნოვიცკი (21 ქ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 6 მ), ბასი (14 ქ), ტერი (14 ქ), სტექჰაუზი (12 ქ).

**საკრამენტო-ტორონტო 106:100**

32:23, 21:26, 23:24, 30:27

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (32 ქ. 8 მ), არტესტი (19 ქ. 10 მ. 5 პ. 4 ჩ), მური (17 ქ. 7 მ), უდრიხი (15 ქ. 7 პ), ბ. მილერი (14 ქ. 11 მ).

**ტორონტო:** კაპონო (26 ქ), ნესტეროვიჩი (20 ქ. 8 მ), ე. პარკერი (11 ქ. 6 მ. 6 პ).

**დენვერი-სიეტლი 168:116**

48:29, 36:29, 43:27, 41:31

**დენვერი:** ენტონი (26 ქ), აივერსონი (24 ქ. 6 პ), კენიონ მარტინი (23 ქ. 8 მ), ჯეი. რ. სმიტი (19 ქ. 5 პ), ეტკინსი (19 ქ. 5 პ), კლეიზა (17 ქ), კემბი (13 ქ. 15 მ. 10 პ. 4 დ), ი. დიარა (11 ქ).

**სიეტლი:** დიურანი (23 ქ), უილკოქსი (17 ქ. 12 მ. 3 დ), ქელაბალი (16 ქ), ე. უოტსონი (14 ქ. 7 პ), პეტრო (14 ქ. 3 დ).



მარკუს კემბი

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კოლამბუსი-დეტროიტი 4:3**

1:0, 3:2, 0:1

**გოლები:** 1:0 მალორტა-7 (ნეში-24, მოდინი-5), 2:0 ტოლეფსენი-2 (ჩიმერა-16, ბოლი-5), 3:0 მალორტა-8 (ნეში-25), 3:1 კოპეცკი-5 (რი ტოლა-1, ჰერტიგანი-1), 4:1 ჟერდიოვი-25 (მალორტა-16, როუმი-1), 4:2 ფრანცენი-19 (დაციუკი-56, ზეტერბერგი-43), 4:3 ფრანცენი-20 (ლიდსტრიომი-55, დაციუკი-57).

**პიტსბურგი-ფილადელფია 7:1**

2:0, 3:1, 2:0

**გოლები:** 1:0 მალკინი-40 (სიკორა-32), 2:0 სიკორა-24 (დუპუი-9, მალკინი-55), 3:0 ტ. კენედი-10 (ტელბოტი-13, გილი-20), 3:1 ნუბლი-27 (ტორესენი-3), 4:1 მალკინი-41 (სიკორა-33, მელოუნი-20), 5:1 მარიან ჰოსა-27 (გონჩარი-47, დუპუი-10), 6:1 სიკორა-25 (მალკინი-56, მელოუნი-21), 7:1 გილი-3 (დუპუი-11, მარიან ჰოსა-31).

**ჩიკაგო-კალგარი 2:4**

1:1, 0:3, 1:0

**გოლები:** 0:1 ა. ოკუანი-9 (ტანგეი-37, ნოლანი-13), 1:1 ტეუვზი-20 (კეინი-45, ჯეისონ უილიამსი-19), 1:2 იგინლა-45, 1:3 ჰუსელიუსი-24 (ნოლანი-14, რეგერი-13), 1:4 ფანოფი-15 (ტანგეი-38), 2:4 ლანგი-20 (ბიფუგლიენი-16, ვიშნიევსკი-16).

**ფლორიდა-ატლანტა 3:1**

2:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 დვორაკი-6 (პელტონენი-14, კრეპსი-16), 2:0 ო. იოკინენი-32 (მონტადორი-15, მაკლინი-18), 2:1 კოვალჩუკი-49 (ლიტლი-8, კვიატკოვსკი-4), 3:1 ოლეში-14 (ო. იოკინენი-37, მაკლინი-19).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ფიოდოროვი-10 (ბექსტრიომი-49, ლეიჩი-11), 1:1 კლბესოუ-22 (ლუჩიჩი-15, ლეშოფი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** სიომინი (ვაშინგტონი), ვიქ. კოზლოვი (ვაშინგტონი).

**კაროლინა-ოტავა 5:1**

2:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ჰიტლი-36 (სპეცა-53, სტილმანი-37), 1:1 ივსი-5 (ფ. კაბერლე-19, ს. უოკერი-17), 2:1 კორვო-10 (სამსონოვი-18, ე. სტაალი-37), 3:1 ს. უოკერი-12 (გლისონი-14, ე. სტაალი-38), 4:1 კორვო-11 (სამსონოვი-19, ე. სტაალი-39), 5:1 კორვო-12 (ტ. რუუტუ-19).

**სან ხოსე-ედმონტონი 1:2 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მარლო-16 (პაველსკი-14, ბ. კემპბელი-47), 1:1 ჰემსკი-20 (რ. ნილსონი-26, სემ განიე-33).

**ბულიტები გაიტანეს:** რ. ნილსონი (ედმონტონი), მარლო (სან ხოსე), პიზანი (ედმონტონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. პარიზი-ნიცა

# რებელინმა ბოლოს და ბოლოს მოიგო



რებელინმა ყვითელი მაისურა მოირგო

კლასიკური ერთდღიანი რბოლების იტალიელი სპეციალისტის, **დავიდე რებელინის** გამარჯვებით დასრულდა პარიზი-ნიცას პრესტიჟული რბოლა, რომელსაც ხშირად ტურ დე ფრანსის რეპეტიციადაც მოიხსენიებენ ხოლმე. რებელინმა სულ რაღაც სამი წამით აჯობა თანამემამულე **რინალდო ნოჩენტინის**. მესამეზე კი უკრაინელი **იაროსლავ პოპოვიჩი** გავიდა.

აღსანიშნავია, რომ პარიზი-ნიცას რბოლის 66-წლიან ისტორიაში, სამწამიანი უპირატესობით აქამდე არავის მოუგია. 1973 წლის რბოლის გამარჯვებულმა, ფრანგმა **რაიმონ პულიდორმა** ჰოლანდიელ **იოოპ ცოეტემელკს** სულ რაღაც ოთხი წამით აჯობა.

აღსანიშნავია, რომ რებელინი პარიზი-ნიცას რბოლაზე ორჯერ (2004 და 2007 წლებში) გავიდა მეორე ადგილზე, ერთხელ კი (2003 წელს) მესამე ადგილს დასჯერდა. სხვათა შორის, შარშან ის ესპანელ **ალბერტო კონტადორთან** დამარცხდა, ვინც მოგვიანებით, ფრანგული ტურის ჩემპიონიც გახდა.

რბოლის ბოლო ეტაპი რამდენიმე წუთის დაგვიანებით დაიწყო, რისი მიზეზიც ველომრბოლების საპროტესტო აქცია გახდა. ამ აქციით, მათ თავიანთ ბელგიელ კოლეგას, **კევინ ვან იმპეს** გამოუცხადეს მხარდაჭერა. ვან იმპეს შვილი გარდაცვლია და მაშინ, როცა დაკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს აგვარებდა, ბელგიის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მოხელეები არასაშეჯიბრო ტესტის ჩასატარებლად დასდგომიან თავს. რა თქმა უნდა, ველომრბოლმა ისინი სასტიკი უარით გაისტუმრა, რისთვისაც სანქცია ელის.

რაც შეეხება პარიზი-ნიცას რბოლას, ის შარშან პრო ტურის კალენდარში შედიოდა, მაგრამ მიმდინარე სეზონში ამ სერიის ლიცენზია არ მიულია, რისი მიზეზიც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსა და ფრანგული ტურის ორგანიზატორს, "ამორი სპორტს ორგანიზასიონს" შორის არსებული კონფლიქტი გახდა. კავშირის პრეზიდენტი **პეტ მაკქუეიდი** პარიზი-ნიცას რბოლას არალეგალურს უწოდებს. სამაგიეროდ, რბოლა საფრანგეთის ველოკავშირისა და საფრანგეთის სპორტის მინისტრის, ქვეყნის სარაგბო ნაკრების ყოფილ მწვრთნელ **ბერნარ ლაპორტის** მხარდაჭერით სარგებლობს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-5 ეტაპი. ალტენიდან პალუდსამდე (172.5 კმ)

1. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპი) 3:58.01 (43.48 კმ/სთ); 2. კარტსენ კროონი (ჰოლანდია, CSC) 0.04; 3. მანუელე მორი (იტალია, სონიე დიუვალი) 0.04; 4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, აგრიტუბელი) 0.04; 5. პიერ როლანი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 0.04...

მე-6 ეტაპი. სისტერონიდან კანამდე (206 კმ)

1. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 5:00.25 (41.14 კმ/სთ); 2. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.02; 3. ბობი ჯულიჩი (აშშ, CSC) 0.02; 4. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 0.02; 5. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.06...

მე-7 ეტაპი. ნიცას შემოგარენი (119 კმ)

1. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2:51.12 (40.3 კმ/სთ); 2. მაქსიმ მონფორი (ბელგია, კოფიდისი) იგივე დროში; 3. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპი) იგივე დროში; 4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, აგრიტუბელი) 0.05; 5. ალექსანდრ ეფიმკინი (რუსეთი, ქვიკსტეპი) 0.05...

საბოლოო კლასიფიკაცია

1. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 29:02.48; 2. რინალდო ნოჩენტინი (იტალია, Ag2r-ლა მონდიალი) 0.03; 3. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, სილენს-ლოტო) 0.48; 4. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.51; 5. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.09...

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერმა მოგებით დაიწყო

კალიფორნიაში მიმდინარე ინდიან ველსის ტურნირს მეორე წრეშივე გამოეთიშა მისი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ამერიკელი **ენდი როდიკი**, ვინც ამ სეზონს კარგად კი ატარებს, მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწყო გერმანელი **ტომი ჰაასის** წინააღმდეგ. სამაგიეროდ, მომდევნო წრეში გავიდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, რომლისთვისაც ეს მიმდინარე სეზონში სულ მესამე ტურნირია.

ფედერერმა როგორც იქნა, მოირჩინა გლანდების გაჭიანურებული ანთება და როგორც თავად ამბობს, სეზონის პირველი სამასტერსო ტურნირისთვის კარგადაა მომზადებული. ყოველ შემთხვევაში, მას არ გასჭირვებია ესპანელი **გილერმო გარსია-ლოპესის** დამარცხება.

ინდიან ველსის "ტენის გარდენის" კომპლექსში მისული მაყურებელი როდიკისგან, ვისაც ამ სეზონში უკვე ორი ტურნირი აქვს მოგებული (დუბაისა და სან ხოსეში), გამარჯვებას ელოდა, მაგრამ ამერიკელმა ისე-რა თამაშით გააწბილა ისინი.

*"ტომიმ შესანიშნავად ითამაშა. ვერც იმას ვიტყვი, რომ დარტყმები არ გამომდიოდა. იქნებ, ბრძოლის ჟინი მაკლდა და ყველა ბურთისთვის თავგამოდებით არ ვიბრძოდი. რა თქმა უნდა, ჩემს თამაშს რაღაც აკლდა. ფაქტია, რომ ისე არ მითამაშია, როგორც წინა ტურნირებზე. ნაგება საწყენია, მაგრამ ეს ჩემს თავდაჯერებულობას არაფერს ავნებს. ვიცი, რომ შემდეგ ტურნირებზე უკეთ ვითამაშებ"*, - განაცხადა როდიკმა, ვისთვისაც ეს მიმდინარე სეზონში მესამე მარცხი იყო.

ჰაასმა, ვინც ოდესღაც მსოფლიოს მეორე ჩოგანი იყო, როდიკთან კი ამ შეხვედრის ჩათვლით, ათიდან შვიდი ქვს მოგებული, პირველი სეტის მეცხრე გეიმში შეძლო ბრეიკის მოპოვება. მანვე მეორე სეტის მეშვიდე გეიმში კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და ამით გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

ნამატჩევს ჰაასმა განაცხადა, რომ მარჯვენა მხარზე გადატანილი მესამე ოპერაციის გამო, ფრთხილად თამაში უწევს. არადა, ისიც კარგად ესმის, რომ ბევრი თამაშის გარეშე, ოდინდელ ფორმას ვერანაირად ვერ აღიდგენს. ენდისთან თამაში კი მხოლოდ იმის წყალობით მოვიგე, რომ გადამწყვეტ მომენტებში თითქმის ყველაფერი გამომდიოდაო.


როდიკი შინ გაუშვეს

რაც შეეხება ფედერერს, მას ინდიან ველსის ტურნირი სამჯერ აქვს მოგებული და არ მალავს, რომ ამჯერადაც გამარჯვებისთვის იბრძოლებს. *"ჩემი თამაშით ამჯერად კმაყოფილი ვარ. კარგად ვმოძრაობდი, გადამწყვეტ მომენტებშიც ისე ვირჯებოდი, როგორც ვისურვებდი. მართალია, ზედმეტ რისკზე არ მივდიოდი, მაგრამ როცა შანსი მეძლეოდა, მის გამოსაყენებლად ძალებს არ ვზოგავდი. რაც მთავარია, არც ყელის ტკივილი მაწუხებდა, არც სუნთქვის პრობლემები მქონია. მოკლედ, ავადმყოფობა წარსულში დავტოვე და ახლა ისევ ძველებურად თამაშს ვაპირებ"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც ამ ეტაპზე თავის მთავარ პრობლემად უთამაშებლობას ასახელებს.

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 3 589 000 დოლარი**

**II წრე**

**როჯერ ფედერერი** (შვეიც, 1)-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 6:3, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუს, 4)-ჯონ ისნერი (აშშ) 6:2, 7:6(3); **ტომი ჰაასი** (გერ)-ენდი როდიკი (აშშ, 6) 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგ, 7)-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 4:6, 7:6(4); **ენდი მარეი** (ბრიტ, 11)-იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6, 6:3, 6:3; **მარიო ანჩიჩი** (ხორ)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12) 7:5, 3:6, 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუს, 13)-ჟილ სიმონი (საფ) 7:5, 6:4; **ტომი რობრედო** (ესპ, 15)-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:4, 5:7, 7:6(5); **ივო კარლოვიჩი** (ხორ, 20)-რიკ დე ვოესტი (ს. აფრ) 6:3, 7:6(2); **ხუან კარლო ფერერო** (ესპ, 22)-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:4, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი**(ხორ, 23)-მარინ ჩილიჩი (ხორ) 7:6(7), 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრა, 24)-სემ კუერი (აშშ) 6:4, 6:3; **ნიკოლა მაე** (საფ)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 25) 7:6(1), 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხ, 29)-მაქს მირნი (ბლრ) 6:4, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპ, 30)-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 4:6, 6:4, 6:3; **მარდი ფიში** (აშშ, 31)-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4, 6:3.

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 2 100 000 დოლარი**

**III წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუს, 2)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 28) 6:1, 4:6, 6:3; **მარია შარაპოვა** (რუს, 4)-ელენი დანიილიდუ (საბ, 25) 7:5, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკ, 5)-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:4, 6:2; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ)-დინარა საფინა (რუს, 8) 7:5, 6:2; **სანია მირზა** (ინდ, 21)-შაარ პეერი (ისრ, 9) 6:7(7), 7:5, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა** (პოლ, 10)-შუაი პენგი (ჩინ) 6:3, 3:6, 6:3; **ალიონა ბონდარენკო** (უკრ, 15)-ამელი მორესმო (საფ, 17) 6:1, 6:2; **კაროლინ ვოზნიაჩკი** (დან)-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:0, 6:2.

## TV სპორტი

**18 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ნიუკასლი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:05 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ჩელსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:53 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტკლუბი.
11:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:55 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ნასიონალი.
13:41 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
14:11 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ნიუკასლი.
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
20:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:07 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. წყვილები. მოკლე პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
01:40 მინი-მოედანი.
01:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
02:25 ფეხბურთი. Barca TV.
02:32 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ატლანტა (LIVE).
05:41 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
06:12 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ნასიონალი.

**EUROSPORT**

11:30 ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
12:00 მძლეოსნობა. სეულის მარათონი. ს. კორეა.
12:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი.
13:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი.
13:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ზაგრები. ხორვატია.
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
20:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო ადრიატიკო. VII ეტაპი.
20:30 საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 3 მ. ქალები. ჰოლანდია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია (LIVE).
23:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. წყვილები. მოკლე პროგრამა. გიოტებორგი. შვედეთი (LIVE).
01:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
02:30 საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია.
03:00 მულტისპორტი.
03:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი.
04:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი.
14:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კოლორადო.
18:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო ადრიატიკო. VII ეტაპი (LIVE).
19:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. კიევი (უკრაინა)-ტუროვი (პოლონეთი).
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ბეშიქთაში (თურქეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ხირონა (ესპანეთი)-ჰემოფარმი (სერბეთი) (LIVE).
01:15 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კოლორადო.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ბეშიქთაში (თურქეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ბირმინგემი-ნიუკასლი 1:1**

ბირმინგემი: მ. ტეილორი, რიჯუელი, მერფი, კელი, ჟაიდი, დ. ჯონსონი, მაკშეფრი, ლარსონი (46. პერნაბი), მუამბა, მაკფადენი (86. სარატე), ფორსელი (71. ჯერომი).

ნიუკასლი: ჰარპერი, ს. ტეილორი, ბეიე, ხოსე ენრიკე, ფაიე, ბატი, ჟერემი, ბარტონი, ვიდუკა, ოუენი, მარტინსი (80. 6"ზოგბია).

გოლები: 1:0 მაკფადენი (33), 1:1 ოუენი (56)

გაფრთხილება: 2-2; კუთხური: 3-8; ჯარიმა: 8-12; თამაშგარე: 1-0; კარში დარტყმა: 12-14 (4-7); ბურთის ფლობა: 40%-60%.

მაყურებელი: 25 775

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 29 | 21 | 4 | 4 | 59-15 | 67 |
| 2. არსენალი | 30 | 19 | 10 | 1 | 58-22 | 67 |
| 3. ჩელსი | 29 | 19 | 7 | 3 | 49-18 | 64 |
| 4. ლივერპული | 30 | 16 | 11 | 3 | 55-21 | 59 |
| 5. ევერტონი | 30 | 17 | 5 | 8 | 47-25 | 56 |
| 6. პორტსმუთი | 30 | 14 | 8 | 8 | 44-31 | 50 |
| 7. ასტონ ვილა | 30 | 13 | 10 | 7 | 52-39 | 49 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 30 | 13 | 9 | 8 | 36-34 | 48 |
| 9. ბლექბერნი | 30 | 12 | 10 | 8 | 39-37 | 46 |
| 10. ვესტ ჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 33-36 | 43 |
| 11. ტოტენჰემი | 29 | 9 | 8 | 12 | 54-47 | 35 |
| 12. ვიგანი | 30 | 8 | 7 | 15 | 27-42 | 31 |
| 13. მიდლსბრო | 30 | 7 | 10 | 13 | 27-44 | 31 |
| 14. ნიუკასლი | 30 | 7 | 8 | 15 | 31-57 | 29 |
| 15. რედინგი | 30 | 8 | 4 | 18 | 35-57 | 28 |
| 16. ბირმინგემი | 30 | 6 | 9 | 15 | 34-46 | 27 |
| 17. სანდერლენდი | 30 | 7 | 6 | 17 | 26-48 | 27 |
| 18. ბოლტონი | 29 | 6 | 7 | 16 | 28-43 | 25 |
| 19. ფულჰემი | 30 | 4 | 11 | 15 | 27-49 | 23 |
| 20. დერბი | 30 | 1 | 7 | 22 | 14-64 | 10 |

**იტალია**

**სერია C1/A**

სასუოლო-კრემონეზე 1:2

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-კიოლნი 1:0

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

გენიონი-ნანტი 1:1

**პორტუგალია**

სპორტინგი-ნასიონალი 4:1

**დანია**

მიდტიულანდი-ნორდსილანდი 1:0

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

ბელინცონა-ვინტერტური 3:3

**ჩეხეთი**

ბოლესლავი-სპარტა 1:4

**უნგრეთი**

მტკ-დიოშდიორი 1:1

**ჰოკეი**

**რუსეთი**

დინამო-მეტალურგი (მ) 0:0
სკა-ლოკომოტივი 1:2

**სლოვაკეთი**

კოშიცე-სკალიცა 4:1

**შვედეთი**

ფერიესტადი-ფრიოლუნდა 4:2
ჰ371-აიკ 2:0
ლინჩოპინგი-იურგორდენი 4:1
მოდო-ტიმრა 5:3

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

გასკე-ჩელა 6:2, 6:1
ბლეიკი-მოია 6:3, 6:4

**WTA. ინდიან უელსი**

პაჩეკი-დელაკუა 1:6, 0:6
სკიავონე-პენეტა 6:3, 6:4
იანკოვიჩი-სუგიამა 6:1, 6:1
მედინა გარიგესი-როდინა 6:3, 7:5
ზვონარევა-ვოსკობოევა 6:0, 6:3
ბარტოლი-კერბერი 6:3, 7:6

კრივი. ზებუმბულის წონა

# პაკიაო WBC-ს ტიტულს დაეუფლა

ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო "მანდალაი ბეის რინგზე", ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** ქულებით, მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით აჯობა მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** და მას WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ვერსიით ზებუმბულის წონის (59 კგ-მდე) მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა.

მიუხედავად იმისა, რომ პაკიაომ მესამე რაუნდში მეტოქეს ნოკდაუნი აწვნია, მსაჯთა გადაწყვეტილება მაინც გაიყო. მათგან ორმა გამარჯვება (115-112 და 114-113) ფილიპინელ მოკრივეს მიაკუთვნა, ერთმა კი (115-112) მექსიკელს მოაგებინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მოკრივე ერთმანეთს 2004 წელსაც შეხვედრია და მაშინ ბრძოლა ფრედ დასრულდა. არადა, იმ ბრძოლის პირველ რაუნდში მარკესმა სამი ნოკდაუნი იწვნია.

ამჯერად, ბრძოლა ასე ცხარედ არ დაწყებულა. თავიდან მარკესი (48-4-1, 35 ნოკაუტი) უფრო აქტიური იყო. ის კონტრშეტევებით ახერხებდა ქულების დაგროვებას და თავსაც უკეთ იცავდა. მაგრამ მესამე რაუნდში ბევრი რამ შეიცვალა. პაკიაომ (46-3-2, 34 ნოკაუტი) წარმატებული კომბინაცია განახორციელა - ჯერ მარჯვენა ჯებით გაარღვია მეტოქის დაცვა, შემდეგ კი ცაციაც მიაყოლა, რითაც მექსიკელს წონასწორობა დააკარგვინა. მარკესმა გაბრძოლება სცადა - მარჯვენა ხელი გამეტებით მოიქნია, მაგრამ ააცდინა და უმალ პაკიაოს ცაცია კიდევ ერთხელ იგემა. ამ დარტყმამ ის ძირს გულაღმა დასცა.

მექსიკელმა წამოდგომა შეძლო და ყველას გასაკვირად, მეტოქის გააფთრებული შეტევის მიუხედავად, რაუნდის ბოლომდე შეინახა თავი. მაგრამ კარგი დღე არც მომდევნო რაუნდში დაადგა. ფილიპინელმა თავისი ცაცია კარგად ამუშავა და ჩემპიონს უმოწყალოდ სცემა, თუმცა მარკესს ამჯერად წონასწორობა არ დაუკარგავს. უფრო მეტიც, რაუნდის მიწურულს ის ფეხებზე უკვე მყარად იდგა და კონტრშეტევებსაც ახერხებდა.

მეშვიდე რაუნდში მეტოქეებმა ერთმანეთს თავები დასცხეს, რამაც მექსიკელს მარჯვენა წარბი გაუხეთქა. სამაგიეროდ, მერვე რაუნდში მისმა მუშტმა ფილიპინელს ასევე მარჯვენა წარბი გადაუხსნა. აქედან მოყოლებული, პაკიაოს მეტოქის გამკლავება გაუჭირდა.

*"მეგონა, ბრძოლას სრულად ვაკონტროლებდი. მაგრამ წარბი რომ გამისკდა, იმის შემდეგ პრობლემები დამეწყო. აღარც მწვავე შეტევები გამომდიოდა და დაცვაც საკმაოდ მიჭირდა"*, - ნაბრძოლევს განაცხადა პაკიაომ.

მეცხრე რაუნდში, აგრესორი უკვე მარკესი იყო. ის მეტოქეს ტანში დაუნდობლად ურტყამდა, პაკიაომ კი, თითქოს არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, მხოლოდ გაქცევით ახერხებდა თავის დაცვას. ყოველ შემთხვევაში, ძალიან უჭირდა მექსიკელის შეტევათა შეკავება.

ბრძოლის შემდეგ პაკიაოს მწვრთნელმა **ფრედი როუჩმა** განაცხადა, დასაწყისში მენი მარკესს მთელ რინგზე დასდევდა, რაც შეცდომა იყო, რადგან ასე ძალებს ანიავებდა, რამაც ბრძოლის მიწურულს აშკარად იჩინა თავიო.

მაგრამ პაკიაომ მეათე რაუნდში კიდევ ერთხელ შეარყია მეტოქე, რითაც ფაქტობრივად, უზრუნველყო კიდეც თავისი გამარჯვება. ერთ მომენტში, მარკესს ფეხი დაუცდა, რითაც უმალ ისარგებლა პრეტენდენტმა და ორჯერ მძლავრად დასცხო. მართალია, ამჯერად ნოკდაუნი აღარ დაფიქსირებულა, მაგრამ ფაქტია, რომ ამით ჩემპიონის ბრძოლისუნარიანობა დაეცა. თუმცა, მარკესმა ამის შემდეგაც გააგრძელა შეტევები.

ბოლო ორი რაუნდი ნამდვილ ხელჩართულად გადაიქცა. ორივე მოკრივის შეტევები საკმაოდ ქაოტური იყო. ისინი უფრო შეტევაზე ფიქრობდნენ, ვიდრე დაცვაზე. რა თქმა უნდა, ორივემ ქულები ბლომად აგროვა და სანამ რეფერი მსაჯების ვერდიქტს გამოაცხადებდა, ძნელი სათქმელი იყო, თუ ვინ მოიგო ბრძოლა.

მარკესი შედეგით უკმაყოფილო დარჩა: *"ხალხმა იცის, რომ მოგებული მე ვარ. ბრძოლა ხომ ერთი რაუნდი არ არის. მართალია, მესამეში დავეცი, მაგრამ დანარჩენ რაუნდებში უპირატესობა მე მქონდა. მასზე გაცილებით ხშირად ვაღწევდი მიზანს, მაგრამ როგორც ჩანს, ქულებს მარტო მას უწერდნენ. არაფერიც არ წამიგია, მოგებული მე ვარ"*, - იხტიბარს არ იტეხდა მარკესი.

პაკიაომ კი მოკლედ მოჭრა, რომ მარკესთან კიდევ ერთხელ შეხვედრას არ აპირებს და თან დააყოლა, მომდევნო ბრძოლას მსუბუქ წონაში (61 კგ-მდე) გავმართავო. *"მარკესთან საქმეს მოვრჩი, ახლა ზედა წონაში გადასვლას ვაპირებ"*, - განაცხადა ჩემპიონმა.

■ ■ ■

სახელოვანმა ამერიკელმა მოკრივემ, **როი ჯონს უმცროსმა** გერმანელ **მარკუს ბაიერთან** შეხვედრის სურვილი გამოთქვა. ხუთ წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ძალიან მოსწონებია პროფესიულ რინგზე დაბრუნებული ბაიერის ბოლო ბრძოლა, რომელშიც მან რუსი **მურატ მაჰმუდოვი** დაამარცხა. ჰოდა, ახლა ამბობს, რომ თუ სოლიდურ ჰონორარს შესთავაზებენ, მზადაა, ბაიერს გერმანიაშიც შეხვდეს.

თუ ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება მინდა, რინგზე უფრო ხშირად უნდა გამოვიდეო, ამბობს ჯონსი და დასძენს, რომ ბაიერის გარდა, დიდი სიამოვნებით შეხვდება უელსელ **ჯო კალძაგესა** და ამერიკელ **ბერნარდ ჰოპკინსს** შორის გამარჯვებულს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ნაქცეულს რომ თავზე წამოსდგომია, მენი პაკიაოა

ავტოსპორტი. ფორმულა 1.
ინტერვიუ ლუის ჰემილტონთან

# მომატება კიდევ შეგვიძლია




**სეზონის პირველი რბოლა "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტის, ლუის ჰემილტონის ტრიუმფით დასრულდა. პირველი წრიდან მოყოლებული, ვიცე-ჩემპიონმა ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მთელი რბოლის განმავლობაში მის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. რის ხარჯზე მიაღწია ასეთ იოლ ტრიუმფს ჰემილტონმა, ამას თავად ბრიტანელი მოგვიყვება.**

**- ლუის, იმავე პოზიციაზე დაასრულეთ რბოლა, საიდანაც დაიწყეთ, მაგრამ მოვლენები დრამატულად განვითარდა. პირველივე წრეებიდან რობერტ კუბიცა გიტევდათ...**

- სტარტი კარგი მქონდა. თუმცა საბურავები მომიცურდა და ამიტომაც, პირველ მოსახვევთან რამდენიმე პილოტი ერთად მივედით. მაგრამ მისი გავლის შემდეგ, კონკურენტები ოდნავ ჩამოვიტოვე, შემდეგ კი ისღა დამრჩენოდა, რომ სიმშვიდე შემენარჩუნებინა და საბურავების მდგომარეობა მეკონტროლებინა.

ტემპს ვინარჩუნებდი. უპირატესობა საკმარისი იყო, მაგრამ ერთხელ შესაძლობლობების სრულად გამოვლენა დამჭირდა. ეს რბოლის მეორე ნაწილში მოხდა, როცა პეისკარმა ტრასა დატოვა და თავიდან მომიხდა კონკურენტების ჩამოტოვება. ამ გამარჯვებამ მონრეალში ჩემი შარშანდელი ტრიუმფი გამახსენა. მაშინ უსაფრთხოების მანქანა ოთხჯერ გამოვიდა ტრასაზე. დაახლოებით ასე იყო ავსტრალიაშიც.

**- როგორც ჩანს, "მაკლარენს" პიტსტოპების ტაქტიკამაც გაუმართლა...**

- გუნდმა ბრწყინვალედ იმუშავა. როგორც ყოველთვის! მანქანა ბრწყინვალეა, გაცილებით უკეთესი, ვიდრე მისი წინამორბედი. მას ნებისმიერი პილოტის ოცნებას დავარქმევდი. ორმა ადრეულმა პიტსტოპმა პრობლემები ამაცილა, რაც უსაფრთხოების მანქანის გამოჩენასთან იყო დაკავშირებული.

**- მეტოქეების შემხედვარე, თავს უფრო დამაჯერებლად გრძნობთ?**

- დიახ. თუ სიჩქარის მომატება დამჭირდება, ამას უპრობლემოდ გავაკეთებ, თუმცა დღევანდელი ტემპითაც კმაყოფილი ვარ. მთელი რბოლის განმავლობაში გუნდთან კავშირი მქონდა და ვიცოდი, რომ მეტოქეებზე ნახევარი წამით სწრაფად მივდიოდი. უბრალოდ, ტემპს ვინარჩუნებდი.

**- რბოლა რთული იყო, მაგრამ მხნედ გამოიყურებით. თავს როგორ გრძნობთ?**

- ფანტასტიკურად! არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე მარტივად იქნებოდა. ეს შესანიშნავი ვარჯიში იყო მალაიზიის გრან-პრისთვის. მოუთმენლად ველი მომდევნო რბოლას.

**- "მაკლარენმა" შესანიშნავად დაიწყო სეზონი, მაგრამ კიმი რაიკონენმა სტარტზე ფანტასტიკური გარღვევა განახორციელა და მაშინვე რვა საუკეთესოში შევიდა. როგორია თქვენი პროგნოზი მომავალ გრან-პრიზე?**

- მომდევნო რბოლაში იგივე განწყობით უნდა გამოვიდეთ. უკვე ვთქვი, რომ სისწრაფეში კიდევ შეგვიძლია მომატება, ამიტომაც "ფერარის" ტემპი არ მაღელვებს. თუმცა BMW-მ და "უილიამსმა" შესამჩნევად მოუმატეს და ბევრი მუშაობა დაგვჭირდება.

**- როგორ ჩანს, "მაკლარენმა" წარსულს ჩააბარა შარშანდელი პრობლემები...**

- ამას გარკვეული ეტაპის შეჯამებას ვერ დავარქმევ, მაგრამ ახალი სეზონის დასაწყისში გვინდოდა კვლავ მყარად დავმდგარიყავით ფეხზე. ისევე, როგორც მთელს გუნდს, რონსაც ბევრი რამის გადატანა მოუხდა, მაგრამ ერთი წამითაც არ მოვდუნებულვართ და შედეგსაც მივაღწიეთ. რონის გამო ძალიან მიხარია. ეს არაჩვეულებრივი გრძნობაა - სეზონის პირველ რბოლაში გამარჯვება, როცა არ იცი საკმარისია თუ არა სიჩქარე, საიმედო იქნება თუ არა მანქანა... ამ გამარჯვების შემდეგ, გაწეული სამუშაოს გამო კმაყოფილების გრძნობა მოვიდა.

**- შემდეგ რბოლამდე კვირაზე ნაკლები დარჩა. რას გააკეთებთ მალაიზიაში გაფრენამდე?**

- მალაიზიაში მალე გავემგზავრებით, მანამდე კი, მამასთან, მწვრთნელთან და გუნდთან ერთად აღვნიშნავ ამ გამარჯვებას. შემდეგ, ალბათ, ნიკო როსბერგთან (პირველი პოდიუმი კარიერაში - რედ.) შევივლი და მის წარმატებასაც ვიზეიმებთ. შევეცდები, მალაიზიაში ცოტა დავისვენო, ქალაქში გავისეირნო...

**- ეს თქვენი მეხუთე გამარჯვებაა ფორმულაში. ხომ ვერ შეადარებთ მას წინა ოთხ ტრიუმფს? რამდენად მნიშვნელოვანია ის თქვენთვის?**

- ის არ ჰგავდა ჩემს პირველ და მოულოდნელ გამარჯვებას მონრეალში. მეორე სეზონში გამარჯვება მიზნად იქცევა, ეს ერთგვარი პრესინგია. ამ მოგებას უფრო უკეთ აღვიქვამ, ვიდრე წინა ტრიუმფებს. მართლა განვიცადე პროგრესი. ვერ ვიტყვი, რომ იდეალური გავხდი, რადგან ყოველთვის არსებობს წინსვლის საშუალება, მაგრამ სიჩქარის, საბურავების მოვლისა და დამაჯერებლობის მხრივ, ეს რბოლა საუკეთესო იყო.

**- პარასკევამდე ყველას ეგონა, რომ "ფერარი" ჩემპიონატში მთავარი დომინატორი იქნებოდა. დღეს ეს არ მოხდა. გაკვირვებული ხართ?**

- "ფერარის" მართლაც ბევრს აქებდნენ, მაგრამ ეს უიქ ენდი მისთვის ნამდვილ კატასტროფად გადაიქცა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის დიდი გუნდი სწრაფი მანქანით და ორი ბრწყინვალე პილოტით. ჩავარდნა ყველას აქვს. წინ კიდევ 17 რბოლაა და შევეცდებით ყველაფერი ისე გავაკეთოთ, რომ მსგავსი პრობლემები არ შეგვექმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს შეუერთდა გაზეთი "სპორტი".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 32 62

e-mail: sporti@sport.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა